

ივანე ჯავახიშვილის სახელობის
თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი

სოციალურ და პოლიტიკურ მეცნიერებათა ფაკულტეტი

სოციოლოგია

სადოქტორო პროგრამა

რატი შუბლაძე

სახელი, გვარი

სოციალური თანასწორობა და საარჩევნო პრეფერენციები

სადისერტაციო ნაშრომი წარმოდგენილია სოციოლოგიის დოქტორის

აკადემიური ხარისხის მოსაპოვებლად

სამეცნიერო ხელმძღვანელი: იაგო კაჭკაჭიშვილი



თბილისი

2021

1.1 აბსტრაქტი

ქვეყნებში, რომელთათვის დამახასიათებელია როგორც ავტორიტარული, აგრეთვე დემოკრატიული ნიშან-თვისებები, პოლიტიკური რეჟიმის ცვლილების ახსნა ხშირად განსხვავებული ინტერპრეტაციებისა თუ სპეკულაციის საგანი ხდება. ასეთი ტიპის „გარდამავალ“ ქვეყნებში მმართველი წრეების ცვლილებას ხშირად უკავშირებენ ან პერსონიზებულ პოლიტიკებსა და მის შედეგებს, ან გარე ფაქტორების ზეგავლენას. ამ მიდგომების საპირისპიროდ, სადოქტორო ნაშრომი ეფუძნება იმ დაშვებას, რომ რეჟიმის ცვლილება შესაძლოა გამოწვეული იყოს ქვეყნის შიდა ფაქტორებით. ამრიგად, ნაშრომის მიზანია გამოაშკარავოს საქართველოში მომხდარი პოლიტიკური ტრანზიციის, მოდერნიზაციული პროექტების, მზარდი უთანასწორობისა და დაღმავალი სოციალური მობილობის ზეგავლენა ანტი-სახელისუფლებო სენტიმენტების ფორმირებაზე. სახელდობრ, ნაშრომში განხილულია 2004-2012 წლების საქართველოს პოლიტიკური ცხოვრების მაგალითები, როდესაც რადიკალურმა მოდერნიზაციულმა პროექტებმა და საჯარო პოლიტიკამ გამოიწვია ქვეყნის ისტორიაში პირველად ხელისუფლების მშვიდობიანად, არჩევნების გზით შეცვლა. ნაშრომში გამოყენებულია მონაცემთა ტრიანგულაციის მეთოდები, რათა საფუძვლიანად იყოს გამოკვლეული საქართველოში მიმდინარე პოლიტიკური პროცესები. თვისებრივი ინტერვიუები პოლიტიკოსებთან, საჯარო პოლიტიკის შემმუშავებლებთან და ექსპერტებთან გვიჩვენებს თუ როგორ ხდებოდა საქართველოში საჯარო პოლიტიკის ფორმირება, როგორი იყო მმართველ ელიტასა და ამომრჩევლებს შორის არსებული ელექტორალური კავშირები და რა ახსნა აქვთ იმ სხვადასხვა სამთავრობო გადაწყვეტილებებს, რომლებმაც ხელი შეუწვეს უთანასწორობისა და უკმაყოფილების ზრდას ქართულ საზოგადოებაში. ნაშრომის რაოდენობრივი ნაწილის კომპონენტში საარჩევნო ოლქების დონეზე შეგროვებული მონაცემები საჯარო პოლიტიკის შედეგების, სოციალური და ეკონომიკური ინდიკატორებისა და აგრეთვე ქვეყნის გეოგრაფიული მახასიათებლების შესახებ დამოუკიდებელ ცვლადებს წარმოადგენენ, მაშინ როდესაც 2012 წლების საპარლამენტო არჩევნების შედეგები საარჩევნო ოლქების დონეზე - დამოკიდებულ ცვლადს. ამ ცვლადებზე ჩატარებული რეგრესიული ანალიზის საშუალებით ნაშრომში

ნაჩვენებია, რომ საარჩევნო ოლქებში, რომლებმაც ყველაზე ნაკლები სარგებელი მიიღეს მთავრობის მიერ გატარებული საჯარო პოლიტიკების შედეგად და სადაც აღინიშნებოდა მატერიალური დეპრივაციის მაღალი მაჩვენებლები, 2012 წლის საპარლამენტო არჩევნებში მხარი დაუჭირეს ოპოზიციური პარტიების კოალიციას. ამრიგად, ქართველმა ამომრჩევლებმა იხელმძღვანელეს ხმის მიცემის ეკონომიკური და რეტროსპექტული მიდგომით და უნდობლობა გამოუცხადეს მმართველ ძალას. კვლევის შედეგების მნიშვნელობა იმაში მდგომარეობას, რომ მათი საშუალებით შესაძლებელია ემპირიულად დავაკვირდეთ თუ როგორია სინამდვილეში ამომრჩევლებსა და პოლიტიკურ აქტორებს შორის არსებული ურთიერთობები საქართველოში. ნაშრომში მკაფიოდ არის ნაჩვენები, რომ ქართული პოლიტიკური რეალობის კონტექსტშიც კი ძალიან მნიშვნელოვანია მმართველმა ძალებმა ყურადღება გაამახვილოს საზოგადოების ცვლადებად მოთხოვნილებებს და საჯარო პოლიტიკა მნიშვნელოვანწილად დაუქვემდებაროს საზოგადოების დაკვეთებს. სტაბილური დემოკრატიული სახელმწიფოს მშენებლობის პროცესში მნიშვნელოვანია პოლიტიკურ ელიტებსა და ამომრჩევლებს შორის ჰარმონიული, ანგარიშვალდებულებაზე და ნდობაზე დაფუძნებული ურთიერთობების ჩამოყალიბება. ნაშრომში სწორედ ამ უკანასკნელის არ არსებობის შემთხვევაში დამდგარი შედეგები არის ნაჩვენები. შესაბამისად, ნაშრომის დასკვნითი ნაწილი ემსახურება იმ გარემოებას, რომ მომავალში პოლიტიკურმა აქტორებმა არ გაიმეორონ უკვე ერთხელ დაშვებული შეცდომები, მეტი დრო დაუთმონ საჯარო პოლიტიკის დაგეგმვის დროს საკუთარი ხედვების დასაბუთებას, მოსახლეობასთან კომუნიკაციას, აგრეთვე შეასრულონ საარჩევნო პროცესის დროს გაცემული დაპირებები, რადგანაც საბოლოო ჯამში ქართველი ამომრჩეველი ხმის მიცემის ეკონომიკური მოდელის მიხედვით მოქმედებს.

1.2 Abstract

The political and regime change in the countries characterized by a combination of both authoritarian and democratic features is the source of many interpretations and speculations. While most political changes in such “grey zone” countries are attributed to personalized politics and its consequences; or to the external interference in the regime’s political life, this thesis suggests that wind of change may be aroused through the internal dynamics of the regime. The dissertation’s focus is an exploration of political transition in the country of Georgia, where modernization practices, growing inequality, and downward mobility of different social classes caused anti-governmental sentiments. Specifically, the study aims to investigate the Georgian case during 2004-2012, where radical modernization changes and policy decisions led to the electoral change of power first time in the country’s modern history. The 2012 Georgian parliamentary elections and their consequences represent an example of such a shift of voter support. The dissertation uses research method triangulation to reveal the specificities of the Georgian political process. The qualitative interviews with politicians, policymakers, and experts shed light on the public policy formation practices, voter-elite linkages, and rationale behind different governmental policies that lead to the growing inequality and dissatisfaction in Georgian society. Using electoral district-level data on policymaking, social and economic indicators, and geographic data as independent variables and electoral district level voting results as depending on the variable, the study shows that electoral districts that benefited the least from the governmental public policies and suffered high levels of material deprivation decisions voted for the opposition coalition in 2012. Hence, Georgian voters following the principles of economic and retrospective voting theory said no to the incumbent. The outcomes of this doctoral research are vital as they provide the possibility to empirically observe what the nature of voter-politicians dynamics in Georgia is. The study clearly illustrates that even in the context of Georgian political reality, it is vital for the incumbent to pay attention to society’s changing needs and shape the public policies based on societal needs. In the process of building a stable and democratic state, it is essential to establish harmonious, accountable, and trustworthy relations between political elites and voters. The key finding of the research represents the situations when such bonds are absent. Therefore, the concluding part of the dissertation aims at showing political actors how to avoid past mistakes, ensure that political actors spend more time demonstrating their policy visions to the broader parts of society, stress the importance of communication with the public. Last, but not least: fulfilling promises made during the election process as Georgian voters act according to the retrospective model.

1.3 სარჩევი

1.1 აბსტრაქტი.....	i
1.2 Abstract.....	iii
1.3 სარჩევი.....	iv
1.4 გრაფიკებისა და ილუსტრაციების ჩამონათვალი	vi
1.5 ცხრილების ჩამონათვალი.....	ix
1.6 აბრევიატურების ჩამონათვალი.....	xi
2.1 სადოქტორო ნაშრომის მიმოხილვა.....	1
2.2 ლიტერატურის მიმოხილვა.....	6
2.2.1 საქართველოს ადგილი პოლიტიკური რეჟიმების კლასიფიკაციაში.....	6
2.2.2 საქართველო, როგორც „ჰიბრიდული“ რეჟიმის ტიპის ქვეყანა	8
2.2.2 ამომრჩევლებსა და ელიტას შორის არსებული კავშირები	14
2.2.3. საჯარო პოლიტიკის ფორმირება ჰიბრიდულ რეჟიმებში	16
2.2.3.1 რბილი სტრატეგიები	16
2.2.3.2 ხისტი სტრატეგიები.....	19
2.2.3.3 კლიენტელიზმი, როგორც საჯარო პოლიტიკის ლოგიკა ჰიბრიდულ რეჟიმებში	20
2.2.4 მთავრობის მიერ განხორციელებული პოლიტიკის შედეგები	23
2.2.4.1 რეფორმები	23
2.2.4.2 უთანასწორობა	26
2.2.4.3 პოლიტიკური და საზოგადოებრივი პოლარიზაცია	29
2.2.5 ამომრჩეველთა პასუხი მთავრობის განხორციელებულ საჯარო პოლიტიკაზე.....	33
2.2.5.1 ამომრჩეველთა ქცევის ზოგადი თავისებურები და თეორიული დაშვებები.....	34
2.2.5.2 რაციონალური არჩევანის თეორია.....	36
2.2.5.3 ეკონომიკური ხმის მიცემა	37
2.2.5.4 კვლევები საარჩევნო ქცევის შესახებ საქართველოში.....	40
2.2.6. ლიტერატურის მიმოხილვის შეჯამება	42
2.3 მეთოდოლოგია	43
2.3.1 მეთოდების ტრიანგულაცია სადოქტორო ნაშრომში	44
2.3.2. თვისებრივი მეთოდები, თვისებრივი მონაცემების წყაროები და ანალიზის მიდგომები	46

2.3.3. მასობრივი გამოკითხვის მონაცემების წყაროები და მონაცემთა ანალიზი / რეგრესიული მოდელის აღწერა	51
2.3.4. მეორადი მონაცემებისა და არჩევნების შედეგების წყაროები / ცვლადების კონცეპტუალიზაცია და ოპერაციონალიზაცია	56
2.4. კვლევის შედეგები	64
2.4.1 საჯარო პოლიტიკის ფორმირება, სახელმწიფოს მართვის ლოგიკა და 2012 წლის საპარლამენტო არჩევნების შედეგების გამომწვევი მიზეზები	65
2.4.1.1 მთავრობის ხელთ არსებული რესურსების გამოყენება და შეზღუდვები	65
2.4.1.2 საჯარო პოლიტიკის გამოყენების ლოგიკა 2004-2012 წლებში	74
2.4.1.3 სოციალური პოლიტიკა და მისი გამოყენება საარჩევნო ლეგიტიმაციისთვის	78
2.4.1.4 2012 წლის არჩევნების შედეგების გამომწვევი მიზეზები	84
2.4.1.5 კვლევის თვისებრივი ნაწილის შეჯამება	91
2.4.2 გამოკითხვის მონაცემების ინტერპრეტაცია	93
2.4.2.1 2012 წლის თებერვლის მონაცემები	93
2.4.2.2 2012 წლის ივნისის მონაცემები	96
2.4.2.3 2012 წლის აგვისტოს მონაცემები	99
2.4.2.4 გამოკითხვის მონაცემთა ანალიზის შეჯამება	102
2.4.3 მეორადი მონაცემების ინტერპრეტაცია	105
2.4.3.1 მეორადი მონაცემების პირველი მოდელი	106
2.4.3.2 მეორადი მონაცემების მეორე მოდელი	114
2.4.3.3 მეორადი მონაცემების მოდელების შეჯამება	119
2.4.4. კვლევის შედეგების შეჯამება	120
2.5. დასკვნა	123
2.6 გამოყენებული ლიტერატურა	128
3.1 დანართი	143
დანართი 2.2.1 ლიტერატურის მიმოხილვის თავის დანართები	143
დანართი 2.4.2. მასობრივი გამოკითხვების შედეგების მოდელები	144
დანართი 2.4.3.1 მეორადი მონაცემების პირველი მოდელი	153
დანართი 2.4.3.2 მეორადი მონაცემები მეორე მოდელი	167

1.4 გრაფიკებისა და ილუსტრაციების ჩამონათვალი

გრაფიკი 2.4.1.1 საქართველოს ბიუჯეტის ხარჯვა სხვადასხვა სფეროების მიხედვით წყარო: საქართველოს ფინანსთა სამინისტრო, საქართველოს ბიუჯეტი, 2005-2012 წლები.	76
გრაფიკი 2.4.1.2 მნიშვნელოვანი ეროვნული პრობლემები 2009-2012 წლებში (NDI, 2016).....	78
გრაფიკი 2.4.1.3 უმუშევრობის მაჩვენებლები წლების მიხედვით (კავკასიის ბარომეტი, 2008-2012).	79
გრაფიკი 2.4.1.4 ოჯახები, რომლებიც იღებდნენ საარსებო შემწეობას საქართველოში (სოციალური მომსახურების სააგენტო, 2008-2012).....	81
გრაფიკი 2.4.1.5 სოციალური ხარჯვის სტატისტიკა 2006-2013 წლებში (ფინანსთა სამინისტრო, 2020).	82
გრაფიკი 2.4.1.6 ჯანმრთელობის დაზღვევის სახელმწიფო პროგრამაში მონაწილე ბენეფიციარების რაოდენობა (სოციალური მომსახურების სააგენტო, 2016).....	83
გრაფიკი 2.4.1.7 ჯინის ინდექსის მაჩვენებელი 2001-2012 წლებში (მსოფლიო ბანკი, 2020).....	85
გრაფიკი 2.4.2.1 NDI-ს 2012 წლის თებერვლის გამოკითხვის 2008 წელთან შედარებით საკითხების გაუმჯობესების მოდელის საშუალო მარჟინალური ეფექტების (95% სანდოობის ინტერვალი).	94
გრაფიკი 2.4.2.2 NDI-ს 2012 წლის თებერვლის გამოკითხვის პერსონალური საქმიანობის შეფასების მოდელის საშუალო მარჟინალური ეფექტების (95% სანდოობის ინტერვალი).	95
გრაფიკი 2.4.2.3 NDI-ს 2012 წლის თებერვლის გამოკითხვის სახელმწიფო ინსტიტუტების საქმიანობის შეფასების მოდელის საშუალო მარჟინალური ეფექტების (95% სანდოობის ინტერვალი).	96
გრაფიკი 2.4.2.4 NDI-ს 2012 წლის ივნისის გამოკითხვის 2008 წელთან შედარებით საკითხების გაუმჯობესების მოდელის საშუალო მარჟინალური ეფექტების (95% სანდოობის ინტერვალი).	97
გრაფიკი 2.4.2.5 NDI-ს 2012 წლის ივნისის გამოკითხვის პერსონალური საქმიანობის შეფასების მოდელის საშუალო მარჟინალური ეფექტების (95% სანდოობის ინტერვალი).	98
გრაფიკი 2.4.2.6 NDI-ს 2012 წლის ივნისის გამოკითხვის სახელმწიფო ინსტიტუტების საქმიანობის შეფასების მოდელის საშუალო მარჟინალური ეფექტების (95% სანდოობის ინტერვალი).	99
გრაფიკი 2.4.2.7 NDI-ს 2012 წლის აგვისტოს გამოკითხვის 2008 წელთან შედარებით საკითხების გაუმჯობესების მოდელის საშუალო მარჟინალური ეფექტების (95% სანდოობის ინტერვალი).	100

გრაფიკი 2.4.2.8 NDI-ს 2012 წლის აგვისტოს გამოკითხვის პერსონალური საქმიანობის შეფასების მოდელის საშუალო მარჟინალური ეფექტების (95% სანდოობის ინტერვალი).	101
გრაფიკი 2.4.2.9 NDI-ს 2012 წლის აგვისტოს გამოკითხვის სახელმწიფო ინსტიტუტების საქმიანობის შეფასების მოდელის საშუალო მარჟინალური ეფექტების (95% სანდოობის ინტერვალი).	102
გრაფიკი 2.4.3.1 მრავლობითი წრფივი რეგრესიის სტანდარტიზებული მაჩვენებლები (95% სანდოობის ინტერვალი) გეოგრაფიული კონტროლის ცვლადების გარეშე 2008 წლის საპარლამენტო არჩევნებში ენმ-ს და ოპოზიციური პარტიების მიერ მოპოვებული ხმების მიხედვით.....	107
გრაფიკი 2.4.3.2 მრავლობითი წრფივი რეგრესიის სტანდარტიზებული მაჩვენებლები (95% სანდოობის ინტერვალი) გეოგრაფიული კონტროლის ცვლადების გამოყენებით 2008 წლის საპარლამენტო არჩევნებში ენმ-ს და ოპოზიციური პარტიების მიერ მოპოვებული ხმების მიხედვით	108
გრაფიკი 2.4.3.3 შინამეურნეობის ნივთების ინდექსის და ენმ-ს მიერ მოპოვებული ხმების მაჩვენებლის წრფივი რეგრესიის ვიზუალიზაცია 2008 წლის საპარლამენტო არჩევნებისთვის.....	109
გრაფიკი 2.4.3.4 მრავლობითი წრფივი რეგრესიის სტანდარტიზებული მაჩვენებლები (95% სანდოობის ინტერვალი) გეოგრაფიული კონტროლის ცვლადების გარეშე 2012 წლის საპარლამენტო არჩევნებში ენმ-ს და ოპოზიციური პარტიების მიერ მოპოვებული ხმების მიხედვით.....	111
გრაფიკი 2.4.3.5 მრავლობითი წრფივი რეგრესიის სტანდარტიზებული მაჩვენებლები (95% სანდოობის ინტერვალი) გეოგრაფიული კონტროლის ცვლადების გამოყენებით 2012 წლის საპარლამენტო არჩევნებში ენმ-ს და ოპოზიციური პარტიების მიერ მოპოვებული ხმების მიხედვით.....	112
გრაფიკი 2.4.3.6 შინამეურნეობის ნივთების ინდექსის და ენმ-ს მიერ მოპოვებული ხმების მაჩვენებლის წრფივი რეგრესიის ვიზუალიზაცია 2012 წლის საპარლამენტო არჩევნებისთვის	113
გრაფიკი 2.4.3.7 მრავლობითი წრფივი რეგრესიის სტანდარტიზებული მაჩვენებლები (95% სანდოობის ინტერვალი) მოდელისთვის, სადაც დამოკიდებული ცვლადია 2012 წლების საპარლამენტო არჩევნებში ენმ-ს მიერ აღებული ხმების პროცენტული რაოდენობა	116
გრაფიკი 2.4.3.8 სამედიცინო დაწესებულებებში სიკვდილიანობის მაჩვენებლისა და ენმ-ს მიერ აღებული ხმების წრფივი რეგრესიის გრაფიკი	117
გრაფიკი 2.4.3.9 ადგილობრივი თვითმმართველობის მიერ გაწეული ხარჯებისა და ენმ-ს მიერ აღებული ხმების წრფივი რეგრესიის გრაფიკი	118
გრაფიკი 2.4.3.10 საარსებო შემწეობის ბენეფიციართა რიცხვისა და ენმ-ს მიერ აღებული ხმების წრფივი რეგრესიის გრაფიკი.....	118

გრაფიკი 2.2.1.1 კავკასიის ბარომეტრის დროითი მწკრივები კითხვაზე „თქვენი აზრით, ამ კიბის რომელ საფეხურზე იდგება თქვენი ოჯახი 5 წლის შემდეგ?“.....	143
დანართ 2.4.3.1-ის გრაფიკი 1. კოლინეალურობის VIF ტესტი 2012 წლის არჩევნების მოდელი 1	163
დანართ 2.4.3.1-ის გრაფიკი 2. კოლინეალურობის VIF ტესტი 2012 წლის არჩევნების მოდელი 2	163
დანართ 2.4.3.1-ის გრაფიკი 3. კოლინეალურობის VIF ტესტი 2012 წლის არჩევნების მოდელი 3	164
დანართ 2.4.3.1-ის გრაფიკი 4. კოლინეალურობის VIF ტესტი 2012 წლის არჩევნების მოდელი 4	164
დანართ 2.4.3.1-ის გრაფიკი 5. კოლინეალურობის VIF ტესტი 2008 წლის არჩევნების მოდელი 5	165
დანართ 2.4.3.1-ის გრაფიკი 6. კოლინეალურობის VIF ტესტი 2008 წლის არჩევნების მოდელი 6	165
დანართ 2.4.3.1-ის გრაფიკი 7. კოლინეალურობის VIF ტესტი 2008 წლის არჩევნების მოდელი 7.....	166
დანართ 2.4.3.1-ის გრაფიკი 8. კოლინეალურობის VIF ტესტი 2008 წლის არჩევნების მოდელი 8.....	166
დანართ 2.4.3.2-ის გრაფიკი 1. კოლინეალურობის VIF ტესტი მეორადი მონაცემების მეორე მოდელისთვის.....	168
დანართ 2.4.3.2-ის გრაფიკი 2. Kernel density estimate მეორადი მონაცემების მეორე მოდელისთვის	168
დანართ 2.4.3.2-ის გრაფიკი 3. pnorm r2012 მეორადი მონაცემების მეორე მოდელისთვის	169

1.5 ცხრილების ჩამონათვალი

ცხრილი 2.3.3.1 NDI-ს 2012 წლის კვლევების მეთოდოლოგია და ტექნიკური ინფორმაცია.....	51
ცხრილი 2.3.3.2 რეგრესიის მოდელის დამოუკიდებელი ცვლადები NDI-ს 2012 წლის კვლევების მიხედვით.....	55
ცხრილი 2.3.4.1 კვლევაში გამოყენებული GSS-ის კვლევის ცვლადები	59
ცხრილი 2.4.2.10 ენმ-ს მხარდაჭერის მნიშვნელობის ნაწინასწარმეტყველები ალბათობები ეროვნული საკითხების ინდექსის, სახელმწიფო ინსტიტუტების საქმიანობისა და ხელისუფლების წარმომადგენლების საქმიანობების შეფასების მიხედვით.	103
ცხრილი 2.4.3.1 მრავლობითი წრფივი რეგრესია	115
ცხრილი 2.2.1.3 2011 წელს Gini-ის ინდექსი რეგიონების მიხედვით თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტთან არსებული ეკონომიკის საერთაშორისო სკოლის (ISET) მკვლევართა გამოთვლების თანახმად	143
ცხრილი 2.4.2.1 2008 წელთან შედარებით საკითხების გაუმჯობესების მოდელი, 2012 წლის თებერვალი	144
ცხრილი 2.4.2.2 ხელისუფლების წარმომადგენლების საქმიანობის შეფასების მოდელი, 2012 წლის თებერვალი	145
ცხრილი 2.4.2.3 სახელმწიფო ინსტიტუტების საქმიანობის შეფასების მოდელი, 2012 წლის თებერვალი	146
ცხრილი 2.4.2.4 2008 წელთან შედარებით საკითხების გაუმჯობესების მოდელი, 2012 წლის ივნისი	147
ცხრილი 2.4.2.5 ხელისუფლების წარმომადგენლების საქმიანობის შეფასების მოდელი, 2012 წლის ივნისი	148
ცხრილი 2.4.2.6 სახელმწიფო ინსტიტუტების საქმიანობის შეფასების მოდელი, 2012 წლის ივნისი	149
ცხრილი 2.4.2.7 2008 წელთან შედარებით საკითხების გაუმჯობესების მოდელი, 2012 წლის აგვისტო	150
ცხრილი 2.4.2.8 ხელისუფლების წარმომადგენლების საქმიანობის შეფასების მოდელი, 2012 წლის აგვისტო	151
ცხრილი 2.4.2.9 სახელმწიფო ინსტიტუტების საქმიანობის შეფასების მოდელი, 2012 წლის აგვისტო	152
დანართ 2.4.3.1-ის ცხრილი 1. მეორადი მონაცემების მოდელი 1 2008 წლისთვის, ენმ	153
დანართ 2.4.3.1-ის ცხრილი 2. მეორადი მონაცემების მოდელი 2 2008 წლისთვის, ენმ	154

დანართ 2.4.3.1-ის ცხრილი 3. მეორადი მონაცემების მოდელი 1 2008 წლისთვის, ოპოზიცია	155
დანართ 2.4.3.1-ის ცხრილი 4. მეორადი მონაცემების მოდელი 2 2008 წლისთვის, ოპოზიცია	156
დანართ 2.4.3.1-ის ცხრილი 5. მეორადი მონაცემების მოდელი 1 2012 წლისთვის, ენმ	157
დანართ 2.4.3.1-ის ცხრილი 6. მეორადი მონაცემების მოდელი 2 2012 წლისთვის, ენმ	158
დანართ 2.4.3.1-ის ცხრილი 7. მეორადი მონაცემების მოდელი 1 2012 წლისთვის, ოპოზიცია	159
დანართ 2.4.3.1-ის ცხრილი 8. მეორადი მონაცემების მოდელი 2 2012 წლისთვის, ოპოზიცია	160
დანართ 2.4.3.1-ის ცხრილი 9. ჰეტეროსკედასტურობის ტესტი 2008 წლის არჩევნების მოდელი 1.....	161
დანართ 2.4.3.1-ის ცხრილი 10. ჰეტეროსკედასტურობის ტესტი 2008 წლის არჩევნების მოდელი 2.....	161
დანართ 2.4.3.1-ის ცხრილი 11. ჰეტეროსკედასტურობის ტესტი 2008 წლის არჩევნების მოდელი 3.	162
დანართ 2.4.3.1-ის ცხრილი 12. ჰეტეროსკედასტურობის ტესტი 2008 წლის არჩევნების მოდელი 4	162
დანართ 2.4.3.2-ის ცხრილი 1. ჰეტეროსკედასტურობის ტესტი მეორადი მონაცემების მეორე მოდელისთვის.....	167
დანართ 2.4.3.2-ის ცხრილი 2. Cameron & Trivedi's decomposition of IM-test მეორადი მონაცემების მეორე მოდელისთვის.....	167
დანართ 2.4.3.2-ის ცხრილი 3. qnorm r2012 მეორადი მონაცემების მეორე მოდელისთვის	169
დანართ 2.4.3.2-ის ცხრილი 4. Linktest მეორადი მონაცემების მეორე მოდელისთვის	169
დანართ 2.4.3.2-ის ცხრილი 5. linktest მეორადი მონაცემების მეორე მოდელისთვის	170
დანართ 2.4.3.2-ის ცხრილი 6. Ramsey RESET test მეორადი მონაცემების მეორე მოდელისთვის	170
დანართ 2.4.3.2-ის ცხრილი 7. ენმ-ს მოპოვებული ხმების და სამედიცინო დაწესებულებებში სიკვდილიანობის მაჩვენებლის წრფივი რეგრესიის შედეგები.....	170
დანართ 2.4.3.2-ის ცხრილი 8. ენმ-ს მოპოვებული ხმების და მუნიციპალური ხარჯების მოცულობის მაჩვენებლის წრფივი რეგრესია	171

1.6 აბრევიატურების ჩამონათვალი

- ASCN - Academic Swiss Caucasus Net (კავკასიის შვეიცარიული აკადემიური ქსელი)
- CRRC - Caucasus Research Resource Centers (კავკასიის კვლევითი რესურსების ცენტრი)
- GGG - Generations and Gender Survey (გამოკითხვა თაობათა და გენდერის საკითხების შესახებ)
- GYLA – Georgian Young Lawyers’ Association (საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაცია)
- IDFI – Institute for Development of Freedom of Information (ინფორმაციის თავისუფლების განვითარების ინსტიტუტი)
- IREX - International Research & Exchanges Board (საერთაშორისო კვლევისა და გაცვლების საბჭო)
- IRI - International Republican Institute (საერთაშორისო რესპუბლიკური ინსტიტუტი)
- ISSET - International School of Economics at TSU (თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტთან არსებული ეკონომიკის საერთაშორისო სკოლა)
- NATO - The North Atlantic Treaty Organization (ჩრდილოატლანტიკური ხელშეკრულების ორგანიზაცია)
- NDI - National Democratic Institute (ეროვნულ დემოკრატიული ინსტიტუტი)
- OLS - Ordinary least squares (უმცირეს კვადრატთა მეთოდი)
- Ramsey RESET - Ramsey Regression Equation Specification Error Test (რამსის რეგრესიის განტოლების სპეციფიკურობის შეცდომის ტესტი)
- UNECE - United Nations Economic Commission for Europe (გაეროს ევროპის ეკონომიკური კომისია)
- ენმ - ერთიანი ნაციონალური მოძრაობა
- საქსტატი - საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური

2.1 სადოქტორო ნაშრომის მიმოხილვა

სადოქტორო ნაშრომი მიზნად ისახავს საქართველოში სოციალური უთანასწორობის და მისი წარმოქმნის მიზეზების კვლევას, რაც თავის მხრივ გავლენას ახდენს საქართველოს მოსახლეობის საარჩევნო ქცევასა და პოლიტიკური პრეფერენციების ჩამოყალიბებაზე. კერძოდ, ნაშრომში ნაჩვენებია ის გარემოება, რომ მთავრობის მიერ განხორციელებული საჯარო პოლიტიკის შედეგები და შეფასებები გავლენას ახდენენ ამომრჩევლების გადაწყვეტილებაზე მხარი დაუჭირონ თუ არა ხელისუფლებაში მყოფ პოლიტიკურ ძალას. სადოქტორო კვლევა მოიცავს 2004-2012 წლების პერიოდს.

სადოქტორო კვლევის აქტუალობა გამოწვეულია საქართველოში ბოლო წლების განმავლობაში მომხდარი პოლიტიკური და სოციალური ცვლილებებით, რომლებმაც დიდი მნიშვნელობა შეიძინა ქვეყნის დემოკრატიული განვითარებისთვის. საზოგადოებაში არსებული უთანასწორობისა და განსხვავების დანახვა მნიშვნელოვანია ქვეყანაში მიმდინარე სოციო-პოლიტიკური მოვლენების შესასწავლად. აღნიშნული თემის აქტუალობა განისაზღვრება მოსაზრებით, რომლის თანახმადაც საქართველოში მიმდინარე პოლიტიკური, სოციალური და ეკონომიკური პროცესები მეტწილად განისაზღვრება ამომრჩეველთა სოციო-ეკონომიკური მრავალფეროვნებითა და ინტერესებით. გარდა ამისა, სადოქტორო თემა მიზნად ისახავს ქართულ სამეცნიერო წრეებში შედარებით ნაკლებად შესწავლილი საკითხის კვლევას, რომელიც დაკავშირებულია ხმის მიცემის რეტროსპექტულ და ეკონომიკურ მიდგომასთან. ამიტომაც, საქართველოში სოციალური უთანასწორობის, ეკონომიკური საარჩევნო ქცევისა და საარჩევნო პრეფერენციების კვლევა მნიშვნელოვანი და საინტერესოა არამარტო წმინდა მეცნიერული, არამედ პრაქტიკული თვალსაზრისითაც.

სადოქტორო კვლევა ცდილობს დაამტკიცოს ვარაუდი, რომ საქართველოს მსგავსი ქვეყნების მოდერნიზაციის და გარდაქმნის დროს, როდესაც ქვეყნის პოლიტიკური ელიტა ცდილობს განხორციელოს ძირეული სოციო-ეკონომიკური რეფორმები, მმართველ გუნდს უწევს ხშირად წინააღმდეგობრივი და მტკივნეული გადაწყვეტილებების გატარება. აღსანიშნავია ისიც, რომ ხშირად ეს რეფორმები არამხოლოდ მმართველი ელიტის წინასწარგანსაზღვრულ არჩევანს, არამედ

ძალაუფლების შესანარჩუნებლად საჭირო ქმედებების ნაზავს წარმოადგენს. აღნიშნული პროცესები მოკლევადიან პერიოდში იწვევს მოსახლეობის მნიშვნელოვან ნაწილში მთავრობის საწინააღმდეგო განწყობის დაგროვებას და ქვეყანაში როგორც შეფარდებითი, აგრეთვე რეალური უთანასწორობის განცდის გაჩენას. აღნიშნული პროცესები საარჩევნო შედეგებში აისახება მთავრობის საქმიანობის რეტროსპექტულ შეფასებით, როდესაც მთავრობის საქმიანობით უკმაყოფილი მოსახლეობა აღარ უცხადებს სახელისუფლებო პარტიას ნდობას. შესაბამისად, სადოქტორო ნაშრომის მთავარი ჰიპოთეზის ფორმულირება შემდეგნაირად არის შესაძლებელი:

„საქართველოში ფუნდამენტური სოციალური და ეკონომიკური რეფორმები მოკლე და საშუალო ვადიან პერსპექტივაში იწვევს უთანასწორობისა და მთავრობის საქმიანობით უკმაყოფილო მოქალაქეების რაოდენობის გაზრდას, რომლებიც არჩევნების დროს რეტროსპექტული ხმის მიცემის ლოგიკით ხელმძღვანელობენ და ხმას აღარ აძლევენ მმართველ პოლიტიკურ ძალას“

ნაშრომის ჰიპოთეზის ვალიდური და მეთოდოლოგიურად გამართული პასუხების მოსაძებნად, სადოქტორო კვლევამ პასუხი უნდა გასცეს შემდეგ საკვლევ შეკითხვებს:

1. როგორი ტიპის პოლიტიკური რეჟიმთან გვაქვს საქმე, როდესაც განვიხილავთ საქართველოს კონტექსტს?
2. როგორი ტიპის რეფორმებს ახორციელებდა მთავრობა 2004-2012 წლებში?
3. როგორი მახასიათებლები აქვთ მთავრობის მიერ განხორციელებული პოლიტიკური გადაწყვეტილებების შედეგად აღმოცენებულ საზოგადოების „მოგებულ“ და „წაგებულ“ ნაწილებს?
4. რამდენად მნიშვნელოვანია რეტროსპექტული ხმის მიცემის მოდელი ქართულ პოლიტიკურ კონტექსტში?

იმისთვის, რომ პასუხი გაეცეს აღნიშნულ საკვლევ კითხვებს, სადოქტორო ნაშრომის ფარგლებში შემდეგი საკვლევნი ამოცანების გადაჭრაა მიზანშეწონილი:

1. საქართველოში 2004-2012 წლებში არსებული პოლიტიკური რეჟიმის თავისებურებების დადგენა

2. 2004-2012 წლებში გატარებული ეკონომიკური და სოციალური რეფორმებისა და მათი საარჩევნო შედეგების გავლენაზე არსებული სამეცნიერო ლიტერატურის მიმოხილვა
3. მთავრობის მიერ 2004-2012 წლებში განხორციელებული პოლიტიკური გადაწყვეტილებებისა და რეფორმების ამსახველი ინდიკატორების გაზომვა და შეფასება
4. 2004-2012 წლებში მთავრობის საქმიანობის დადებითი ან უარყოფითი შეფასებების გავლენის შესწავლა მოქალაქეთა საარჩევნო პრეფერენციებზე

ზემოთ აღნიშნულ კითხვებზე პასუხის გასაცემად სადოქტორო ნაშრომი მიმართავს მასობრივი გამოკითხვების, მეორადი მონაცემებისა და სიღრმისეული ინტერვიუების ანალიზს. მეორადი მონაცემების შეგროვება მოიცავს საქართველოს სახელმწიფო სტრუქტურებიდან პოლიტიკური გადაწყვეტილებების, რეფორმებისა და საჯარო პოლიტიკის შედეგების ამსახველი მონაცემების შეგროვებას. მოცემული მონაცემები შეგროვდა საქართველოს მუნიციპალიტეტების წარმომადგენლობის გათვალისწინებით¹, რომლებიც შემდგომ დაუკავშირდა საარჩევნო შედეგებს. მეორადი მონაცემების და არჩევების შედეგების გაერთიანებული მონაცემთა ბაზა საშუალებას იძლევა მოვძებნოთ კორელაციური კავშირები მთავრობის მიერ გატარებული პოლიტიკისა და მოქალაქეების მიერ გაკეთებულ არჩევანს შორის. სიღრმისეული ინტერვიუები ჩატარდა საჯარო პოლიტიკის ექსპერტებთან, გადაწყვეტილების მიმღებ პირებთან და პოლიტიკოსებთან. რესპონდენტები შერჩეული იყვნენ როგორც აღმასრულებელი ხელისუფლების და ყოფილი გადაწყვეტილების მიმღები პირებიდან, აგრეთვე 2004-2012 წლებში მოქმედი ოპოზიციური პოლიტიკური სპექტრის წარმომადგენლებისგან. სიღრმისეული ინტერვიუების დანიშნულება არის დავინახოთ ის ლოგიკა და მიზეზები, რომლებიც მთავრობის მიერ მიღებულ გადაწყვეტილებებსა და მოქმედებებს განსაზღვრავდა. რაც შეეხება მასობრივი გამოკითხვის შედეგების ანალიზს, ნაშრომში გამოყენებულია 2012

¹ 2008-2012 წლებში მოქმედი საარჩევნო კანონმდებლობის მიხედვით, საქართველოს საარჩევნო ოლქები ემთხვეოდნენ საქართველოს მუნიციპალიტეტების საზღვრებს. გამონაკლისი იყო ქალაქი თბილისი, რომელიც როგორც ცალკე მუნიციპალიტეტად მოიაზრებოდა, თუმცა იყოფოდა 10 საარჩევნო ოლქად. მონაცემთა ხელმისაწვდომობის და სახელმწიფო სტრუქტურებში არსებული კლასიფიკაციების გამო, სადოქტორო ნაშრომისთვის შექმნილ მონაცემთა ბაზაში თბილისი, როგორც ერთი საარჩევნო ოლქი იქნება წარმოდგენილი.

წელს ჩატარებული სამი წარმომადგენლობითი კვლევის შედეგები, რომელთა საშუალებითაც გამოკვლეულია მთავრობის საქმიანობის შეფასებასა და მმართველი პარტიის მხარდაჭერას შორის არსებული კავშირები.

სადოქტორო ნაშრომი ამოდის დაშვებიდან, რომ ამომრჩევლების მიერ არჩევნების გზით მმართველი გუნდის შეცვლა ეფუძნება მათ მიერ განხორციელებული სოციალური და ეკონომიკური რეფორმების ნეგატიურად შეფასებას. თუმცა, სანამ უშუალოდ ამომრჩევლების მიერ მთავრობის შეფასებებს განვიხილავთ, უნდა განისაზღვროს თუ როგორი ტიპის პოლიტიკურ რეჟიმთან გვაქვს საქმე საქართველოს შემთხვევის განხილვისას; აგრეთვე ვაჩვენოთ, რომ საქართველოს მსგავსი ქვეყნებისთვის მთავრობის მიერ განხორციელებული პოლიტიკა მართლაც მნიშვნელოვანი ფაქტორია ძალაუფლების ცვლილებისთვის. აქედან გამომდინარე, ნაშრომის საწყისი ნაწილები დაეთმო ქვეყნის შიდა პოლიტიკური დინამიკისა და პოლიტიკური ცხოვრების კანონზომიერებების შესწავლას. მხოლოდ ამის შემდგომ, არის განხილული თუ რა შედეგებამდე შეიძლება მივიდეს ქვეყნის ხელისუფლების მიერ საკუთარი ძალაუფლების შესანარჩუნებლად გატარებული პოლიტიკის გამო და როგორ აისახება ეს ამომრჩეველთა ქცევებზე. განხორციელებული სამთავრობო პოლიტიკის გავლენა საარჩევნო შედეგებზე კი განხილულია საარჩევნო ქცევების რაციონალური არჩევანის თეორიის, რეტროსპექტული და ეკონომიკურ ხმის მიცემის მიდგომების გამოყენებით.

რელევანტური სამეცნიერო ლიტერატურის მიმოხილვის შემდეგ, ნაშრომის მომდევნო ქვეთავებში დეტალურად არის აღწერილი კვლევის მეთოდოლოგია. მეთოდოლოგიის ნაწილში წარმოდგენილია მონაცემების შეგროვებისა და ანალიზის მიდგომები, აგრეთვე მონაცემების ოპერაციონალიზაცია და კონცეპტუალიზაცია და მონაცემთა დამუშავების და ანალიზის მიდგომები. ნაშრომის ძირითადი მიგნებების თავში კი დეტალურად არის განხილული მონაცემთა სამი განსხვავებული წყაროს დამუშავების შედეგად მიღებული შედეგები და მათი კავშირი განხილულ სამეცნიერო ნაშრომებთან. ნაშრომი სრულდება დასკვნებისა და რეკომენდაციების თავით, სადაც აგრეთვე განხილულია კვლევის შედეგების მნიშვნელოვნება და მოსაზრებები შემდგომი კვლევების წარმართვის შესახებ.

ნაშრომის მომზადების დროს გამოყენებულია მასალები და მონაცემები, რომლებზეც კვლევის ავტორი სხვადასხვა დროს და სხვადასხვა პროექტების დროს მუშაობდა. მნიშვნელოვანია აღინიშნოს კავკასიის შვეიცარიული აკადემიური ქსელის (ASCN) მიერ დაფინანსებული პროექტი “ავტორიტარული პასუხი ამომრჩეველთა მოთხოვნებზე სომხეთსა და საქართველოში”, რომელზე მუშაობის დროსაც კვლევის ავტორმა შეაგროვა დისერტაციის ფარგლებში გამოყენებული მეორადი მონაცემების მნიშვნელოვანი ნაწილი, აგრეთვე ჩაატარა თვისებრივი ინტერვიუები. ნაშრომის ავტორი აგრეთვე დიდ მადლობას უხდის CRRC-საქართველოს, სადაც მუშაობის დროს შესაძლებლობა ჰქონდა მიეღო რჩევები მონაცემების ანალიზისა და დამუშავების შესახებ. სადოქტორო ნაშრომის საფუძველზე ავტორმა გამოაქვეყნა ერთი სტატია² დამოუკიდებლად, ხოლო ნაშრომში განხილული თემები აგრეთვე საფუძველად დაედო თანაავტორობით გამოცემულ სტატიას საერთაშორისო რეფერირებად აკადემიურ ჟურნალში³. სადოქტორო ნაშრომი აგრეთვე დაფუძნებულია ავტორის მიერ ჩატარებულ წინარე კვლევებზე, კერძოდ კი მისი სამაგისტრო ნაშრომზე 2012 Parliamentary Elections And Voting Preferences Of Electoral Districts⁴, რომელიც ავტორმა 2014 წელს დაიცვა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ევრაზიისა და კავკასიის კვლევების სამაგისტრო პროგრამაზე.

დასასრულს, ავტორი მადლობას უხდის ნაშრომის სამეცნიერო ხელმძღვანელს, ბატონ იაგო კაჭკაჭიშვილს, რომლის შენიშვნები და მოსაზრებები მნიშვნელოვანი იყო ნაშრომის საბოლოო სახის მიღებისთვის. ავტორი აგრეთვე მადლობას უხდის მეგობრებსა და კოლეგებს - დავით სიჭინავა, ცისანა ხუნდაძე, კობა თურმანიძე, გიორგი ბაბუნაშვილი, დასტინ გილბრეტი - რომლებიც ნაშრომზე მუშაობის სხვადასხვა ეტაპზე პროფესიულ რჩევებს აძლევდნენ, ეხმარებოდნენ და

² სტატია ახალგაზრდა მკვლევართა ჟურნალის მეექვსე ნომერში, რომელშიც განხილულია ელექტორალური ქცევები 2012 წლის საპარლამენტო არჩევნებში (შუბლაძე, 2018). სტატია მიემდგნა 2012 წელს ძალაუფლების ტრანზიციაზე სოციო-ეკონომიკური კეთილდღეობისა და უთანასწორობის ფაქტორების ზეგავლენას.

³ სტატია საერთაშორისო რეფერირებად ჟურნალში Caucasus Survey, სადაც თვისებრივი და რაოდენობრივი მეთოდების გამოყენებით განხილულია საქართველოსა და სომხეთში ელექტორალური ლეგიტიმაციის შენარჩუნების სტრატეგიები (Shubladze და Khundadze, 2017). სტატიის ძირითადი თეორიული ჩარჩო დაკავშირებული იყო გერშევსკის (2013) მიერ ჩამოყალიბებულ მიდგომასთან, რომელიც იკვლევს პოპულისტური და რეპრესიული ტიპის საჯარო პოლიტიკების ურთიერთშენაცვლების და ბალანსის მნიშვნელობას ავტორიტარული და ჰიბრიდული რეჟიმებისთვის.

⁴ 2012 წლის საპარლამენტო არჩევნები და საარჩევნო ოლქების ხმის მიცემის პრეფერენციები.

ამხნეებდნენ. ბოლოს, ავტორი მაძღობას უხდის საკუთარ მეუღლეს, რომელიც თითქმის 5 წლის განმავლობაში გვერდში ედგა და მორალურად ამხნეებდა ნაშრომზე მუშაობის დროს.

2.2 ლიტერატურის მიმოხილვა

სადოქტორო ნაშრომში განხილული თემები დაკავშირებულია რამდენიმე მნიშვნელოვანი საზოგადოებრივი საკითხის ერთდროულ გააზრებასთან. ერთი მხრივ, მნიშვნელოვანია აღიწეროს, სოციალური და პოლიტიკური რეჟიმის ტიპი, რომელშიც პოლიტიკური პარტიები ოპერირებენ, ამომრჩევლები იღებენ გადაწყვეტილებას და ხდება სოციალური და პოლიტიკური პოლიტიკის გატარება. ამ კონტექსტში განსაკუთრებით მნიშვნელოვანია მმართველი პოლიტიკური რეჟიმის მიერ განხორციელებული პოლიტიკის და ამ პოლიტიკის მიერ გამოწვეული შედეგების აღწერა. დამატებით, მნიშვნელოვანია ამომრჩეველთა ქცევის გაგებისა და ინტერპრეტაციისთვის აუცილებელი თეორიული ჩარჩოებისა და პარადიგმების განხილვაც. ამ ყველაფრის გათვალისწინებით, ლიტერატურის მიმოხილვის თავში განხილულია შემდეგი საკითხები: პოლიტიკური სისტემის აღწერა, ამომრჩევლებსა და მმართველ ჯგუფებს შორის არსებული კავშირების მიმოხილვა, საჯარო პოლიტიკის მნიშვნელობა საქართველოსა და საქართველოს მსგავსი ტიპის ქვეყნებში, მთავრობის მიერ განხორციელებული პოლიტიკის შედეგები და ამ შედეგების გათვალისწინებით ელექტორალური ქცევის ჩამოყალიბების სტრატეგიები.

2.2.1 საქართველოს ადგილი პოლიტიკური რეჟიმების კლასიფიკაციაში

ქვეყნის პოლიტიკური და სოციალური მახასიათებლები მნიშვნელოვანწილად განსაზღვრავს ამომრჩეველთა ქცევებს. მეტიც, ხშირ შემთხვევაში ქვეყნის პოლიტიკური მოწყობა და თავისებურებები აწესებს რიგ შეზღუდვებს და ჩარჩოებს, ქმნის თამაშის წესებს რომელთა მიხედვითაც შესაძლებელია საარჩევნო პროცესის დროს საკუთარი პოზიციის დაფიქსირება. ამრიგად, სანამ ამომრჩეველთა ქცევის პოსტ-ფაქტუმ ანალიზს შევუდგებოდეთ, კრიტიკულად მნიშვნელოვანია აღიწეროს ის პოლიტიკური სისტემა, მისი მოქმედების ლოგიკა და არსებული თამაშის წესები, რომელთა კონტექსტშიც ტარდება არჩევნები და ოპერირებენ სისტემის სუბიექტები - პოლიტიკური პარტიები და ამომრჩევლები. შესაბამისად, კვლევის საწყის ეტაპზე

დასახული პირველი ამოცანა დაკავშირებულია რეჟიმის ტიპების კლასიფიკაციასა და საქართველოსთვის შესაბამისი რეჟიმის ტიპის დეტალურ აღწერასთან.

სოციალურ და პოლიტიკურ მეცნიერებებში რეჟიმის დეფინიციის მრავალ მიდგომას იყენებენ. რადგანაც პოლიტიკური რეჟიმი წარმოადგენს აბსტრაქტულ, მრავალი განზომილებისგან შემდგარ სოციალურ ფენომენს, არ არსებობს საყოველთაოდ შეჯერებული თვალსაზრისი, რომლის მიხედვითაც მოხდებოდა ბუნებაში არსებული ყველა ტიპის პოლიტიკური რეჟიმის კლასიფიკაცია. ასეთი კლასიფიკაციები, როგორც წესი ეფუძნება რიგი თვისებრივი და რაოდენობრივი მაჩვენებლების სინთეზს, რომელთა მიზანია უპასუხოს შემდეგ კითხვებს: 1) ძალაუფლების მქონე პირების იდენტიფიცირება, 2) მთავრობის არჩევის მეთოდები, და 3) მთავრობის მიერ ძალაუფლების გამოყენების პირობები და შეზღუდვები (Kailitz, 2013). ბრიონსკოვისა და როდეს (2018) მიხედვით, როგორც წესი, ამგვარი ტიპის ინფორმაცია საბოლოოდ თავს იყრის პოლიტიკური რეჟიმების კლასიფიკაციის ისეთ მონაცემთა ბაზებში, როგორც არის Polity IV, Freedom House, და Database of Political Institutions. გარდა აღნიშნული მონაცემთა ბაზებისა, მკვლევრები ქვეყნების რეჟიმის კლასიფიკაციისთვის იყენებენ მსოფლიო ბანკის, ჟურნალ Economist-ის დემოკრატიის ინდექსს (Democracy Index), IREX-სა და დემოკრატიისა და დიქტატურის ინდექსს (Democracy-Dictatorship Index), რომელიც ადამ პშევორკისა და მისი კოლეგების (2010) მიერ არის შემუშავებული.

2004-2012 წლებში საქართველო აღნიშნული კლასიფიკაციების მიხედვით ყოველთვის შუალედურ პოზიციებს შორის მერყეობს. 2010 წლის Polity IV-ის კლასიფიკაციის მიხედვით, საქართველო მართალია დახასიათებულია როგორც დემოკრატიული ქვეყანა, თუმცა დემოკრატიულობის დამაკმაყოფილებელი სტანდარტების მინიმალური დაცვით. მაგალითად, რეხვიაშვილის (2012) მიერ ჩატარებული ანალიზის მიხედვით, რომელიც Polity IV-ის, IREX-ისა და პრესის თავისუფლების კრიტერიუმებს იყენებდა, 2000-იანი წლების შუა პერიოდში საქართველოსთვის დამახასიათებელია ჰიბრიდული რეჟიმის თვისებები. მსგავსი დასკვნები გამოიტანეს სხვა მეცნიერებმა და საერთაშორისო რანჟირების მკვლევარებმაც (Dominioni, 2014; Bolkvadze, 2016).

ჰიბრიდული, კლასიკური განმარტების მიხედვით, ესაა რეჟიმი, რომელშიც ერთმანეთში შერწყმულია დემოკრატიული და ავტორიტარული ინსტიტუტები, ძალაუფლების გადანაწილების მეთოდები განსხვავებული მიდგომები. პოლიტიკური შეჯიბრობითობა არასამართლიანად არის მმართველი ელიტის სასარგებლოდ გადახრილი, თუმცა, პოლიტიკური ლეგიტიმაციის უმთავრესი წყარო მაინც საყოველთაო არჩევნები და მოსახლეობის მხარდაჭერაა (Karl, 1995; Diamond, 2002).

2000-იანი წლების პერიოდში საქართველო სხვა მიმომხილველების მიერაც არის მოხსენიებული როგორც „ჰიბრიდული რეჟიმი“ (Timm, 2012; Mitchell, 2012, Dominioni, 2014; Fumagalli და Turmanidze, 2017). მიოლერისა და სკანინგის (2010) მიერ პოსტ-კომუნისტური ქვეყნების მაგალითზე ჩატარებული კვლევის თანახმად, რეჟიმის კლასიფიკაციის 5 საფეხურიან სკალაზე საქართველო (ბოსნიასა და უკრაინასთან ერთად) მესამე საფეხურზე იმყოფებოდა და ხასიათდებოდა როგორც ჰიბრიდული ანუ გარდამავალი ტიპის პოლიტიკური რეჟიმი. ანალოგიურ დასკვნამდე მივიდნენ იუითლი და ციურხერიც (2008), რომლებიც საკუთარ ანალიზში ეყრდნობოდნენ ევროპის უშიშროებისა და თანამშრომლობის ორგანიზაციის (ეუთო) საპარლამენტო დამკვირვებლების მიერ არჩევნების პროცესში გაკეთებულ შეფასებებს. მათი დასკვნით, მიუხედავად 2003 წელს მომხდარი “ვარდების რევოლუციისა“, არ მომხდარა პოლიტიკური რეჟიმის ინსტიტუციური ტრანსფორმაცია ჰიბრიდულიდან დემოკრატიულ სისტემამდე (Wheatley და Zürcher, 2008). ამ ყველაფრის გათვალისწინებით, შეიძლება დავასკვნათ, რომ საკვლევი თემა ფოკუსირდება ისეთი ტიპის ქვეყანაზე, რომელიც საკუთარ თავში მოიცავს როგორც ავტორიტარული, ისე დემოკრატიული რეჟიმისთვის დამახასიათებელ თვისებებს. შესაბამისად, შემდგომი ანალიზი უნდა დაეყრდნოს ჰიბრიდული რეჟიმისთვის შესაბამისი საკითხების შესწავლას და ანალიზს.

2.2.2 საქართველო, როგორც „ჰიბრიდული“ რეჟიმის ტიპის ქვეყანა

საქართველოს დემოკრატიისა და ავტოკრატიის წარმოსახვითი სკალის შუალედურ წერტილზე ყოფნა განაპირობებს მისი პოლიტიკური სისტემის შერეულ, ხშირ შემთხვევაში კი, წინააღმდეგობრივ ხასიათს. აღნიშნულ ფენომენს ეწოდება „დემოკრატია ნაკლოვანებებით“ და ის აღწერილია ამავე სახელწოდების სტატიაში კოლიერისა და ლევიცკის მიერ (1997). სტატიაში ავტორები ამტკიცებენ, რომ იმ

დროისთვის არსებული მიდგომა ასეთი ტიპის რეჟიმების კლასიფიკაციისას პრობლემური იყო, რადგანაც არსებული ტერმინოლოგია, ხშირ შემთხვევაში, გაუგებარი ან ერთმანეთის გადამფარავი იყო. დემოკრატიზაციის მესამე ტალღის დაწყებასა და ნახევრად დემოკრატიული და ნახევრად ავტორიტარული რეჟიმების გავრცელებასთან ერთად, აკადემიურ წრეებში დამკვიდრდა ისეთი ტერმინები, როგორებიცაა „საარჩევნო ავტორიტარული რეჟიმი“, „ფსევდოდემოკრატია“ ან „არალიბერალური დემოკრატია“ (Diamond, 2002). დროთა განმავლობაში, ასეთი ტიპის რეჟიმების აღსაწერად მიღწეულ იქნა კონსესუსი, რომ არადემოკრატიული, მაგრამ არც ავტორიტარული პოლიტიკური წყობის ქვეყნებისთვის „ჰიბრიდული რეჟიმები“ ეწოდებიან (Karl, 1995, ციტირებული Gilbert და Mohseni-ში, 2011). მიუხედავად იმისა, რომ, ეს კლასიფიკაცია ზოგადაა, მან მაინც შეიტანა საკუთარი წვლილი პოლიტიკურ მეცნიერებებში, რადგანაც ამ პერიოდიდან მოყოლებული მეცნიერებმა დაიწყეს კონცენტრირება სხვადასხვა ტიპის ავტორიტარული რეჟიმების კლასიფიკაციებზე და არა გარკვეული პრობლემების მქონე დემოკრატიებზე (Linz, 1997). მიუხედავად საფუძვლიანი თეორიული ჩარჩოსა, ჰიბრიდული რეჟიმების აღნიშნული კლასიფიკაციის გამოყენება კონკრეტული ქვეყნების კონტექსტში მაინც არ არის მარტივი. კლასიკური ციტატის მსგავსად, რომ *„ყველა ბედნიერი ოჯახი ერთმანეთსა ჰგავს, ყოველი უბედური ოჯახი თავისებურადაა უბედური“*⁵, ცალკე აღებული ყველა პოლიტიკური სისტემისთვის მრავალი უნიკალური თვისებაა დამახასიათებელი. შესაბამისად, ამ ქვეთავში განხილული იქნება ჰიბრიდული პოლიტიკური რეჟიმის მსგავსი სხვა კატეგორიებიც, რომლებიც მხოლოდ გარკვეული კრიტერიუმებით, და არა მთლიანობაში, აღწერს საქართველოს პოლიტიკურ სისტემას.

ჰიბრიდული რეჟიმების შესახებ არსებული თეორიული ჩარჩოებიდან ყველაზე გავრცელებულს ლევიცკისა და ვეის შეჯიბრებითი ავტორიტარული (competitive authoritarian) რეჟიმების მიდგომა წარმოადგენს. თავად ლევიცკისა და ვეის (2010) კლასიფიკაციის მიხედვით, არსებობს სამი ტიპის პოლიტიკური რეჟიმი - სრულად ავტორიტარული, შეჯიბრებითად ავტორიტარული და დემოკრატია. რეჟიმი სრულად ავტორიტარულია, თუ ქვეყანაში არ ტარდება მრავალპარტიული არჩევნები და 1)

⁵ ლევ ტოლსტოისეული ციტატა ამ შემთხვევაში მიუთითებს საქართველოს პოლიტიკური სისტემის უნიკალორობასა და განუმეორებლობას (ტოლსტოი, 2017 [1878]).

ოპოზიციური პარტიებს აკრძალული აქვთ არჩევნებში მონაწილეობა, 2) არჩევნების შედეგები უმეტესწილად გაყალბებულია, 3) ხელისუფლების ძირითადი მოწინააღმდეგეები და პოლიტიკური პირები გარიყულნი არიან პოლიტიკური ცხოვრებიდან. ამის საპირისპიროდ, შეჯიბრებით ავტორიტარულ რეჟიმებში სახეზეა სამოქალაქო პირებისგან შემდგარი მთავრობა, სადაც ფორმალური დემოკრატიული ინსტიტუტები მიჩნეულია ხელისუფლების მოპოვებისა და ლეგიტიმაციის უმთავრეს წყაროდ, თუმცა, მმართველი ელიტა ხელისუფლების შესანარჩუნებლად სისტემატურად და მართლსაწინააღმდეგოდ იყენებს სახელმწიფო რესურსებს და ავიწროებს პოლიტიკურ ოპონენტებს. დასასრულს, თუ რეჟიმი არ აკმაყოფილებს ზემოთ განხილული არც ერთი კრიტერიუმის მახასიათებლებს, მაშინ ის შეიძლება სრულ დემოკრატიად ჩაითვალოს (Levitsky და Way, 2010).

მიუხედავად იმისა, რომ ლევიცკის და ვეის მიერ შემოთავაზებული კლასიფიკაცია მნიშვნელოვანწილად აღწერს საქართველოს კონტექსტს, ის მაინც არასრულყოფილია. უმთავრესად, ამის მიზეზია მათი კლასიფიკაციისთვის დამახასიათებელი წესები - თუკი რეჟიმი აკმაყოფილებს მათ მიერ შემოთავაზებული შეჯიბრებითი ავტორიტარული რეჟიმის 38 კრიტერიუმიდან ერთ-ერთს მაინც, მაშინ რეჟიმი ჰიბრიდულად ჩაითვლება. ეს გარემოება კი ზედმეტად კონსერვატულ მიდგომად შეიძლება მივიჩნიოთ, რომელსაც მრავალი აღიარებული დემოკრატიული რეჟიმიც ვერ დააკმაყოფილებს. კიდევ ერთი შეზღუდვა, რაც ლევიცკის და ვეის (2010) მეთოდოლოგიას აქვს, არის გარემოება, რომ ის უმეტესად კონცენტრირებულია პოლიტიკური ელიტის შიგნით არსებულ დინამიკაზე და ნაკლებად აქცევს ყურადღებას ამომრჩეველთა პრეფერენციებსა და მოქალაქეთა მიერ მმართველი კლასების საქმიანობისა შეფასებას. ამის საპირისპიროდ, აღნიშნული სადოქტორო ნაშრომის უმთავრეს იდეას წარმოადგენს დაშვება, რომ საქართველოს მსგავს ქვეყნებში არსებული პოლიტიკური რეჟიმებისთვის ამომრჩეველები და მათი მოსაზრებებია მნიშვნელოვანია ელიტების თვითგადარჩენისა და ძალაუფლების გახანგრძლივებისთვის.

მიუხედავად დარგის სამეცნიერო ლიტერატურაზე ზეგავლენისა და მნიშვნელოვანი კონტრიბუციისა, ლევიცკისა და ვეის მიდგომის გამოყენება საქართველოს კონტექსტში მხოლოდ ზოგადი პოლიტიკური სისტემის აღსაწერად არის

რელევანტური, რეჟიმისა და ამომრჩევლებს შორის არსებული დინამიკის აღსაწერად კი საჭიროა სხვა სახის კლასიფიკაციების შესწავლა. რეჟიმებისადმი მიძღვნილი სამეცნიერო ლიტერატურის უმრავლესობა ფოკუსირებულია ელიტების მიერ გადაწყვეტილებების მიღების პროცესზე გარეგანი ფაქტორების გავლენის მნიშვნელობაზე (Bates 2001, Brinks და Coppedge 2006, Escribà-Folch და Wright 2008). ამ ხარვეზის აღმოსაფხვრელად სხვა მკვლევარებმა გადაწყვიტეს ეჩვენებინათ, თუ როგორი ზეგავლენა შეიძლება ჰქონდეთ ასეთი ტიპის რეჟიმებში შიდა ფაქტორების - მთავრობის მიერ განხორციელებულ საჯარო პოლიტიკის ზეგავლენას რეჟიმის სტაბილურობასა და ცვლილებაზე (Geddes 2008, Lust-Okar 2006, Cox 2008). ეს მიდგომა დეტალურად არის აღწერილი გრინის (2007, 2010) და მაგალონის (2006, 2008) ნაშრომებში, რომლებიც დომინანტური პარტიების თეორიულ ჩარჩოს ეყრდნობა.

მაგალონიმ და კრიჩელიმ (2010) ჰიბრიდული რეჟიმების კლასიფიკაციისა და აღწერის განსხვავებული მოდელი შეიმუშავეს. სტატიაში „პოლიტიკური წესრიგი და ერთპარტიული მმართველობა“ ისინი გვთავაზობენ რეჟიმების კლასიფიკაციის შემდეგ მიდგომას: 1) დემოკრატია, 2) ანარქია, 3) სამხედრო მმართველობა, 4) მონარქია, 5) ერთპარტიული მმართველობა და 6) დომინანტური პარტიის მმართველობა⁶ (Magaloni და Kricheli, 2010). ავტორების აზრით, რეჟიმების მკვლევრები ხშირად არ ასხვავებენ ერთმანეთისგან ერთპარტიულ და დომინანტური პარტიის მმართველობებს და მათ ხშირად ერთ კონტექსტში განიხილავენ (Magaloni და Kricheli, 2010). საქართველოს კონტექსტის და 2012 წელს საქართველოში ძალაუფლების ცვლილებასთან დაკავშირებული საკითხების მხედველობაში მიღება წარმოშობს კითხვებს იმასთან დაკავშირებით, თუ რამდენად მიზანშეწონილია აღნიშნული მიდგომა. მაგალონისა და კრიჩელის (2010) მიერ შექმნილი მატრიცა რეჟიმების ცვლილების შესახებ 1950-2006 წლებში აჩვენებს, რომ დომინანტური პარტიის რეჟიმები უფრო მეტად გადადის დემოკრატიული ტიპის რეჟიმზე და მათთვის უფრო არის ძალაუფლების კონსტიტუციური ჩარჩოებით ცვლილება დამახასიათებელი,

⁶ რეჟიმების ეს კლასიფიკაცია ეფუძნება პშევორსკისა და კოლეგების (2000)-ის სტატიას, აგრეთვე დამატებულია გოლდერის (2005) და ბალოტნისა და მაგალონის (2009) კონცეპტუალური მიდგომები.

ვიდრე ერთპარტიული რეჟიმებისთვის, რომლებსაც უფრო ხშირად ახასიათებს სამხედრო ან ავტორიტარული ტიპის რეჟიმებისკენ მიბრუნება.

ერთი შეხედვით, ეს გარემოება დომინანტური რეჟიმის გამოყენებას საქართველოს კონტექსტისთვის რელევანტურად აქცევს, თუმცა, ამ შემთხვევაშიც არსებობს გარკვეული შეზღუდვები და წინააღმდეგობები. გრინის (2007) კლასიფიკაციის მიხედვით, ასეთი ტიპის რეჟიმებისთვის დამახასიათებელია „*ანგარიშგასაწევი საარჩევნო შეჯიბრობითობა, რომელსაც თან ახლავს აღმასრულებელი და საკანონმდებლო ხელისუფლების ერთი პარტიის მიერ ფლობა მინიმუმ 20 წლის ან 4 ერთმანეთზე მიყოლებული საარჩევნო ციკლის ფარგლებში*“. საქართველოს ერთიანი ნაციონალური მოძრაობის (ენმ) მმართველობა ვერ აკმაყოფილებს მეორე კრიტერიუმს - ენმ-ს მმართველობა 9 წელი გაგრძელდა და ზედიზედ ორი არჩევნების მოგებით⁷. ეს გარემოება წარმოშობს ლეგიტიმურ კითხვას, რამდენად არის შესაძლებელი დომინანტური პარტიის თეორიული მოდელის წმინდა სახით გამოყენება საქართველოს კონტექსტში.

ალტერნატიული თეორიული მიდგომები, რომლებიც შესაძლოა გამოსადეგი იყოს საქართველოს რეალობის გათვალისწინებით, არის პოპულისტური დემოკრატიების მოდელი. ასეთი ტიპის რეჟიმებისთვის დამახასიათებელია უფრო მეტად დემოკრატიული, ვიდრე ავტორიტარული რეჟიმისთვის შესაფერისი ტენდენციები. თუმცა, პოპულისტური დემოკრატიების რეჟიმები, ჰიბრიდული ან დომინანტური პარტიის რეჟიმების მსგავსად, უარს არ ამბობს ნახევრად-ლეგალური და ხშირად წინააღმდეგობრივი მეთოდების გამოყენებაზე ხელისუფლების შენარჩუნებისთვის (Palonen, 2009). კიდევ ერთი მსგავსება ქართულ კონტექსტთან არის ის გარემოება, რომ ძალიან ხშირად ყოფილი სოციალისტური და კომუნისტური ბლოკის სახელმწიფოებში წარმოქმნილი რეჟიმები სწორედ პოპულისტურ დემოკრატიებად ხასიათდება (Mair, 2002).

გარდა ამისა, ტაკის ს. პაპასი (2014) სტატიაში “პოპულისტური დემოკრატიები: პოსტ-ავტორიტარული საბერძნეთი და პოსტ-კომუნისტური უნგრეთი” წარმოადგენს

⁷ მხედველობაში გვაქვს 2004 და 2008 წლის საპარლამენტო და საპრეზიდენტო არჩევნები. 2006 და 2010 წლების ადგილობრივი თვითმმართველობის არჩევნები არ არის ამ კონტექსტში განხილული, რადგანაც ისინი არ წარმოადგენდნენ ძალაუფლების მოპოვების და ლეგიტიმაციის წყაროს.

პოპულისტური დემოკრატიების უფრო დეტალურ ქვეტიპს, სადაც გარდა ხელისუფლებაში მყოფი ძალისა, უმთავრესი ოპოზიციური ძალებიც პოპულისტურია. პოლიტიკური ლანდშაფტის პოპულისტური ბუნება არის სწორედ ის მსგავსება, რომელიც საკმაოდ კარგად შეესაბამება ქართული პოლიტიკური სისტემის კონტექსტს. ამ მიდგომის თანახმად, შესაბამისი სამეცნიერო ლიტერატურა კონცენტრირებულია მხოლოდ პოპულისტური პარტიების წარმოქმნასა და განვითარებაზე, მაგრამ არა იმაზე, თუ როგორ ფუნქციონირებს ისინი ხელისუფლებაში მოსვლის შემდგომ (Pappas, 2014). სადოქტორო ნაშრომის ერთ-ერთი მიზანიც სწორედ ამ ხარვეზის გამოსწორებაა: აჩვენოს, თუ როგორ ცდილობს პოპულისტური ტიპის რეჟიმი ხელისუფლების შენარჩუნებას და რატომ მარცხდება იგი. ამ ფაქტის გათვალისწინებით, პოპულისტური პარტიების რეჟიმებიც ჩვენი კვლევისთვის გასათვალისწინებელი და მნიშვნელოვანია.

რეჟიმების ტიპების შესახებ მიძღვნილ ამ თავში განხილული რამდენიმე პარადიგმა, რომლებიც ცდილობს აღწეროს მკაფიოდ ავტორიტარული და მკაფიოდ დემოკრატიული ტიპის ქვეყნებისთვის დამახასიათებელი „რუხი ზონები“, სრულყოფილად ვერ აღწერს ქართული პოლიტიკური რეჟიმის ყველა ნიშან-თვისებას. ამ მიდგომების განხილვის მიზანი იყო გამოგვეყო ის მიდგომა და მეთოდი, რომელიც ყველაზე უფრო შეესაბამება საქართველოს კონტექსტს. მართალია, განხილული თეორიული ჩარჩოებიდან, სრულყოფილად არც ერთი არ შეესაბამება ქართულ რეალიებს, თუმცა ცალკეული ელემენტები სრულ შესაბამისობაშია სადოქტორო ნაშრომის ძირითად მიზნებთან. ამ გარემოებების გათვალისწინებით, სადოქტორო ნაშრომი შემდეგ მიდგომას ირჩევს: (a) სახელმწიფო რესურსების გამოყენება და ოპონენტებზე ზეწოლა ლევიცკის და ვეის (2010) შეჯიბრებითი ავტორიტარული რეჟიმის მოდელის მიხედვით, (b) ფოკუსირება რეჟიმის შიდა პროცესებზე და შერჩეული საჯარო პოლიტიკის განხორციელებაზე, დომინანტური პარტიის მოდელის ფარგლებში და (c) პოპულისტური პოლიტიკური გარემოს ზეგავლენა პოლიტიკურ პროცესებზე, პოპულისტური დემოკრატიის მოდელის გამოყენებით. შემდგომში, სიმარტივისთვის, ტერმინი *ჰიბრიდულ რეჟიმი* იქნება გამოყენებული, როდესაც საჭირო იქნება ზემოთ აღწერილი კრიტერიუმების დამაკმაყოფილებელი

პოლიტიკური რეჟიმის მითითება. თუმცა, მნიშვნელოვანია აღინიშნოს ამ ტერმინის გამოყენების *სპეციფიკურობა* ქართული რეალობის გათვალისწინებით.

2.2.2 ამომრჩევლებსა და ელიტას შორის არსებული კავშირები

მას შემდეგ რაც განისაზღვრა საქართველოში 2004-2012 წლებში არსებული პოლიტიკური რეჟიმის კლასიფიკაცია და დამახასიათებელი თვისებები, მომდევნო ნაბიჯი პოლიტიკური რეჟიმის შიგნით არსებული დინამიკის შესწავლაა. კერძოდ, მნიშვნელოვანია აღიწეროს ჰიბრიდული რეჟიმის კონტექსტში, ელიტასა და ამომრჩევლებს შორის არსებული ურთიერთობა და მისთვის დამახასიათებელი ნიშან-თვისებები.

მიუხედავად არასამართლიანი შეჯიბრობითობისა, არჩევნები მაინც მნიშვნელოვანი მოვლენაა ჰიბრიდული რეჟიმებისთვის. თუმცა, ისიც უნდა აღინიშნოს, რომ არჩევნები ხშირად კულმინაციაა იმ პოლიტიკური, ეკონომიკური და სოციალურ პროცესებისა, რომლებიც საარჩევნო ციკლებს შორის ხდება. ხელისუფლება სხვადასხვა, ნახევრად სამართლებრივი და ზღვრული მეთოდების გამოყენებით, ცდილობს ძალაუფლების შენარჩუნებას. მიმდინარე კვლევის ფარგლებში, ეს მეთოდები რბილ და ხისტ სტრატეგიებად არის დაყოფილი: პირველი არის ე.წ. „მოთაფვლისა“ და დარწმუნების ისეთი მიდგომები, რომლებიც არაძალადობრივ ხერხებს ეფუძნება. რაც შეეხება მეორეს - ის დასახული მიზნების მიღწევას იძულებითი ინსტრუმენტებისა და ძალის გამოყენებით გულისხმობს. ამომრჩევლებსა და მთავრობას შორის არსებული ურთიერთობები სწორედ ამ კონტექსტში შეიძლება იყოს განხილული.

სლეიტერი და ფენერი (2011) ამტკიცებენ, რომ რეჟიმის სტაბილურობა და ხანგრძლივობა დამოკიდებული არიან ოთხ „ინფრასტრუქტურულ მექანიზმზე“. ეს მექანიზმები უმთავრესად ასოცირებული არიან სახელმწიფოს ინფრასტრუქტურულ და რეპრესიულ ძალაუფლებასთან და მოიცავს 1) მეტოქეების შევიწროებას, 2) სახელმწიფოს გადასახადების ამოღებას, 3) მოქალაქეების რეგისტრაციას და 4) ხელისუფლებაში მყოფ პოლიტიკურ რეჟიმზე დამოკიდებულების / დაქვემდებარების კულტივაციას. ამის საპირისპიროდ, გერშევსკის (2013) მიდგომა ითვალისწინებს სტაბილურობის საყრდენებს: ლეგიტიმაციას, რეპრესიასა და კოოპტირებას. ეს სამი საყრდენი თავად რეჟიმის მიერ არის შექმნილი დროთა განმავლობაში. გერშევსკის

მიერ აღწერილი ე.წ. „სტაბილიზაციის პროცესი“ უნდა აღიწეროს სწორედ ამ საყრდენებსა და რეჟიმზე მოქმედი შიდა და გარეგან ფაქტორებს შორის არსებულ ინტერაქციებზე დაკვირვებით (Gerschewski, 2013). ამ მიდგომის თანახმად, ხელისუფლება იყენებს ზემოთ აღწერილ ინსტრუმენტებს, რათა გაუმკლავდეს არსებულ ან პოტენციურ მოწინააღმდეგეებს - ოპოზიციურ პარტიებსა და კრიტიკულად განწყობილ ამომრჩევლებს. თუმცა, მიუხედავად არსებული იძულებითი და დარწმუნებითი მექანიზმებისა, ხელისუფლებას მაინც სჭირდება ლეგიტიმაცია და სახალხო მხარდაჭერა. სწორედ ამისთვის, მმართველი პოლიტიკური ელიტა აყალიბებს სხვადასხვა ტიპის კავშირებს საკუთარ ამომრჩეველთან. გერშევსკის მიდგომამ, საქართველოს კონტექსტში აჩვენა, რომ რეჟიმის ცვლილება, საბოლოო ჯამში, აღწერილ საყრდენებს შორის სტაბილურობის დარღვევამ გამოიწვია (Shubladze და Khundadze, 2017).

მკვლევრები განსაზღვრავენ პოლიტიკური რეჟიმის მმართველებსა და ამომრჩევლებს შორის არსებულ კავშირებს როგორც პოლიტიკურ ანგარიშვალდებულებას ამომრჩევლებს, პოლიტიკოსებსა და გადაწყვეტილებების მიმღებებს შორის (Kitschelt et al, 2009). ამომრჩევლებისათვის ეს ანგარიშვალდებულება ნიშნავს ყველაზე შესაფერისი და საუკეთესო არჩევანის გაკეთებას პოლიტიკური აქტორებსა და მათი დაპირებების განხილვისას. თავის მხრივ, პოლიტიკური ელიტისთვის ეს ნიშნავს ისეთი შეთავაზებებისა და დაპირებების წარმოდგენას, რომელიც ყველაზე მეტად მოხიბლავს რაც შეიძლება მეტ ამომრჩეველს. მაგალონი (2006) და ჰაუზერი (2014) მიიჩნევენ, რომ პოლიტიკურ აქტორებსა და ამომრჩეველთა შორის არსებული კავშირები ჰიბრიდული და დომინანტური პარტიებისთვის აუცილებელია. მთავრობებისთვის ამგვარი ურთიერთკავშირის საჭიროება დგება იმისთვის, რომ მოხდეს მოქალაქეთა კონტროლი, იდენტიფიცირება და მონიტორინგი. მიუხედავად რეპრესიული ბუნებისა, ასეთი ტიპის რეჟიმებიც კი საჭიროებენ მოქალაქეების ჩართულობას პოლიტიკურ ცხოვრებაში და მათ მხარდაჭერას. სწორედ ამ მიზნების გათვალისწინებით, არჩევნები ჰიბრიდული თუ შეჯიბრებითი ავტორიტარული რეჟიმებისთვის გამოიყენება მხარდამჭერებისათვის რესურსების მოპოვებისა და გადანაწილებისთვის კლიენტელისტური და პატრონაჟული მექანიზმების გამოყენებით (Lust-Okar, 2006, Magaloni, 2006). სწორედ აღნიშნული შეჯიბრობითობა

ზღუდავს პოლიტიკოსებს და უბიძგებს მათ ასეთი სახის კავშირების დამყარებას ამომრჩევლებთან (Kitschelt და Wilkinson, 2007).

ამომრჩევლებისა და ელიტას შორის არსებული კავშირები მნიშვნელოვანია განხილული რეჟიმების ფუნქციონირების აღსაწერად. ხელისუფლების ძალადობრივი ინსტიტუტების გამოყენებასთან ერთად ასეთი კავშირები წარმოქმნის ერთმანეთთან დაკავშირებულ კომპლექსურ მექანიზმებს, რომლებითაც შეიძლება აღიწეროს ჰიბრიდული რეჟიმების ფუნქციონირება. სწორედ ამიტომაც, შემდეგი თავი დაეთმო ხელისუფლებების მიერ გატარებული სხვადასხვა ტიპის პოლიტიკის განხილვას რბილი და ხისტი სტრატეგიების კონტექსტში.

2.2.3. საჯარო პოლიტიკის ფორმირება ჰიბრიდულ რეჟიმებში

ჰიბრიდულ რეჟიმებში პოლიტიკურ ელიტებს ორი მთავარი ხერხის გამოყენებით შეუძლიათ ზეგავლენა მოახდინონ ამომრჩევლებზე - მათი შევიწროებით ან მათი „მოქრთამვით“. ეს ორი მიდგომა სადოქტორო ნაშრომის ფარგლებში განსაზღვრულია როგორც რბილი და ხისტი სტრატეგიები. შემდეგომ ქვეთავში სწორედ ამ ორი სტრატეგიის განხილვა არის წარმოდგენილი ქართული კონტექსტის გათვალისწინებით.

2.2.3.1 რბილი სტრატეგიები

რბილი სტრატეგიები საკუთარ თავში მოიცავს ისეთი ტიპის სამთავრობო პოლიტიკას, როგორცაა სოციალური ხარჯვა, ეკონომიკური მანიპულაციები არჩევნების წინ და სხვა მრავალი პოპულისტური სტრატეგია. რბილი სტრატეგიების სიძლიერისა და ინტენსიურობის გაზრდით ხელისუფლება ცდილობს, რომ უფრო მეტად განამტკიცოს საკუთარი კავშირი ამომრჩევლებთან და უზრუნველყოს არჩევნებში გამარჯვება.

რიგი თეორიული პარადიგმების თანახმად, პარტიის ეკონომიკური პოლიტიკა ყველაზე მეტად ხელშესახებია ამომრჩევლისთვის, რადგანაც ის პირდაპირ აისახება მათ ეკონომიკურ კეთილდღეობაზე. არსებული ეკონომიკური სიტუაციის გათვალისწინებით, ინდივიდები გადაწყვეტენ, მისცენ ხმა ხელისუფლებას თუ მისცენ შანსი ოპოზიციას (Fair, 1996). ნორდჰაუსმა (1975) წამოაყენა ციკლური ცვლილებების თეორია, რომლის თანახმადაც უმუშევრობა და ინფლაციის დონე კავშირშია არჩევნების შედეგებთან. არსებობს მოსაზრება, რომ მოკლევადიანი დასაქმების

პროგრამები ან არჩევნების წინაპერიოდში განხორციელებული სოციალური პროგრამები, აგრეთვე, ახდენს ზეგავლენას ხმის მიცემის პროცესზე (Schuknecht, 2000).

გამოიყოფა რამდენიმე ფაქტორი, რომლებიც ხელს უწყობს ეკონომიკური და სოციალური მანიპულაციების გამოყენებას ჰიბრიდულ რეჟიმებში; მაგალითად, სახელმწიფოს ფინანსური ინსტიტუტების სიძლიერე და არჩევნების შეჯიბრობითობა (Kayser, 2005). ჰიბრიდულ რეჟიმებში, სადაც ყოველთვის დაისმის გარკვეული კითხვები არჩევნების შედეგებთან დაკავშირებით (ხელისუფლება არ არის უპირობოდ დარწმუნებული საკუთარ გამარჯვებაში), ფისკალური მანიპულაციების ალბათობა გაცილებით მაღალია (Brender და Drazen, 2005). ამასთანავე, ამ პირობის დაკმაყოფილებას ხელს უწყობს ის გარემოებაც, რომ ხელისუფლების სხვადასხვა შტოს შორის არ არსებობს მკვეთრად გამოხატული ძალაუფლების დანაწილება და სახელმწიფოს ყველა ინსტიტუტი მიმართულია ერთიანი საარჩევნო მიზნების შესრულებისკენ (Streb და Torrens, 2013). კლომპი და ჰაანი (2013) მიუთითებენ იმ გარემოებაზეც, რომ არსებული პოლიტიკური ბიზნეს-ციკლები დამოკიდებულია მთავრობის პოპულარობაზეც. საკუთარ კვლევაში მათ მასობრივი დემონსტრაციების სიხშირე გამოიყენეს მთავრობის პოპულარობის გასაზომად და დაასკვნეს, რომ ხელისუფლება უფრო ხშირად იწყებს ფისკალური მანიპულაციების გამოყენებას, როდესაც იზრდება ანტი-სახელისუფლებო გამოსვლები. 2007 წლის ნოემბრის მთავრობისა საწინააღმდეგო გამოსვლებისა და 2008 წლის საპრეზიდენტო არჩევნების შემდეგ, მთავრობამ დაამტკიცა სოციალური პროგრამა „საქართველო სიღარიბის გარეშე“, რომლის მიზანიც იყო სიღარიბის შემცირება და სოციალური დახმარების პროგრამების განხორციელება. შემდგომი 5 წლის განმავლობაში, საქართველოს ბიუჯეტის ერთი მესამედი სწორედ სოციალურ პროგრამებს ეთმობოდა.

საჯარო პოლიტიკისა და ფისკალური პოლიტიკის საშუალებით მანიპულაციების მნიშვნელობაზე ყურადღება გამახვილებულია გრინის (2010) ფართოდ ციტირებულ ნაშრომში „ავტორიტარული ერთპარტიული დომინირების პოლიტიკური ეკონომია“. ავტორი აღნიშნავს, რომ ჰიბრიდული და დომინანტური პარტიის რეჟიმებს შეუძლია გადაურჩეს სხვადასხვა კრიზისულ სიტუაციას, მაგალითად ცუდ ეკონომიკურ ვითარებას ან პოტენციური მოწინააღმდეგეების აღმოცენებას, თუკი მათ საჯარო რესურსების პოლიტიკების შესაძლებლობა აქვთ. გრინი (2010) აღნიშნავს, რომ

ამგვარი ქმედების გამოყენებით მთავრობას შეუძლია გარდაქმნას არსებული საზოგადოებრივი კაპიტალი პატრონაჟის საგნად და არალეგალური ფონდების გამოყენებით „იყიდოს ამომრჩეველთა ხმები, აჯობოს ოპოზიციას ყოველ ჯერზე და ამგვარად არჩევნების პროცესი არასამართლიანი გახადოს“. ენმ-ს პერიოდის პოლიტიკური ეკონომია სწორედ ამ ლოგიკას მიჰყვება: წინასაარჩევნო პერიოდში დაიგეგმა სოციალური და ეკონომიკური პროგრამები, რომლებიც ამომრჩეველთა „მოსათაფლად“ იყო გამიზნული. ამ პროგრამებს შორის იყო სახელმწიფო დასაქმების პროგრამები, პენსიების ზრდა წინასაარჩევნო პერიოდში, ვაუჩერების დარიგება და ინტენსიური ინფრასტრუქტურული და კულტურული ღონისძიებების გამართვა კონკრეტულ საარჩევნო ოლქებში (Transparency international Georgia, 2008, Natroshvili, 2012). ასეთი პროგრამების მიზანი სწორედ მმართველი პარტიის მიმართ დადებითი განწყობის შექმნა და მისთვის ხმის მიცემის ალბათობის გაზრდა იყო, რადგანაც პროგრამები სწორედ მმართველ პარტიასთან და არა სახელმწიფოსთან ასოცირდებოდა (Transparency international Georgia, 2012).

ქართულ კონტექსტში „დომინანტური პარტიების პოლიტიკური ეკონომიის“ კიდევ ერთი გამოვლინება ენმ-ს მიერ არჩეული სახელმწიფო კაპიტალიზმის ნეო-ლიბერალური მიდგომა გახდა. საქართველოს ხშირი შედარება ნეო-ლიბერალური მიდგომების ქვეყნებთან არა მხოლოდ მმართველი ელიტის რიტორიკა, არამედ რეალურად განხორციელებული რეფორმების და პოლიტიკის გამოძახილი იყო (Timm, 2013). სახელმწიფო რესურსების მონოპოლიზაცია და საბიუჯეტო სისტემის ცენტრალიზაცია აგრეთვე ჯდება ამ კონტექსტში - 2004 წლამდე მოგების გადასახადის 99% ადგილობრივ ბიუჯეტებში რჩებოდა, მაშინ როდესაც ენმ-ს რეფორმების შედეგად მოგების გადასახადის 100%-მა ცენტრალური ბიუჯეტში გადაინაცვლა და მხოლოდ შემდეგ ხდებოდა მათი რედისტრიბუცია მუნიციპალიტეტებში (Papava, 2006). ამას გარდა, „დეპრივატიზაციის“ გავრცელებულმა პრაქტიკამაც საშუალება მისცა ენმ-ს მკაცრად ეკონტროლებინა ქვეყნის ეკონომიკური და პოლიტიკურ პროცესები (Papava, 2006). მათ შორის, გამოეყენებინა აღნიშნული მეთოდებით აკუმულირებული ფინანსური რესურსები ისეთი რბილი სტრატეგიების ასამოქმედებლად, რომლებიც გაამყარებდა მმართველი გუნდის სტაბილურობასა და ლეგიტიმაციას.

2.2.3.2 ხისტი სტრატეგიები

სახელმწიფო ფონდებისა და რესურსების მანიპულაცია საჭიროა საკმარისი რაოდენობის ამომრჩევლის მოსაზიდად, თუმცა, ეს მაინც არ არის საკმარისი პირობა არჩევნების მოგებისთვის. ამ შემთხვევაში ჰიბრიდული რეჟიმის პოლიტიკურ ელიტას სამოქმედო არსენალში ყოველთვის აქვს იძულებითი მექანიზმები და ძალადობრივი ინსტრუმენტები ელექტორალური წარმატების მისაღწევად.

ბჰასინისა და განდის (2013) თანახმად, ჰიბრიდულ რეჟიმებში მთავრობა ხშირად დგას დილემის წინაშე, თუ როგორ დაიცვას იდეალური ბალანსი არჩევნების სანდოობასა და ძალაუფლების შენარჩუნებას შორის. მმართველი ელიტის მიზანი ყოველთვის არის მოსახლეობის წახალისება, რათა მან არჩევნებში მიიღოს მონაწილეობა, მაგრამ, ამავდროულად, ისინი დარწმუნებული უნდა იყვნენ იმაში, რომ ამომრჩევლები ხმას არ მისცემენ სხვა პოლიტიკურ ძალებს. რეჟიმები, ასეთ შემთხვევაში, იყენებენ სხვადასხვა ხერხს, რათა გადაჭრან ეს დილემა და ამ ხერხებს შორის ერთ-ერთი ყველაზე მნიშვნელოვანი მექანიზმია იძულებითი აქტივობები. უნდა აღინიშნოს, რომ ძალადობრივი მექანიზმების გამოყენებისას, რეჟიმები ითვალისწინებს რეპრესიების გამოყენების დროის შერჩევასა და მათი გამოყენების ინტენსივობას. ბჰასინისა და განდის (2013) კვლევა აჩვენებს, რომ მთავრობები, როგორც წესი, ზრდიან არჩევნების წინ ოპოზიციის წარმომადგენლების მიმართ რეპრესიებს, ხოლო ამომრჩევლები რეპრესიებს არჩევნების შემდგომ განიცდიან ხოლმე. ამიტომაც, რეპრესიების ზოგადი დონე არჩევნებს შორის პერიოდში შედარებით დაბალია და იზრდება წინასაარჩევნო პერიოდის დროს.

2006-2013 წლების საქართველოს ბიუჯეტის შესწავლისას, შესაძლებელია ძალადობის ციკლის აღმწერი ფისკალური მონაცემების ნახვა. „ინფორმაციის თავისუფლების განვითარების ინსტიტუტის“ (IDFI) მიერ შეგროვებული მონაცემების მიხედვით, ხელისუფლება ახდენდა ზეგავლენას მოქალაქეების დაჯარიმების რაოდენობაზე წინასაარჩევნო პერიოდში (IDFI, 2013). მოქალაქეებზე ზეგავლენის კიდევ ერთი მექანიზმი ხელისუფლებაზე მორგებული მართლმსაჯულების სისტემა იყო. პოლიტიკურად მოტივირებული დაჭერებისა და თავისუფლების აღკვეთის ფაქტებთან ერთად, ამ მოვლენებმა მნიშვნელოვანწილად გამოიწვია საქართველოში პატიმართა რაოდენობის დრამატული ზრდა 2004-2012 წლებში (GYLA, 2012).

2.2.3.3 კლიენტელიზმი, როგორც საჯარო პოლიტიკის ლოგიკა ჰიბრიდულ რეჟიმებში როგორც რბილი, აგრეთვე ხისტი სტრატეგიების გაერთიანება შესაძლებელია ე.წ. კლიენტელისტური საჯარო პოლიტიკის პარადიგმაში. საქართველოს მსგავსი ქვეყნების კონტექსტში ჩატარებული ემპირიული და თეორიული კვლევები ცხადყოფს, რომ ჰიბრიდული რეჟიმები ფართოდ იყენებენ აღნიშნულ მიდგომებს ამომრჩეველთა გულის მოსაგებად. შესაბამისად, აღნიშნული თეორიული პარადიგმის მიმოხილვა აუცილებელია ქართული კონტექსტის სრულყოფილად შესასწავლად. კიდევ ერთი მნიშვნელოვანი ფაქტორი, რაც კლიენტელიზმს საქართველოს კონტექსტთან აკავშირებს, ამ ფენომენის კავშირია საარჩევნო სისტემებთან. კვლევების თანახმად, მაჟორიტარული საარჩევნო სისტემის დროს იზრდება კლიენტელისტური საარჩევნო პოლიტიკის წარმოების ალბათობა (Pellicer და Wegner, 2013). საქართველოს საარჩევნო სისტემაში მაჟორიტარული კომპონენტი მუდამ იყო მნიშვნელოვანი ინსტრუმენტი მმართველი პოლიტიკური გუნდის ინტერესების გასატარებლად (Welton, 2007).

კიჩელტი (2000) განასხვავებს ქარიზმატულ, კლიენტელისტურ და პროგრამულ კავშირებს, რომლებსაც პოლიტიკოსები და ამომრჩეველები ამყარებენ ერთმანეთთან. ქარიზმატული კავშირი წარმოადგენს წმინდად სიმბოლური დატვირთვის მქონე ფენომენს. ის დაკავშირებულია ამომრჩეველთა მიერ პოლიტიკოსის პიროვნულ მახასიათებლებზე აქცენტის გაკეთებასთან. ასეთ დროს პოლიტიკოსი ან პოლიტიკური გუნდი მხარდაჭერას საკუთარი ქარიზმის, პირადი თვისებებისა და პერსონალური დნობის ხარჯზე იღებს. ამის საპირისპიროდ, პროგრამული კავშირები წარმოადგენს სრულიად საჯარო პოლიტიკაზე დაფუძნებულ პარტნიორობას. ამომრჩეველები, პოლიტიკურ პარტიას მხოლოდ იმიტომ უჭერენ მხარს, რომ პოლიტიკური პარტიის სამოქმედო გეგმა ან გეგმები შეესაბამება მათ იდეოლოგიურ პოზიციებს (Kitschelt, 2000). რაც შეეხება კლიენტელისტურ კავშირებს, კიჩელტის (2000) მიხედვით, ასეთ დროს ამომრჩეველებსა და პოლიტიკურ ელიტებს შორის არსებული კავშირები დამოკიდებულია არა ზოგადად საზოგადოებრივი ინსტიტუტების მიმართ ანგარიშვალდებულებაზე, არამედ უშუალო მხარდამჭერების მოთხოვნილებების დაკმაყოფილებაზე: პოლიტიკოსებმა დაპირებული სიკეთეები მხოლოდ იმ მოქალაქეებისთვის უნდა გახადონ ხელმისაწვდომი, რომლებმაც მათ ხმა

მისცეს არჩევნებში. ლაუსონი და გრინი (2014) ამტკიცებენ, რომ ე.წ. „ბროკერები“ - პირები, რომლებიც შუამავლობენ პარტიებსა და ამომრჩევლებს შორის და ჩართულნი არიან საზოგადოებრივი სიკეთეების გადანაწილების საქმეში - წარმოადგენენ კლიენტელისტური პოლიტიკური სისტემის განუყოფელ ნაწილს. ავტორები აღნიშნული მოდელის ახსნის დროს ყურადღებას ამახვილებენ ადამიანური ურთიერთობის ფუნდამენტურ მახასიათებელზე - ნაცვალგებაზე (*ინგ. reciprocity*). როდესაც ადამიანები იღებენ გარკვეულ მატერიალურ ან არამატერიალურ სარგებელს, ისინი თავს ვალდებულად თვლიან საპასუხო ქმედებით გამოხატონ მადლიერება.

ელიტასა და ამომრჩევლებს შორის არსებული ასეთი კლიენტელისტური კავშირები გამოკვლეულია პოსტ-საბჭოთა ქვეყნების კონტექსტშიც (Birch, 1997; Golosov, 2013; Trubina, 2015). ანალოგიური კვლევები ცხადყოფს კლიენტელისტური კავშირების არსებობას საქართველოს კონტექსტშიც (Savage, 2013; Radnitz, 2017). რადნიცი (2015) კლიენტელიზმსა და რესურსების გადანაწილებას ქართულ კონტექსტში ეთნიკურ განსხვავებებს უკავშირებს და ემპირიულად წარმოაჩენს, თუ როგორ აღიქვამენ საქართველოს მოქალაქეები ქართულ პოლიტიკურ სისტემას, როგორც კლიენტელისტურსა და პატრონაჟულს, როდესაც საქმე ეხება საზოგადოებრივი სიკეთეების მიწოდებას. რაც შეეხება სევიჯის (2013), მისი კვლევა ცხადყოფს პოლიტიკურ ელიტების დამოკიდებულებას საკუთარი მოქალაქეების მიმართ და ეს დამოკიდებულება, თავის მხრივ, დაკავშირებულია ერთგვარ დაუწერელ, ურთიერთსარგებლის მიღებაზე ორიენტირებულ ქმედებებთან: პოლიტიკური ელიტები სთავაზობენ მოსახლეობას კონკრეტული სარგებლის მიღებას ელექტორალური მხარდაჭერისა და ლეგიტიმაციის სანაცვლოდ. საქართველოში ჩატარებული სხვა კვლევები, აგრეთვე, ადასტურებს ქართული პოლიტიკური კულტურის კლიენტელისტურ ბუნებას (Sumbadze და Tarkhan-Mouravi, 2001). ქართული პოლიტიკის მკვლევარებმა აგრეთვე დაადგინეს, რომ კლიენტელიზმი წარმოადგენს მნიშვნელოვან ფაქტორს ადგილობრივი თვითმმართველობისა და სხვა პოლიტიკური თანამდებობების დაკავების დროს, რომელიც მიზნად ისახავს სახელმწიფო რესურსების გადანაწილებას პერსონალური და პარტიისთვის საჭირო მიზნების მისაღწევად (Kupatadze, 2016).

ამგვარად, რეჟიმსა და ამომრჩევლებს შორის არსებული ურთიერთობა შეიძლება სამი განზომილებით აღიწეროს. საწყის ეტაპზე, მმართველი ელიტა იყენებს ორ ძირითად მიდგომას - ამომრჩევლების „მოთაფვლა“ ან მათი დაშინება. ამის მიუხედავად, მმართველი ელიტა მხოლოდ ასეთი დიქტომიური ტიპის მეთოდებით არ შემოიფარგლება და ის დროთა განმავლობაში ცდილობს დაამყაროს ეგრეთ წოდებული კლიენტელისტური კავშირები მოსახლეობასთან. ასეთი მიდგომების გამოყენების დროს კი მმართველ გუნდს უწევს გამოიყენოს ხელთ არსებული ყველა შესაძლო რესურსი, რათა დააკმაყოფილოს ე.წ. „მედიანური ამომრჩევლის“⁸ მოთხოვნები. თუმცა, ჰიბრიდული ქვეყნების კონტექსტში მმართველ გუნდს, მიუხედავად არსებული რესურსებისა და უპირატესობებისა, არ აქვს ბოლომდე მონოპოლიზებული კლიენტელისტური მეთოდების გამოყენება. პოსტ-კომუნისტური ქვეყნების კონტექსტში ჩატარებულმა კვლევებმა აჩვენა, რომ კლიენტელისტური ტიპის პოლიტიკური ურთიერთობები დამახასიათებელია არსებული პოლიტიკურის სისტემის ყველა სუბიექტისთვის, განურჩევლად პარტიული აფილაციისა, ხელისუფლებაში თუ ოპოზიციაში ყოფნისა (Protsyk და Matichescu, 2011). გრინის (2007) მიხედვით, მმართველი ძალა ყოველთვის იღწვის, რომ *„მედიანურ ამომრჩეველს მმართველი პარტიის შემოთავაზებული პოლიტიკა და პატრონაჟი უფრო მოეწონოს, ვიდრე ოპოზიციის მიერ შემოთავაზებული ანალოგიური დაპირებები“*. აღნიშნული გარემოება მიუთითებს კლიენტელისტური სისტემის დინამიკურობასა და ჰიბრიდული ქვეყნების კონტექსტში პოპულისტური საარჩევნო გარემოს არსებობაზე (Pappas, 2014).

საჯარო პოლიტიკა ჰიბრიდულ რეჟიმებში, სხვა მიზნებთან ერთად, წარმოადგენს მმართველი პოლიტიკური გუნდების ინსტრუმენტს სასურველი საარჩევნო შედეგების მისაღწევად. არჩევნები ამ კონტექსტში მნიშვნელოვანია იმდენად, რამდენადაც საბოლოო ჯამში სწორედ ელექტორალური ლეგიტიმაცია არის ყველაზე მნიშვნელოვანი ფაქტორი ჰიბრიდულ სისტემებში ხანგრძლივი სტაბილურობის შესანარჩუნებლად. მიუხედავად ამ ზოგადი კანონზომიერებისა, ცალკე აღებულ

⁸ ამ შემთხვევაში იგულისხმება median voter (მედიანური ამომრჩეველი) – ამომრჩევლის იდეალური ტიპი, რომელიც აერთიანებს ყველაზე გავრცელებული სოციო-ეკონომიკური, კულტურული და პოლიტიკური ღირებულებებისა და მოთხოვნილებების მოქალაქეს (Scervini, 2012).

ქვეყანაში მთავრობის მიერ განხორციელებულ სხვადასხვა პოლიტიკას განსხვავებული შედეგები მოჰყვება. თუ მხედველობაში მივიღებთ ამ გარემოებას, ამომრჩეველთა პასუხი მთავრობების მიერ განხორციელებულ პოლიტიკაზე დამოკიდებული იქნება სწორედ განხორციელებული ნაბიჯების ბუნებასა და მათ მიერ გამოწვეულ შედეგებზე. ამრიგად, ამომრჩეველთა ქცევის ახსნისთვის საჭიროა, აგრეთვე, გამოაშკარავდეს მთავრობის მიერ განხორციელებული პოლიტიკის კონკრეტული შედეგები. შემდეგი ქვეთავი სწორედ ამ საკითხის მიმოხილვას ეხება.

2.2.4 მთავრობის მიერ განხორციელებული პოლიტიკის შედეგები

ჰიბრიდულ რეჟიმებში პოლიტიკური პროცესების დინამიკაზე საქართველოს კონტექსტში საუბრისას, აუცილებლად უნდა გავითვალისწინოთ იმ მკვლევართა ნაშრომები, რომლებიც ფოკუსირდება პოსტსაბჭოთა და პოსტკომუნისტურ ქვეყნებში მომხდარი რეფორმების შესწავლაზე. ამ დისკუსიის ფარგლებში ხშირად მოიხსენიებენ „სამმაგი რეფორმების“ ჯგუფს: სახელმწიფოს მშენებლობა, საბაზრო ეკონომიკის მშენებლობა და დემოკრატიის მშენებლობა (Offe და Adler, 1991). სწორედ ამ კონტექსტში უნდა განვიხილოთ საქართველოში განვითარებული მოვლენებიც, რადგანაც სწორედ ამ სამი ამოცანის შესრულებაზე აკეთებდა აქცენტს საქართველოს ყველა მთავრობა 1990-იანი წლების ბოლოდან მოყოლებული. აგრეთვე, სწორედ ამ დისკურსის ფარგლებში ხდებოდა ისეთი პოლიტიკური და ეკონომიკური რეფორმების გატარება, რომლებმაც საბოლოოდ საზოგადოებაში უთანასწორობისა და პოლარიზაციის ზრდას შეუწყო ხელი (Milanovic, 1998; Malesky, Abrami, და Zheng, 2011). ქვემოთ გადმოცემულ ქვეთავებში სწორედ აღნიშნული საკითხებია განხილული: როგორი იყო 2004-2012 წლებში საქართველოში განხორციელებული პოლიტიკისა და რეფორმების ლოგიკა; და რა შედეგები მოიტანა ამ რეფორმების განხორციელებამ საქართველოში მოსახლეობას სოციალური და პოლიტიკური პოლარიზაციის კონტექსტში.

2.2.4.1 რეფორმები

ჰიბრიდულ რეჟიმებში განხორციელებული რეფორმების შედეგად წარმოქმნილი უთანასწორობის შესახებ არსებული ლიტერატურა ყურადღებას ამახვილებს განხორციელებული რეფორმების ნეო-ლიბერალურ ბუნებაზე (Karl, 1995; Roberts, 2002). საქართველოს კონტექსტში, 2003 წლიდან დაწყებული რეფორმების ბუნება

მკვლევართა მიერ მოინათლა როგორც ნეო-ლიბერალური სახელმწიფოს მშენებლობა, რომელიც უფრო ორიენტირებული იყო ancien régime⁹-ის დემონტაჟზე, ახალი სახელმწიფოებრივი ინსტიტუტების მშენებლობაზე, და დომინანტური პარტიის რეჟიმის დე-ფაქტო კონსოლიდაციაზე (Lazarus, 2010). ამავდროულად, აღნიშნული რეფორმები, ენმ-ს მმართველობის საწყის ეტაპზე, მნიშვნელოვანწილად დაკავშირებული იყო მოდერნიზაციულ მიდგომებთან და საზოგადოებრივი ინსტიტუტების დასავლურ სტანდარტებთან დაახლოებასთან (Shubladze და Khundadze, 2017).

მთავრობაში ენმ-ს მოსვლის შემდეგ, მრავალი რადიკალური სოციალური და ეკონომიკური რეფორმა განხორციელდა, რომლებმაც მნიშვნელოვანი ზეგავლენა მოახდინა საქართველოს მოსახლეობის ფართო მასებზე (Papava, 2013). 2003 წლის შემდეგ, ახალმა მთავრობამ რადიკალური ლიბერალური რეფორმები განახორციელა, რომლებიც დაფუძნებული იყო ანტიკორუფციულ ღონისძიებებზე, სახელმწიფოებრიობის განმტკიცებაზე, დერეგულაციასა და ეკონომიკაში სახელმწიფოს ჩარევის შემცირებაზე (Gugushvili, 2017). გუგუშვილი (2017) აღნიშნავს, რომ, განხორციელებული რეფორმების შედეგად საქართველო საერთაშორისო ინსტიტუტებისთვის მისაბადი მაგალითი გახდა: მსოფლიო ბანკის ბიზნესის კეთების ინდექსში ქვეყანა 2012 წელს მეცხრე ადგილზე¹⁰ იყო, ხოლო ეკონომიკური თავისუფლების ინდექსში - 34-ე ადგილზე¹¹ (World Bank, 2016a; Heritage Foundation, 2016). საერთაშორისო ორგანიზაციებზე რეფორმების სწორება, გარდა მმართველი ელიტის იდეოლოგიური შეხედულებებისა, გამოწვეული იყო, აგრეთვე, ქვეყანაში შეზღუდული ფინანსური და მატერიალური რესურსებით. შედეგად, მთავრობამ მიმართა უცხოური ინვესტიციების მოზიდვის ტაქტიკას, რაც გამოიხატებოდა პირდაპირ უცხოურ ინვესტიციებზე არსებით დამოკიდებულებაში (Timm, 2014). შეიძლება ითქვას, რომ ამ ტაქტიკამ მთავრობა უფრო მეტად ანგარიშვალდებული გახადა გარეგანი აქტორების, ვიდრე შინაგანი, ელექტორალური აქტორების მიმართ.

⁹ ფრ. „ძველი რეჟიმი“. იგულისხმება 2003 წლის „ვარდების რევოლუციამდე“ პოლიტიკური სისტემა.

¹⁰ აღსანიშნავია, რომ ეს რანგი 2012 წლის შემდგომ შეიცვალა. 2020 წელს საქართველოს ამ რეიტინგში მეშვიდე ადგილი ეკავა (World Bank, 2020a).

¹¹ მსგავსად ბიზნესის კეთების რეიტინგისა, 2012 წელთან შედარებით გაუმჯობესდა ეკონომიკური თავისუფლების ინდექსიც. 2020 წლის მონაცემებით საქართველო 77.1 ქულით მსოფლიოში მეთორმეტე ადგილზე იყო (Heritage Foundation, 2020)

თუმცა, 2007-2008 წლის მსოფლიო ეკონომიკური კრიზისისა და შემცირებული უცხოური ინვესტიციების გამო მთავრობა უკვე შიდა რესურსების მაქსიმალურად გამოყენებაზე გადაერთო, რაც საქართველოში მოღვაწე არასამთავრობო ორგანიზაციების მიერ „საგადასახადო ტერორიზმად“ მოინათლა: ეს პოლიტიკა გულისხმობდა კერძო საკუთრების, ბიზნეს სექტორისა და გადასახადების გადამხდელების მაქსიმალურად შევიწროებასა და მათგან რესურსების გამოწურვას (Transparency international Georgia, 2010). ამ მიზნების მისაღწევად, მთავრობამ ბიუროკრატიული აპარატის რადიკალური რეფორმებიც განახორციელა, რომელთა შედეგმაც, გაუმჯობესებული ეფექტურობის გარდა, გამოიწვია ბიუროკრატიული აპარატის პოლიტიზაცია, ავტონომიურობის დაქვეითება და საჯარო მოხელეებში მმართველი პარტიისადმი ლოიალურობის პრინციპების დანერგვა (Bolkvadze, 2017). თავის მხრივ, ეს გარემოებაც საზოგადოებაში პოტენციური დაპირისპირებისა და გახლეჩის წინაპირობა გახდა. ნეო-ლიბერალურმა რეფორმებმა გარდა ეკონომიკური პოლიტიკის, სახელმწიფო ინსტიტუტებისა და ბიუროკრატიული აპარატისა, გავლენა იქონია, აგრეთვე, საჯარო პოლიტიკის სხვა ასპექტებზეც, მაგალითად განათლების პოლიტიკაზე. განათლების რეფორმამ, ერთი მხრივ, გაზარდა სისტემის ეფექტურობა და აღმოფხვრა კორუფცია საწყის დონეზე, მაგრამ კვლავ ძალაში დატოვა სისტემური უთანასწორობა და განათლების ხელმისაწვდომობის პრობლემები (Chankseliani, 2014). განათლების სისტემის პროფესიონალები, ხშირ შემთხვევაში, ბიუროკრატიული აპარატის აქტორების მსგავსად, განიცდიდნენ წნეხს მმართველი პოლიტიკური რეჟიმის მხრიდან.

საბოლოო ჯამში, განხორციელებულმა რეფორმებმა ვერ გადაჭრა 2000-იანი წლების ქართული სოციალური და ეკონომიკური პრობლემები. მიუხედავად დეკლარირებული თანასწორობისა და მერიტოკრატიული ღირებულებებისა, ენმ-ს მიერ განხორციელებულმა რეფორმებმა არ ან ვერ აღმოფხვრა არაფორმალური პრაქტიკები დასაქმების, ბიზნესის კეთებისა და საჯარო პოლიტიკის განხორციელების სფეროში (Aliyev, 2014; Abashidze და Selimashvili, 2015). ნეო-ლიბერალური რეფორმების შედეგად არ აღმოფხვრა სიღარიბე, უმუშევრობა და არ მომხდარა ქართული ეკონომიკის სიღრმისეული გარდაქმნა: ეკონომიკურად აქტიური მოსახლეობის მნიშვნელოვანი ნაწილი კვლავ ჩართული იყო ნაკლებად ეფექტიან

ეკონომიკურ აქტივობებში, რომლებიც ვერ უზრუნველყოფდნენ შესაბამისი სოციალური სიკეთეების გენერირებას (Gugushvili, 2017). საბოლოო ჯამში, გატარებული ღონისძიებების შედეგად, საზოგადოებაში გაიზარდა უკმაყოფილება რეფორმებით, რომლებმაც გამოიწვია უთანასწორობისა და პოლარიზაციის ზრდა ქვეყანაში (Rekhviashvili და Polese, 2017). რეფორმებმა, საწყის ეტაპზე, გაზარდა სახელმწიფო სტრუქტურების ეფექტურობა, თუმცა, შემდგომში, ეს ეფექტურობა უმთავრესად ემსახურებოდა პოლიტიკური რეჟიმის სტაბილურობისა და ლეგიტიმაციის შენარჩუნებას. შეგვიძლია გამოვყოთ ორი მნიშვნელოვანი საკითხი, რომლებმაც განსაზღვრა ამომრჩეველთა ქცევა: სოციო-ეკონომიკური უთანასწორობა და მზარდი პოლიტიკური პოლარიზაცია.

2.2.4.2 უთანასწორობა

უთანასწორობის შესახებ არსებული ლიტერატურის ნაწილი მიუთითებს იმ გარემოებაზე, რომ დემოკრატია და საბაზრო ეკონომიკაზე გადასვლის პერიოდში შეიძლება მოხდეს უთანასწორობის გაზრდა (Acemoglu et al 2013). როგორც კარლეს ბოიქსი (2003) აღნიშნავს, მემარჯვენე ტიპის ავტორიტარული ან დომინანტური პარტიების რეჟიმის მქონე ქვეყნებში მოსახლეობის ღარიბი ფენების უგულვებელყოფით იზრდება ეკონომიკური უთანასწორობა. გარდა ამისა, ქვეყნის არა ურბანული და სოფლის მეურნეობაში ჩართული მოსახლეობის მაღალი დონე, როგორც ეს საქართველოშია, უთანასწორობის ზრდის ერთ-ერთი წინაპირობაა (Malesky, Abrami, და Zheng, 2011). უთანასწორობის, როგორც პოლიტიკური პროცესისთვის თანმდევი მნიშვნელოვანი ფაქტორზე საქართველოში მიუთითებდა როგორც ოფიციალური სტატისტიკა, ასევე მოსახლეობის გამოკითხვები და ექსპერტების შეფასებები (Anjaparidze, 2012).

საქართველოში ნეო-ლიბერალური ყაიდის რეფორმებმა დასაკვირვებელი პერიოდის განმავლობაში უთანასწორობა სოციალურ ფენებს შორის გაზარდა. ეს გამოიხატებოდა როგორც მოსახლეობის დასაქმების რეალური მაჩვენებლების შემცირებაში, აგრეთვე საზოგადოებრივი დოვლათის გადანაწილებაში (Bauman, 2012). 2009 წელს მსოფლიო ბანკის მიერ გამოქვეყნებული სიღარიბის შეფასების ანგარიშის მიხედვით მთავრობის მიერ ეკონომიკისა და დასაქმების სფეროში გატარებული რეფორმები ქვეყანაში სოციალური უთანასწორობისა და სიღარიბის გამომწვევ უმთავრეს მიზეზად

დასახელდა. მართალია რეფორმების შედეგად გაჩნდა დასაქმების ახალი კერები და ხელფასების ნომინალური მაჩვენებლებიც გაიზარდა, თუმცა აღნიშნული რეფორმების სარგებელი მოსახლეობის მხოლოდ მცირე სეგმენტს შეეხო (World Bank, 2009).

საქართველოში უთანასწორობის სტაბილური მდგომარეობის შენარჩუნებას მიუთითებდა ქვეყანაში ე.წ. ქრონიკული სიღარიბისა და უთანასწორობის მაღალი მაჩვენებლები (Kakulia, Kapanadze, და Khurkhuli, 2017). 2012 წლების არჩევნებზე ამ ფაქტორების გავლენა არ გამოპარვიათ მეცნიერებს, რომლებიც იკვლევდნენ პოლიტიკური მმართველობის ცვლილებას საქართველოში. პოლიტიკური ოპოზიციის დასაყრდენი, გარდა დემოკრატიული ღირებულებების განმტკიცებისა, აგრეთვე მზარდი ეკონომიკური უთანასწორობისა და სიღარიბის აღმოფხვრასთანაც იყო დაკავშირებული (Cecire, 2012). კავშირი ეკონომიკურ უთანასწორობასა და მმართველი პარტიის მიერ ძალაუფლების შენარჩუნებას შორის ნაჩვენებია საქართველოს, როგორც ჰიბრიდული პოლიტიკური რეჟიმის, მაგალითზეც. სომხეთისა და საქართველოს პოლიტიკური რეჟიმების შედარებითი ანალიზი ცხადყოფს, რომ საქართველოსთან შედარებით დაბალმა უთანასწორობამ სომხეთში, საბოლოო ჯამში, უზრუნველყო სომხეთის იმდროინდელი პოლიტიკური რეჟიმის სტაბილურობა შედარებით უფრო ხანგრძლივი ვადით (Shubladze და Khundadze, 2017).

მზარდ ან პერმანენტულ უთანასწორობასთან ერთად, სოციალური მობილობის პრობლემაც მნიშვნელოვანი ფაქტორი შეიძლება აღმოჩნდეს არსებული რეჟიმისადმი ნეგატიური დამოკიდებულების დაგროვებისთვის. უთანასწორობასთან ერთად აღმავალი სოციალური მობილობის არარსებობის პრობლემაც იწვევს საზოგადოებაში უკმაყოფილების ზრდას, პოლიტიკურ პოლარიზაციას და ზრდის არსებული სტატუს-კვოს შეცვლის მომხრეთა რაოდენობას (Leventoglu, 2005).

2012 წელს, ეკონომისტმა ალან კრუგერმა (2012) აღწერა ე.წ. „დიდი გეტსების მრუდი“, რომელიც აჩვენებს, თუ როგორი კავშირი არსებობს სოციალური მობილობასა და უთანასწორობას შორის. აღნიშნული მრუდის თანახმად, თაობათაშორისი სოციალური მობილობა მნიშვნელოვანწილად განპირობებულია ამჟამინდელი სოციო-ეკონომიკური სტატუსით (Krueger, 2012). ამჟამინდელი სოციო-ეკონომიკური

მდგომარეობა, აგრეთვე, განაპირობებს მომავლის პერსპექტიულობის აღქმასაც. დომინანტური პარტიებისა და ჰიბრიდული რეჟიმების ქვეყნების მაგალითზე ჩატარებულმა კვლევებმა აჩვენა, რომ სოციალური ჯგუფებისთვის აღმავალი სოციალური მობილობის არსებობა, ანუ მომავლის ოპტიმისტურად ხედვა მნიშვნელოვანია. როდესაც კითხვის ნიშნის ქვეშ დგება სოციალურ მობილობის შესაძლებლობა და არსებული სოციალური კეთილდღეობა, მაშინ რეჟიმის შეცვლის ალბათობა მნიშვნელოვნად იზრდება (Leventoğlu, 2014). კავკასიის ბარომეტრის 2012 წლის მონაცემების თანახმად, 2012 წლის საპარლამენტო არჩევნების წინ მოსახლეობის უმრავლესობა სკეპტიკურად იყო განწყობილი მომავლის მიმართ: კითხვაზე, თუ სად წარმოედგინათ საკუთარი ოჯახის ადგილი ეკონომიკური მდგომარეობის წარმოსახვით 10 ქულიან სკალაზე, მოსახლეობის აბსოლუტურ უმრავლესობას არ ჰქონდა ჩამოყალიბებული პასუხი (იხილეთ გრაფიკი 2.2.1.1 დანართში 2.2.1). მეტიც, როდესაც იმ წლების მონაცემებში ამჟამინდელი და მომავალი ეკონომიკური მდგომარეობის შესახებ პასუხებს ერთმანეთს შევუპირისპირებთ, აღმოჩნდება, რომ მოსახლეობის მნიშვნელოვან ნაწილს არ აქვს ეკონომიკური მდგომარეობის გაუჯობების მოლოდინი (Caucasus Barometer, 2008-2015).

სიღარიბისა და უთანასწორობის ფაქტორი, მიჩნეული იყო მოსახლეობასა და მმართველ ელიტას შორის გაუცხოებისა და სოციალური პოლარიზაციის გამომწვევ პოტენციურ ფაქტორად 2012 წლამდე პერიოდშიც (MacFarlane, 2011). თეორიული მოსაზრებების ემპირიულად გადამოწმებაც ცხადყოფს ამ დაკვირვების ობიექტურობას. საარჩევნო შედეგებისა და მოსახლეობის მატერიალურ-სოციალური მდგომარეობის შეპირისპირების კვლევამ, 2012 წლის საქართველოს საპარლამენტო არჩევნების მაგალითზე ნათლად აჩვენა, რომ დაბალი სოციო-ეკონომიკური სტატუსის ქონა ზრდიდა ოპოზიციური პარტიისადმი ხმის მიცემის ალბათობას (Gugushvili, 2012). შემოსავლების არათანაბარი გადანაწილება და ეკონომიკური უთანასწორობა იმგვარად იყო გამოხატული გეოგრაფიულ ჭრილში, რომ შესაძლებელია არჩევნების შედეგებთან კორელაციური კავშირის დადგენა. თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტთან არსებული ეკონომიკის საერთაშორისო სკოლის (ISET) მკვლევართა გამოთვლებით, 2011 წელს ჯინის ინდექსი განსხვავებულად არის წარმოდგენილი საქართველოს პოლიტიკურ-ეკონომიკურ რეგიონებში. ტრადიციულად მმართველი

პარტიისადმი დადებითად განწყობილ რეგიონებში¹² - სამეგრელოსა და ქვემო ქართლში - ჯინის ინდექსის მაჩვენებელი შედარებით დაბალი (ე.ი. უთანასწორობის მაჩვენებელი დაბალია), ვიდრე იმ რეგიონებში, რომლებმაც 2012 წელს ოპოზიციას დაუჭირეს მხარი - მაგალითად, მცხეთა-მთიანეთსა და აჭარაში (ISET, 2011). დამატებით, სივრცითი ანალიზის მეთოდებით ჩატარებულ კვლევაში სიჭინავა (2017) აჩვენებს, რომ რეგიონული ფაქტორი მნიშვნელოვანი იყო 2000-იან წლებში ჩატარებულ საპრეზიდენტო და საპარლამენტო არჩევნებში, მათ შორის რეგიონებს შორის არსებული უთანასწორობის გამოც. შესაბამისად, მომდევნო ქვეთავი სწორედ ეკონომიკური და სოციალური უთანასწორობით გამოწვეულ ისეთ საკითხს შეეხება, როგორც არის პოლიტიკური და საზოგადოებრივი პოლარიზაცია.

2.2.4.3 პოლიტიკური და საზოგადოებრივი პოლარიზაცია

საზოგადოებაში მზარდი სოციო-ეკონომიკური უთანასწორობის ლოგიკურ გაგრძელებად პოლიტიკური პოლარიზაცია და წარმოქმნილი სტატუს კვოთი უკმაყოფილო და კმაყოფილი ფენების დაპირისპირება შეიძლება მივიღოთ. ხშირად უთანასწორობა უშუალოდ არის დაკავშირებული პოლარიზაციასთან: ამ დასკვნამდე მივიდნენ ერლი და გელბახი (2015) უკრაინის 2004 წლის ნარინჯისფერი რევოლუციის გამომწვევი შედეგების კვლევისას. საზოგადოებაში მზარდი სოციო-ეკონომიკური უთანასწორობის ლოგიკურ გაგრძელებად პოლიტიკური პოლარიზაცია და წარმოქმნილი სტატუს კვოთი უკმაყოფილო და კმაყოფილი ფენების დაპირისპირება შეიძლება მივიღოთ. სამეცნიერო ლიტერატურაში აღწერილია, რომ ხშირად უთანასწორობა უშუალოდ არის დაკავშირებული პოლარიზაციასთან. მაგალითად, ერლმა და გელბახმა (2015) შეისწავლეს 2004 წელს უკრაინაში ხელისუფლების ცვლილების შემდეგ როგორ იცვლებოდა სხვადასხვა საწარმოების პროდუქტიულობა და მომგებიანობა. შედეგების მიხედვით, პრო-სახელისუფლებო რეგიონებში მომუშავე საწარმოებმა პრო-ოპოზიციურ რეგიონებში მდებარე საწარმოებთან შედარებით 15 პროცენტით გაზარდეს საკუთარი პროდუქტიულობა (Earle და Gehlbach, 2015). თავის მხრივ, ეს განსხვავება შემდგომში უკრაინული საზოგადოების პოლარიზაციაში გადაიზარდა, რომლის შედეგებსაც უკრაინის სახელმწიფო ჯერ კიდევ განიცდის. პოლიტიკური და სოციალური დაპირისპირების გავლენა

¹² დეტალურ ცხრილი იხელით დანართში, ცხრილი 2.2.1.3 დანართში 2.2.1

პოლიტიკურ და სოციალური საკითხებზე გამოკვლეულია ქართულ კონტექსტშიც, კერძოდ კი რეგიონულ-სოციალური განსხვავებების ჩვენებით არჩევნების შედეგების ანალიზის დროს (Sichinava, 2017). თავის სადისერტაციო ნაშრომში „საქართველოს მოსახლეობის ელექტორალური ქცევის გეოგრაფიული თავისებურებები (2008-2014 წლების არჩევნების მაგალითზე)“ სიჭინავა (2014) აჩვენებს, რომ დასავლური დემოკრატიებისთვის დამახასიათებელი დაპირისპირებების თეორიის გამოყენება ქართულ კონტექსტში შეიძლება. სახელდობრ, მართალია შეუძლებელია ლიპსეტისა და როკანის (1967) სოციალური დაპირისპირების თეორიის სრულად გადმოტანა ქართულ კონტექსტში, თუმცა ლიპსეტისა და როკანისეული მიდგომის კონკრეტული ასპექტების - ეკონომიკურ და სოციალურ კლასებს შორის განსხვავება, გეოგრაფიული ანტაგონიზმი, რელიგიური და ეთნიკური განსხვავებები - დაკვირვება მაინც შესაძლებელია ქართველი ამომრჩევლის ქცევებზე. დამატებით არგუმენტები ამ მოსაზრებასთან დაკავშირებით მოცემულია ევანსისა და უატვილდის (2000) კვლევაში, რომლებიც ამტკიცებენ რომ პოსტ-საბჭოთა და სოციალისტური ქვეყნებისთვის დამახასიათებელი დაყოფები, მჭიდროდ არიან დაკავშირებული პოლიტიკურ პროცესებთან.

სწორედ ასეთი სიტუაციების ახსნის დროსაც შეგვიძლია გამოვიყენოთ ასემოლლუსა და რობინსონის (2006) მიერ შემოთავაზებული პოლიტიკური ტრანზიციის თეორია. ამ მოდელის თანახმად, ავტორიტარული ან ჰიბრიდული რეჟიმის მქონე ქვეყნებში საზოგადოების მდიდარ და ღარიბ ფენებს შორის არსებულმა დაპირისპირებამ შეიძლება გამოიწვიოს ხელისუფლების ან რეჟიმის ცვლილება. მკვლევრების აზრით, ისტორიული გამოცდილება სწორედ სოციალური უთანასწორობის, დამაბულობისა და უწესრიგობის დროს განხორციელებული რეჟიმების ცვლილებაზე მიუთითებს (Acemoglu და Robinson, 2006). ასემოლლუ და რობინსონი (2006) მიიჩნევენ, რომ მოქალაქეების მხრიდან პოლიტიკური ცვლილებების საკითხის დაყენების ალბათობა ჯგუფთაშორისი უთანასწორობის პირდაპირპროპორციულად იზრდება. ამ თვალსაზრისით, უთანასწორობა არის კატალიზატორი, რომელიც ქვეყანაში საზოგადოებრივი სიკეთეების უფრო სამართლიანი გადანაწილების მოთხოვნას აჩენს (Acemoglu და Robinson, 2001). ამრიგად, საყურადღებო ხდება იმ ინტერესთა ჯგუფებს

შორის წარმოქმნილი დაპირისპირებაც, რომლებმაც არსებული რეჟიმის დროს მიიღეს სარგებელი ან იზარალებეს გატარებული რეფორმებისა და პოლიტიკის შედეგად.

საზოგადოებრივი დაპირისპირების წარმოქმნის კიდევ ერთი მიზეზი, გარდა უკვე აღწერილი ტრადიციული საზოგადოებრივი დაყოფებისა, დაკავშირებული იყო რეფორმების ქვეთავში აღწერილი საჯარო პოლიტიკის შედეგად აღმოცენებული „მოგებული“ და „წაგებული“ ჯგუფების არსებობასთანაც. ევანსმა (2002) და უაიტფილდმა (2006) განავითარეს თავიანთი მოსაზრებები პოსტ-კომუნისტურ საზოგადოებებში დაპირისპირებების წარმოქმნის შესახებ და აღნიშნული ფენომენი დაუკავშირეს საზოგადოებრივი მოდერნიზაციას. რეფორმების ქვეთავში განხილულია, რომ მთავრობის მიერ 2004 წლიდან განხორციელებული რეფორმები ხშირ შემთხვევაში დაკავშირებული იყო სახელმწიფო ინსტიტუტების კარდინალურ გარდაქმნასთან. ვარდების რევოლუციის შედეგად განხორციელებული ნეო-ლიბერალური ეკონომიკური რეფორმები კი მოდერნიზაციისა და ევროპეიზაციის სახელით აღსრულდებოდა (Cheterian, 2008). ამ გარემოებამ საზოგადოებაში გარკვეულწილად ანტი-დასავლური სენტიმენტების ჩამოყალიბებას შეუწყო ხელი მათ შორის, ვისზეც მთავრობის მიერ განხორციელებული რეფორმები ნეგატიურად აისახა (Papava, 2006). ანტი-დასავლური სენტიმენტების ზრდასთან ერთად, გაიზარდა საზოგადოებაში იმ ადამიანთა წილიც, რომლებსაც სურდა რუსეთთან გაუმჯობესებული ურთიერთობები და არ ეთანხმებოდნენ მთავრობის მიერ გატარებულ პოლიტიკას რუსეთთან მიმართ. მართლაც, საზოგადოებრივი აზრის გამოკითხვის შედეგები ცხადყოფს, რომ ენმ-ს მმართველობის ბოლოსკენ გაიზარდა საზოგადოებაში დაყოფა ქვეყნის საგარეო პოლიტიკური კურსთან დაკავშირებით: 2011 წელთან შედარებით, 2012 წელს შემცირდა რუსეთის, როგორც მტერი სახელმწიფოს აღქმის მაჩვენებელი (Caucasus Barometer; 2011; Caucasus Barometer 2012). ეროვნულ-დემოკრატიული ინსტიტუტის (NDI) მიერ 2010 წელს ჩატარებული კვლევის მიხედვით კი მოსახლეობის ნახევარზე მეტი არ იწონებდა იმჟამინდელი მთავრობის მიერ გატარებულ პოლიტიკას რუსეთთან. აღნიშნული საგარეო პოლიტიკური დაყოფა, რომელიც სახელმწიფოთა დონეზე ფონად გასდევდა ქართულ რეალობას 2000-იან წლებში, აგრეთვე გარკვეულწილად აისახა შიდა პოლიტიკურ და იდენტურ დაყოფადაც (Tsygankov და Tarver-Wahlquist, 2009).

გარდა საგარეო-პოლიტიკური დაყოფისა, მოდერნიზაცია მონათლულმა ხისტმა ეკონომიკურმა რეფორმებმა ხელი გაამძაფრა საზოგადოებაში ჯგუფებს შორის არსებული სოციალური დისტანცია და უთანასწორობა (World Bank, 2016b). რადიკალურმა ეკონომიკურმა და პოლიტიკურმა ტრანსფორმაციამ ენმ-ს მმართველობის საწყის ეტაპზე მიზნად დაისახა ნეო-ლიბერალური მოდერნიზაციის ჩატარება საბაზრო ეკონომიკის პოსტულატების გათვალისწინებით (Rekhviashvili, 2013). საბოლოოდ, აღნიშნული რეფორმების შედეგი გახდა ნაკლებად წარმატებული ეკონომიკური და სოციალური პოლიტიკა, რომელმაც მართალია გარკვეულ წარმატებებს მიაღწია, თუმცა წარმატებასთან ერთად იმედგაცრუებული მოქალაქეების მნიშვნელოვანი რაოდენობა დატოვა (Polese, Rekhviashvili, და Morris, 2016; Gugushvili, 2017).

გარდა სოციო-პოლიტიკური დაპირისპირებისა და ე.წ. „მოგებულთა“ და „წაგებულთა“ დაპირისპირების აღმოცენებისა, პოლარიზაციის პროცესების დაკვირვება შესაძლებელი იყო პოლიტიკურ ველშიც. 2004-2012 წლებში ენმ-ს მიერ განხორციელებულმა პოლიტიკამ ხელი შეუწყო დაპირისპირებული, ხშირ შემთხვევაში პერსონალურ დონეზე, პოლიტიკური კულტურის შექმნას (Benashvili, 2015). საზოგადოებაში უთანასწორობის ზრდის პარალელურად, პოლიტიკოსები უფრო და უფრო მეტად ებმებოდნენ ე.წ. ნულოვანი ჯამური თამაშში (Zero-sum game), რასაც საერთაშორისო მიმომხილველებიც აღნიშნავდნენ (De Waal, 2012). პოლიტიკური ელიტის აღნიშნული პოლარიზაცია ბუნებრივად აისახებოდა საზოგადოებრივ განწყობებზეც, რაც ზრდიდა საზოგადოების ჯგუფებს შორის ანტაგონიზმის ზრდას. ენმ-ს მმართველობის მეორე ნახევრისთვის დამახასიათებელი იყო პოლიტიკური ძალაუფლების ერთი, დომინანტური პარტიის ხელში მობილიზება, რაც აფერხებდა და პრაქტიკულად შეუძლებელს ხდიდა სხვადასხვა ჯგუფებს შორის სოციალური დიალოგის არსებობას და ქმნიდა არასტაბილურ სოციალურ გარემოს შეჭირვებული სოციალური ჯგუფებისთვის (Muskhelishvili, 2011; Khidasheli, 2011).

საბოლოო ჯამში, საქართველოს პოლიტიკური სისტემა 2004-2012 წლებში ხასიათდებოდა შემდეგი კრიტერიუმებით: ჰიბრიდული პოლიტიკური სისტემა დომინანტური მმართველი პოლიტიკური პარტიით და რესურსებისა და

მაღაუფლების არათანაბარი გადანაწილებით. მიუხედავად პოლიტიკური რეჟიმისთვის დამახასიათებელი რიგი არადემოკრატიული ნიშან-თვისებებისა, საბოლოო ლეგიტიმაციის წყარო მაინც ელექტორალური მხარდაჭერა იყო. ამ ელექტორალური მხარდაჭერის მისაღწევად პოლიტიკური გუნდი იყენებდა მოსახლეობის დარწმუნების რბილ და ხისტ სტრატეგიებს, რომელთა აზრი იყო კლიენტელისტური პოლიტიკური კავშირების დამყარება საზოგადოების სხვადასხვა ფენებთან. რადგანაც საჯარო პოლიტიკის მიზანი ხშირ შემთხვევაში მხოლოდ მოსახლეობის კრიტიკული რაოდენობის მხარდაჭერა იყო, ხშირად საჯარო პოლიტიკა პოპულისტური ლოზუნგებითა და ქმედებებით იყო დახუნძლული. თუმცა, განსხვავებით წმინდად პოპულისტური პოლიტიკისა, მთავრობის მიერ გაცხადებულმა ნეო-ლიბერალურმა და მოდერნიზაციულმა პროექტებმა ხელი შეუწყო საზოგადოებაში უთანასწორობის მაღალი დონის შენარჩუნებასა და პოლიტიკური და საზოგადოებრივი პოლარიზაციის ჩამოყალიბებას. სწორედ ასეთ რთულ გარემოებებში უხდებოდა ამომრჩეველს საკუთარი არჩევანის გაკეთება.

2.2.5 ამომრჩეველთა პასუხი მთავრობის განხორციელებულ საჯარო პოლიტიკაზე

წინა ქვეთავში განხილულია თუ როგორ ფუნქციონირებენ ჰიბრიდული რეჟიმები და რატომ არის ეს თეორიული ჩარჩო გამოსადეგი ქართული კონტექსტის გათვალისწინებით. შემდეგი ორი ქვეთავი უშუალოდ ეთმობა მთავრობის მიერ გატარებულ პოლიტიკაზე ამომრჩეველების მიერ გაცემული პასუხების მიმოხილვას და მათ თეორიულ დასაბუთებას. თავდაპირველად ზოგადად განხილულია საარჩევნო ქცევების შესახებ არსებულ ლიტერატურა, შემდეგ კი უფრო დეტალურად არის წარმოდგენილი საარჩევნო ქცევის რაციონალური არჩევანის, რეტროსპექტული და ეკონომიკური ხმის მიცემის თეორიები, რომლებიც ყველაზე მეტად შეესაბამება ქართულ კონტექსტში საარჩევნო ქცევას. და ბოლოს, ნაჩვენებია საქართველოს კონტექსტში დაწერილი საარჩევნო ქცევის შესახებ არსებულ ემპირიული და თეორიული ნამუშევრებს.

2.2.5.1 ამომრჩეველთა ქცევის ზოგადი თავისებურები და თეორიული დაშვებები

ამომრჩეველთა ქცევის შემსწავლელი სამეცნიერო მიდგომები მეოცე საუკუნის შუა პერიოდიდან იღებს სათავეს, როდესაც ძირითადად ამერიკის შეერთებულ შტატებსა და დასავლეთ ევროპულ ქვეყნებში დაიწყო საკმარისად აკუმულირებული ემპირიული დაკვირვებების თეორიულად გაანალიზება. საარჩევნო ქცევის თეორიების მკვლევარი, რუი ანტუნესი (2010) გამოჰყოფს სამ ძირითად ტრადიციულ სკოლას, რომლებიც ამ პერიოდში აღმოცენდნენ და საფუძველი დაუდეს თანამედროვე საარჩევნო თეორიების აბსოლუტურ უმრავლესობას: *სოციოლოგიური მოდელი*, რომელსაც საფუძველი დაუდეს კოლუმბიის უნივერსიტეტში მოღვაწე სოციალურმა მკვლევარებმა, მიჩიგანის უნივერსიტეტში აღმოცენებული *ფსიქოლოგიური მოდელი*, და როჩესტერის სკოლის მიერ შემოტანილი რაციონალური არჩევანისა და ეკონომიკური ხმის მიცემის მოდელი. ამ ქვეთავში მოკლედ არის განხილული პირველი ორი მიდგომა, ხოლო მესამე მიდგომა დეტალურად არის გაანალიზებული შემდგომ ქვეთავებში.

სოციოლოგიური მოდელის მთავარი შემოქმედი გახლდათ ამერიკელი სოციოლოგი პოლ ლაზარსფელდი, რომელმაც კოლეგებთან ერთად 1940-იან 1950-იან წლებში ჩატარებული კვლევების საფუძველზე დაადგინა, რომ საარჩევნო ქცევაზე მნიშვნელოვან გავლენას ახდენს ინდივიდუალურ დონეზე არსებული სოციალური მახასიათებლები, როგორც არის ასაკი, სქესი, სოციალური კლასი და იდენტობა (Andersen და Heath, 2000). 1954 წლის კვლევაში, ბერელსონი, ლაზარსფელდი და მაკფი აღნიშნავენ, რომ სოციალური კლასი, რომელიც თაობიდან თაობას გადაეცემა ხშირ შემთხვევაში ყველაზე მნიშვნელოვანი ფაქტორია არჩევნების დროს სხვადასხვა პოლიტიკური პარტიის მხარდაჭერის განსაზღვრისთვის (Berelson, Lazarsfeld, და Mcphee, 1954). შესაბამისად, სოციოლოგიური თეორიის მიხედვით, საარჩევნო შედეგებზე გავლენას ახდენს არა მხოლოდ პარტიული მიკუთვნებულობა ან სარგებლისა და დანაკარგების ჰიპოთეტური გათვლები¹³, არამედ ჯგუფური ანუ სოციალური საფუძვლები (Harrop და Miller, 1987). ჰაროპი და მილერი (1987) სოციოლოგიური მოდელის კონტექსტში აგრეთვე განიხილავენ ბრიტანელი მეცნიერის, პატრიკ დანლივის მიერ შემოთავაზებულ სოციოლოგიური მოდელის

¹³ ეს მიდგომები დეტალურად განხილულია შემდეგ ქვეთავში.

ინტერპრეტაციას - ე.წ. „რადიკალურ მოდელს“. აღნიშნული მიდგომის მიხედვით, საარჩევნო ქცევაზე გავლენა ახდენს ორი გარემოება: პიროვნების როლი სოციალურ იერარქიაში და დომინანტური დისკურსის მიერ მოწოდებული ინფორმაცია, რომელიც ზეგავლენას ახდენს გადაწყვეტილებების მიღებაზე (Dunleavy და Huberts, 1985).

მიჩიგანში მოღვაწე მეცნიერების მიერ შემოთავაზებული „ფსიქოლოგიური მოდელის“ თანახმად, ამომრჩეველთა განწყობებსა და ქცევაზე ცენტრალურ გავლენას ახდენს პოლიტიკურ აქტორების მიმართ ჩამოყალიბებული პირადი მიჯაჭვულობა, რომელზეც გავლენას ახდენს სოციალიზაცია და სოციალიზაციის ისეთი პირველადი აგენტი, როგორც არის ოჯახი (Antunes, 2010). კემპბელისა და კოლეგების (1960) მიერ ჩატარებულმა კვლევებმა აჩვენა, რომ გრძელვადიან პერიოდსა და საარჩევნო ქცევაზე მიმდინარე პოლიტიკური და ეკონომიკური პროცესები შედარებით ნაკლებად ახდენენ გავლენას. მკვლევართა აზრით, ამომრჩეველი არ აზროვნებს „სოციალური კონტრაქტის“ კატეგორიებით, არამედ პირადი დამოკიდებულებებით პოლიტიკოსებისა და პოლიტიკური პარტიების მიმართ (Bartels, 2008).

მიუხედავად იმისა, რომ მეოცე საუკუნის შუაწელში როგორც სოციოლოგიური, აგრეთვე ფსიქოლოგიური სკოლები დიდი პოპულარობით სარგებლობდნენ, თანამედროვე საარჩევნო პარადიგმები მათგან დისტანცირებულნი არიან. ორივე თეორია ძირითადად მხოლოდ ამერიკული ტიპის, ორ-პარტიული საარჩევნო სისტემაზეა მორგებული (Green და Palmquist, 1990). ორივე მათგანის დაშვებაა, რომ საარჩევნო პროცესები კონსოლიდირებული და დემოკრატიულ საზოგადოებებში მიმდინარეობას, ამიტომ მათი პირდაპირ გამოყენება ქართულ კონტექსტში არ არის მიზანშეწონილი. გარდა ამ ქვეთავში განხილული თეორიებისა, ამომრჩეველთა ქცევის ახსნის კიდევ ორი მნიშვნელოვანი მიდგომა გამოიყოფა: რაციონალური არჩევანის თეორია და ეკონომიკური ხმის მიცემის მიდგომა. რადგანაც სადოქტორო ნაშრომის ლოგიკა ამ უკანასკნელთა მიდგომას მიიჩნევს ყველაზე მეტად მოსახერხებელს ქართული კონტექსტის აღსაწერად, ამ მიდგომების ახსნას ორი შემდგომი ქვეთავი დაეთმობა.

2.2.5.2 რაციონალური არჩევანის თეორია

1960-იანი და 1970-იანი წლებიდან საარჩევნო ქცევის შემსწავლელი ახალი მიდგომები განვითარდა, რომელთა შორისაც რაციონალური არჩევანის თეორიაც იყო. ამ ახალმა მიდგომამ ეკონომიკაში არსებული მოგების მაქსიმიზაცია პოლიტიკური ქცევის განზომილებაში გადმოიტანა (Bartels, 2008). აღნიშნულმა პარადიგმამ, სხვა მიდგომებისგან განსხვავებით, აქცენტი პოლიტიკური აქტორების მიერ განხორციელებული საქმიანობის შეფასებაზე გააკეთა (Key 1966; Fiorina 1981). აღნიშნული თეორია მიზნად ისახავს ახსნას ხმის მიცემის კანონზომიერებები ეკონომიკური საზომებისა და პარამეტრების გამოყენებით. რაციონალური არჩევანის თეორიის წარმომადგენლები თვლიან, რომ თუ ამ მიდგომას შეუძლია ახსნას საბაზრო ეკონომიკის მექანიზმები, მაშინ მას თავისუფლად შეუძლია ახსნას საარჩევნო პრეფერენციების ფორმირებაც. თეორია პირდაპირ პარალელს ავლებს ერთის მხრივ ამომრჩეველსა და მყიდველს შორის, მეორე მხრივ კომპანიებსა და პოლიტიკურ პარტიებს შორის (Antunes, 2010). ამ მიდგომის თანახმად კი, ხმის მიცემის გადაწყვეტილებები ხარჯებისა და მოგების ანალიზის შედეგად მიიღება, სადაც „ამომრჩეველები უკავშირებენ საკუთარ ინდივიდუალურ მოთხოვნილებებს პარტიის პლატფორმებს“ (Andersen და Heath, 2000).

საარჩევნო ქცევების ეკონომიკური ახსნის მოდელის უკან დგას დოუნსის (1957) ნაშრომი “დემოკრატიის ეკონომიკური თეორია“. იგი მიიჩნევდა, რომ არჩევნები ამომრჩეველთა ხელში არსებული მექანიზმია, რომლის გამოყენებითაც მათ შეუძლიათ ზეგავლენა მოახდინონ პოლიტიკურ ცხოვრებაზე და ამის გამო პოლიტიკოსები იძულებული არიან გაითვალისწინონ ამომრჩეველთა ინტერესებიც (Downs, 1957). არჩევნების დროს მოქალაქეები ერთმანეთს ადარებენ მთავრობის მიერ დაპირებულ და განხორციელებულ ქმედებებს და თუ განსხვავება ამ ორ კონცეპტს შორის დიდია, მაშინ ისინი ხმას აღარ მისცემენ სახელისუფლებო პარტიას (Antunes, 2010). შესაბამისად, რაციონალური არჩევანის თეორია გვთავაზობს თეორიულ ახსნას, თუ როგორ არის შესაძლებელი გავზომოთ ან ავხსნათ საარჩევნო პრეფერენციები და არჩევნების სავარაუდო შედეგები.

დაუნსის გარდა საარჩევნო ქცევების რაციონალური მიდგომის ახსნის გზები სხვა მკვლევარებმაც შემოგვთავაზეს. მაგალითად, ერთი ასეთი მიდგომა არჩევნების

ამხსნელ სტატისტიკურ მოდელებში შესაძლო ცვლადებად იყენებს შეფარდებით დისტანციას ამომრჩეველთა და კანდიდატების სასტარტო პოზიციებს შორის (Bartels, 2008). სხვები ყურადღებას ამახვილებენ იმ ფაქტორზე, რომ ხშირად გადაწყვეტილებების მიღებისას ამომრჩევლები არ ფლობენ დეტალურ ინფორმაციას პოლიტიკური პარტიების საარჩევნო პროგრამებისა და დაპირებების შესახებ. ამ შემთხვევაში ამომრჩევლები შესაძლოა მარტივად მოიქცნენ და არჩევანი განხორციელებული საქმიანობების შეფასების მიხედვით გააკეთონ (Fiorina, 1981). 1990-იან წლებში აგრეთვე მიმდინარეობდა დისკუსია “საინფორმაციო იარაღების¹⁴”, როგორც საარჩევნო გადაწყვეტილებების მიღების ეფექტური მეთოდის შესახებ, რომელიც შეზღუდული ინფორმირებულობის დროს მოქალაქეებს საარჩევნო პრეფერენციების ფორმირებაში ეხმარება (Popkin, 1991).

რაციონალური ხმის მიცემის კონტექსტში, მნიშვნელოვანია განვიხილოთ ამომრჩეველთა ქცევის კიდევ ერთი პარადიგმა, რომელიც თავდაპირველად ქცევითი ფსიქოლოგიის კონტექსტში აღწერეს ტვერსკიმ და კანემანმა (1991). ავტორების მიერ ე.წ. „ზიანის მინიმიზაციის“¹⁵ მიდგომის თანხმად ადამიანთა ქცევაზე უფრო მნიშვნელოვან გავლენას ახდენს მოსალოდნელი დანაკარგები და ნეგატიური შედეგები (Tversky და Kahneman, 1991). ამიტომ, ამომრჩევლები ხშირად ხელმძღვანელობენ აღნიშნული მიდგომით, როდესაც გადაწყვეტილების მიღებისას რისკავენ უკვე არსებული საზოგადოებრივი სიკეთეებიც დაკარგონ (Brie და Dufresne, 2018).

2.2.5.3 ეკონომიკური ხმის მიცემა

რაციონალური არჩევანის თეორიის მსგავს პოსტულატებს ავითარებს ეკონომიკური ხმის მიცემის (Economic voting) მიდგომა. ამ პარადიგმაში გამოჰყოფენ ორ ძირითად მიდგომას: ხმის მიცემის ეგოპროპულ და სოციოპროპულ სტრატეგიებს (Rogers და Tyszler, 2012). პირველი პარადიგმის მიხედვით ამომრჩეველი საკუთარ გადაწყვეტილებას უშუალოდ პირადი ეკონომიკური გამოცდილების მიხედვით იღებს და ამით იგი, გარკვეულწილად, სჯის ან ახალისებს პოლიტიკოსებს. (Nannestad და Paldam 1994). ასეთ სიტუაციებში, როჯერსისა და ტისზლერის (2012) მიხედვით,

¹⁴ ინგლ. “Information shortcuts”

¹⁵ ტვერსკისა და კანემანის ორიგინალურ ნაშრომში გამოყენებულია შემდეგი ტერმინი - „loss aversion“.

გადაწყვეტილებების მიღებაზე გავლენას ახდენს პირადი ან ოჯახური ფინანსური მდგომარეობა, დასაქმების სტატუსი ან აკუმულირებული ფინანსური ვალდებულებები.

რაც შეეხება სოციოტროპულ მიდგომას, იგი ყურადღებას ამახვილებს არა ინდივიდუალურ დონეზე ფინანსური, ეკონომიკური ან სოციალური კეთილდღეობის საკითხებზე, არამედ ზოგადი მაკროეკონომიკური პარამეტრების შეფასებაზე. სოციოტროპული მიდგომის დროს ამომრჩევლები უპირატესობას ანიჭებენ ისეთ პოლიტიკოსებს, რომლებიც პასუხისმგებლები არიან ეკონომიკური ზრდის მაღალ მაჩვენებლებზე, ინფლაციის დაბალი მაჩვენებლებსა და ძირითად საყოფაცხოვრებო ნივთებზე დაბალი ფასების შენარჩუნებაზე (Rogers და Tyszler, 2012). ამის გარდა, კინდერი და კივიეტი (1979) აგრეთვე ამტკიცებენ, რომ სოციოტროპული მიდგომის შემთხვევაში შესაძლოა ამომრჩევლებს წინასწარაც კი ჰქონდეთ ჩამოყალიბებული მოსაზრებები იმის შესახებ, თუ რომელი პოლიტიკოსი ან პარტია შეძლებს ეკონომიკურ პრობლემებთან ყველაზე კარგად განმკლავებას.

ეკონომიკური ხმის მიცემის თეორიის კლასიკური დაშვებების მიხედვით, ამომრჩევლები უპირატესად ორიენტირებული არიან მთავრობაში მყოფი პარტიის დასჯა-წახალისებით. ისინი აფასებენ მხოლოდ მთავრობის საქმიანობას, თუმცა ეკონომიკური ხმის მიცემის თეორიის განსხვავებული ინტერპრეტაციის თანახმად ამომრჩევლები არამხოლოდ მმართველი პარტიის შეფასებით არიან დაკავებულნი. ლუის-ბეკი და ნადო (2011) გამოჰყოფენ ეკონომიკური ხმის მიცემის სხვა სამ განზომილებასაც: ვალენტობა¹⁶, პოზიციონირება და პატრიმონიალობა. ავტორები აღნიშნავენ, რომ ამომრჩევლები არამხოლოდ აფასებენ ძალაუფლების მქონე პარტიას, არამედ ირჩევენ იმ პარტიას, რომლის ეკონომიკური პოლიტიკა მათ შეხედულებასთან ყველაზე მეტად დგას ახლოს (Lewis-Beck და Nadeau, 2011). ლუის-ბეკისა და ნადოს (2011) შეფასებით კი ამაზე ყველაზე მეტ გავლენას არსებული ეკონომიკური სტრუქტურა და დოვლათის გადანაწილება ახდენს: ის, ვინც ფლობს ეკონომიკურ

¹⁶ შესაბამის ინგლისურენოვან ლიტერატურაში გამოიყენება ტერმინი Valence, რაც გულისხმობს ხმის მიცემას კომპეტენციის მიხედვით, როდესაც ამომრჩეველი არჩევანს აკეთებს ერთმანეთის მოპაეჩრე პარტიებს შორის პარტიებისადმი დამახასიათებელი კომპეტენციის მიხედვით (Clarke et al, 2004)

რესურსებს ბუნებრივად განსხვავებული ეკონომიკური პოლიტიკის მომხრეა, ვიდრე შედარებით ნაკლები საზოგადოებრივი დოვლათის მქონე ჯგუფები.

რეტროსპექტული ხმის მიცემის მოდელი ეკონომიკური ხმის მიცემის მიდგომის კიდევ ერთი აღსანიშნავი ნაირსახეობაა. ჰილი და მალჰორტა (2013) გამოყოფენ სამ მოდელს, რომლებიც აღწერს რეტროსპექტული ხმის მიცემის პრაქტიკებს:

- დასჯა-წახალისების მექანიზმი ანუ სანქცირებული მოდელი. ამ მოდელის არსი მდგომარეობს იმაში, რომ კარგი საქმიანობის მქონე პოლიტიკოსების კვლავ არჩევით და ცუდი შედეგების მქონე პოლიტიკოსების ობსტრუქციით, ამომრჩევლები პოლიტიკოსებს უბიძგებენ საზოგადოებისთვის საჭირო ქმედებების ჩადენისა და გადაწყვეტილებების მიღებისკენ.
- ისეთი ლიდერების არჩევა, რომლებიც საზოგადოებაში არსებული საერთო კონსენსუსის მიხედვით ყველაზე კარგად შეასრულებენ დაკისრებულ მოვალეობებს.
- მესამე მოდელი მთავრობის საქმიანობის ინდიკატორებსა და არჩევნების შედეგებს შორის არსებული კავშირის შესწავლისას ყურადღებას ამახვილებს კოგნიტურ და ემოციურ შეცდომებზე. ამომრჩევლებმა შეიძლება რთულად განსაზღვრონ ან გააანალიზონ მთავრობის მიერ განხორციელებული ეკონომიკური პროექტები. ამ შემთხვევაში შემოდის როგორც ინფორმაციის სიმწირის, აგრეთვე ინფორმაციის გადამუშავების ფაქტორები.

ჰილი და მალჰორტა (2013) რეტროსპექტული ხმის მიცემის ტრადიციაში მოქალაქეთა მოქმედების ოთხ საფეხურს გამოჰყოფენ:

1. მოქალაქეები საზოგადოებაში მიმდინარე მნიშვნელოვან მოვლენებსა და არჩეული პოლიტიკოსების საქმიანობას აკვირდებიან.
2. მოქალაქეები საზოგადოებაში მიმდინარე მოვლენებზე პასუხისმგებლობას აკისრებენ პოლიტიკურ თანამდებობებზე არჩეულ პირებს.
3. მოქალაქეები პასუხისმგებელი პირების საქმიანობას აფასებენ დამდგარი შედეგების მიხედვით.
4. პირველ სამ ნაბიჯში აღწერილი საკითხების გათვალისწინებით, საბოლოოდ, მოქალაქეები კრიტიკულად აფასებენ პოლიტიკოსთა დაპირებებს ან

განხორციელებულ ქმედებებს. სწორედ ამ პროცესების გათვალისწინებით ხდება კონკრეტული კანდიდატის ან პარტიის მხარდაჭერა არჩევნებში.

დასკვნის სახით, შეიძლება ითქვას, რომ საარჩევნო პრეფერენციების ჩვენ მიერ შერჩეული მოდელები სრულად შეესაბამება უკვე აღწერილ თეორიულ ჩარჩოს, რომლის თანახმადაც ჰიბრიდული რეჟიმის მქონე ქვეყნებში განხორციელებული სამთავრობო საქმიანობები ზედმიწევნით ფასდება და ანალიზდება ამომრჩევლის მიერ. სწორედ წარსული საქმიანობის შეფასების შედეგად ხდება საარჩევნო პრეფერენციების ფორმირებაც.

2.2.5.4 კვლევები საარჩევნო ქცევის შესახებ საქართველოში

საქართველოს არჩევნებთან დაკავშირებული კვლევები და ლიტერატურა შედარებით მწირია (სიჭინავა, 2014). სოციალურ მეცნიერებებში აღნიშნული საკითხი უპირატესად ან პოლიტიკური სისტემისა და პოლიტიკური ელიტების აღწერის კონტექსტში არის მოცემული (მაგალითად, Jones, 2000; Chiaberashvili და Tevzadze, 2005; Nodia და Scholtbach 2006; Bader, 2008) ან ორიენტირებულია საარჩევნო სისტემების გაანალიზებაზე და მათ გავლენაზე პოლიტიკური ძალაუფლების გადანაწილებაზე (მაგალითად, Nilsson, და Cornell, 2008, Rimple, 2012; Cecire, 2013).

თავის სადოქტორო ნაშრომში სიჭინავა (2014) აღნიშნავს, რომ ერთ-ერთი პირველი მცდელობა საქართველოში საარჩევნო შედეგების ახსნისა დაკავშირებული იყო ნელსონისა და ამონაშვილის კვლევასთან (1992), სადაც ავტორები აანალიზებენ 1990 წლის უზენაესი საბჭოს არჩევნებს და ცდილობენ დაადგინონ განსხვავებები კომუნისტური პარტიისა და საარჩევნო ბლოკ „მრგვალი მაგიდის“ ამომრჩევლებს შორის. მიუხედავად ამ კვლევის მნიშვნელობისა, ის მეტწილად ღარიბია თეორიული საფუძვლებით და უფრო მეტად აღწერით ხასიათს ატარებდა, ვიდრე ახსნითს.

2014 წლის ნაშრომში ჯული ჯორჯი იკვლევს საქართველოს მაგალითზე თუ როგორი კავშირი არსებობს მმართველი პარტიის მხარდაჭერასა და ეთნიკურ უმცირესობებს შორის. ავტორის მიხედვით, ეთნიკური უმცირესობები უპირატესობას ანიჭებენ მმართველ პარტიებს რამდენიმე მიზეზის გამო: მმართველი პარტიის მიერ დარწმუნების ხისტი და რბილი სტრატეგიები და ოპოზიციური პარტიების ნაკლებად დაინტერესება ეთნიკური უმცირესობებით. დამატებითი ფაქტორია არჩევნების

გაყალბების მაღალი ალბათობა ეთნიკური უმცირესობებით დასახლებულ ადგილებში (George, 2014).

არჩევნების შედეგების ანალიზის მნიშვნელოვანი და საყურადღებო ნაშრომია ნორმან სკოფილდისა და კოლეგების (2012) კვლევა კავკასიაში არჩევნების მოდელირების შესახებ. კვლევის მიზანი იყო დაედგინათ არსებობდა თუ არა შემდეგი, ე.წ. ვალენტური¹⁷ ხმის მიცემის სტრატეგიები, რომლებიც ავტორთა მტკიცებით ორგვარი შეიძლება ყოფილიყო: (ა) გარეგანი ფაქტორები - ანუ პოლიტიკური ლიდერების კომპეტენციის შეფასება - და (ბ) სოციოდემოგრაფიული - ანუ სოციალური ჯგუფების მახასიათებლების გავლენა დაპირისპირებული კანდიდატების შერჩევის დროს (Schofield, Gallego, Jeon, და Muskhelishvili, 2012). საგულისხმოა, რომ სკოფილდისა და კოლეგების (2012) ერთ-ერთი მთავარი მიგნება დაკავშირებულია იმ გარემოებასთან, რომ 2008 წლის არჩევნების წინ ამომრჩევლებს ქართულ ოპოზიციასთან ჰქონდათ დაბალი ინტენსიობის ვალენტობა და ასეთი ოპოზიციური კანდიდატები ხშირად არაცენტრისტული პლატფორმით ხასიათდებოდნენ. დამატებით, ოპოზიციის ფრაგმენტაცია კიდევ ერთი ფაქტორი იყო მათი კომპეტენტურობის დაბალი შეფასებისთვის. საბოლოო ჯამში, კვლევის ავტორების აზრით სწორედ ამ გარემოებებმა შეუშალა ხელი ოპოზიციას 2008 წელს მიეღწია წარმატება საპარლამენტო და საპრეზიდენტო არჩევნებში (Schofield, Gallego, Jeon, და Muskhelishvili, 2012).

დავით სიჭინავას (2014) სადისერტაციო ნაშრომი, რომელიც საქართველოში საარჩევნო ქცევის სივრცულ თავისებურებებს ეხებოდა, უკვე რამდენჯერმე იყო ნახსენები ლიტერატურის მიმოხილვაში. აღნიშნული კვლევის ინოვაციურობა მდგომარეობდა ლიპსეტისა და როკანისეული საარჩევნო დაპირისპირების თეორიის ტესტირებაში და გეოგრაფიული განსხვავებების მიმოხილვაში. სივრცულ-სტატისტიკური მოდელირების შედეგად, ავტორმა ემპირიულად დაადასტურა გეოგრაფიულ-რეგიონული თავისებურებებს გავლენა არჩევნების შედეგებზე.

არჩევნების შედეგებისა და სოციო-ეკონომიკური ფაქტორების ანალიზის საინტერესო მაგალითი, რომელიც უთანასწორობის შესახებ ქვეთავში განვიხილეთ, შემოგვთავაზა

¹⁷ ეს საკითხი მიმოხილულია ეკონომიკური ხმის მიცემის ქვეთავში.

ალექსი გუგუშვილმა (2012). მკვლევარმა 2012 წლების არჩევნების შედეგების მაგალითზე აჩვენა, რომ მატერიალური დეპრივაციის განსხვავებული მაჩვენებლები წინასწარმეტყველებენ არჩევნების დროს მმართველი თუ ოპოზიციური პარტიის მხარდაჭერას (Gugushvili, 2012). 2012 წლების არჩევნების შედეგების კვლევის კიდევ ერთი მაგალითია ნინო მაჩურიშვილის (2017) მცდელობა შეამოწმოს რეტროსპექტული ხმის მიცემის თეორია საქართველოს მაგალითზე. კვლევაში ავტორს ამტკიცებს, რომ 2012 წელს სტიქიური უბედურებების შედეგად მიყენებული ზარალის ლიკვიდაციის სამთავრობო მცდელობების შეფასებამ გავლენა მოახდინა ელექტორალურ ქცევაზე (Machurishvili, 2017). პოლიტიკის შეფასებაზე დამყარებული საარჩევნო ქცევის ტესტირებას ისახავდა 2016 წელს თბილისის მოსახლეობაზე ჩატარებული მასობრივი გამოკითხვის ექსპერიმენტიც (Turmanidze, 2017). მართალია კვლევამ აჩვენა, რომ ამომრჩევლისთვის დიდი მნიშვნელობა არ აქვს საარჩევნო დაპირება კონკრეტული და სპეციფიკური იქნება, თუ ბუნდოვანი და ყველაფრის მომცველი, თუმცა ამომრჩეველი მაინც ამოდის პირადი სარგებლის მაქსიმიზაციის საფუძველიდან, თუნდაც ეს ქმედება არამომგებიანი იყოს გრძელვადიან პერსპექტივაში (Turmanidze, 2017).

რეტროსპექტული ხმის მიცემის მოდელის სხვა მაგალითი შემოგვთავაზა 2017 წლის სტატიაში გიორგი ბაბუნაშვილმა (2017). სტატიაში ნაჩვენებია, რომ მმართველი პარტიისადმი მხარდაჭერასა და მთავრობის სოციო-ეკონომიკური, დემოკრატიული და უსაფრთხოების პოლიტიკების დადებითად შეფასებას შორის ძლიერი პოზიტიური კავშირი არსებობს (Babunashvili, 2017). ამავდროულად, ბაბუნაშვილი (2017) აჩვენებს რომ მთავრობის საქმიანობის ნეგატიურად შეფასება მნიშვნელოვნად ზრდის ოპოზიციის მხარდაჭერას რაც შესაბამისობაში მოდის ამ სადოქტორო ნაშრომში მხარდაჭერილ მოსაზრებასთან, რომელიც ამტკიცებს ამომრჩეველთა მხრიდან პოლიტიკის შეფასების გავლენას საარჩევნო ქცევაზე.

2.2.6. ლიტერატურის მიმოხილვის შეჯამება

ლიტერატურის მიმოხილვის თავში ნაჩვენებია სადოქტორო ნაშრომის თეორიული საფუძვლები. იმისთვის, რომ დეტალურად შევისწავლოთ საქართველოში 2004-2012 წლებში მიმდინარე მოვლენები, ჯერ უნდა დადგინდეს როგორი ტიპის პოლიტიკურ რეჟიმთან გვაქვს საქმე. მას შემდეგ რაც განისაზღვრა რეჟიმის ტიპი, აუცილებელია, რეჟიმის ფუნქციონირებისთვის აუცილებელი ინსტრუმენტების და მექანიზმების

განსაზღვრა. სწორედ მათი საშუალებით განხორციელებულ საქმიანობაზე რეაქციას წარმოადგენს ამომრჩევლების მიერ გაკეთებული არჩევანი, რასაც საბოლოოდ პოლიტიკური რეჟიმის ცვლილებისკენ მივყავართ. მოცემულ შემთხვევაში, ჰიბრიდული რეჟიმის მქონე ქვეყანაში განხორციელებულმა ან ვერ განხორციელებულმა რეფორმებმა გამოიწვია მოსახლეობაში უთანასწორობის ზრდა, რამაც თავის მხრივ შეუქმნა ნაყოფიერი ნიადაგი მმართველი გუნდის მიმართ უკმაყოფილების გაზრდას და მის გადარჩევას საპარლამენტო არჩევნებზე. ამომრჩეველთა ქცევას მრავალი ფაქტორი განაპირობებს, თუმცა ქართულ კონტექსტში ყველაზე მნიშვნელოვანი და გადამწყვეტი გავლენა ეკონომიკური და სოციალური პოლიტიკის შეფასება იყო. ამ ფაქტორების გათვალისწინებით, სწორედ სოციალური უთანასწორობისა და ეკონომიკური ხმის მიცემის მოდელის ემპირიული შესწავლით შემდეგ თავებში ნაჩვენები იქნება 2012 წლების შედეგების ახსნა.

2.3 მეთოდოლოგია

განხილული თეორიული პარადიგმებისა და მიდგომების გათვალისწინებით, სადოქტორო ნაშრომი მიზნად ისახავს, ერთი მხრივ, შეისწავლოს როგორი იყო მთავრობის მიერ გატარებული საჯარო პოლიტიკა და აღწეროს მთავრობასა და ამომრჩევლებს შორის ჩამოყალიბებული და განვითარებული კავშირები, მეორე მხრივ კი, შეისწავლოს თუ როგორი მიმართება იყო ამომრჩეველთა მიერ მთავრობის საქმიანობისა შეფასებასა და არჩევნების შედეგებს შორის. ამ მიზნის მისაღწევად, აუცილებელია კვლევის მეთოდების, მონაცემთა შეგროვებისა და ანალიზის მრავალფეროვანი მიდგომების გამოყენება. მეთოდების ტრიანგულაციის გამოყენების მიზანი, ამ შემთხვევაში, სამია: პირველი წმინდად მეთოდოლოგიურია და დაკავშირებულია შესასწავლი სოციალური ფენომენის რაობასთან, რომლის ახსნა მხოლოდ პოზიტივისტური მეთოდებით შეუძლებელია. მეორე გარემოება ეხმანება კვლევის ფარგლებში გამოყენებულ თეორიულ ახსნებს, რომელთა ნაწილის გადამოწმება და ემპირიულად დაკვირვება მხოლოდ თვისებრივი კვლევის მეთოდებით არის შესაძლებელი. და ბოლოს, მესამე მიზეზი დაკავშირებულია ელექტორალური ქცევის ახსნისთვის საჭირო დამატებითი მონაცემების

განხილვასთან, რომელთა გამოყენება ანალიზისთვის მხოლოდ მასობრივი გამოკითხვების კონტექსტში არის შესაძლებელი.

ამ გარემოების გათვალისწინებით, ამ თავში განხილულია კვლევის პროცესში გამოყენებული მეთოდების ტრიანგულაციის ლოგიკა. შემდგომ, ნაჩვენებია ნაშრომში გამოყენებული სამი ძირითადი მიდგომის - თვისებრივი მეთოდები, მასობრივი გამოკითხვის მონაცემები, და მეორადი მონაცემების - გამოყენების მიზნები, მონაცემთა შეგროვების მეთოდები და ცვლადების კონცეპტუალიზაცია და ოპერაციონალიზაცია.

2.3.1 მეთოდების ტრიანგულაცია სადოქტორო ნაშრომში

მეთოდების ტრიანგულაციის გამოყენების ლოგიკა სოციალურ მეცნიერებებში ხშირად დაკავშირებულია რაოდენობრივ და თვისებრივ მეთოდებს შორის არსებული დებატის გადაჭრასთან. განსხვავებული მეთოდების გამოყენება და მეთოდოლოგიური პლურალიზმი მიჩნეულია თანამედროვე ემპირიული კვლევის ერთ-ერთ ძირითად ფუნდამენტად (Olsen, 2004). მიუხედავად ამისა, თეორიულ დონეზე პოზიტივისტური თუ ინტერპრეტაციული მიდგომების შერწყმა არ წარმოადგენს მარტივ, მექანიკურ პროცესს. ტრიანგულაციის წარმატებით გამოყენება დამოკიდებულია, ერთი მხრივ, შესასწავლი საკითხის ბუნებაზე, აგრეთვე განსხვავებული მეთოდებით შეგროვებული მონაცემების ერთმანეთთან ჰარმონიულად დაკავშირების შესაძლებლობაზე, მონაცემების სირთულისა და კომპლექსურობის ხარისხზე (Jick, 1979). მეთოდების ტრიანგულაციის შედეგად შესაძლებელია მაქსიმალურად ვალიდური მონაცემების შეგროვება. ანალიზის ტრიანგულაცია აგრეთვე დაკავშირებულია მონაცემთა ვალიდაციის პროცესთანაც, როდესაც სოციალური ფენომენის გაანალიზება ხდება ორი ან მეტი განსხვავებული მეთოდის გამოყენებით (Kimchi, Polivka, და Stevenson, 1991).

ნაშრომში გამოყენებული მონაცემთა ტრიანგულაციის მიდგომა ეყრდნობა ნორმან დენზინის მიერ (1978) წამოყენებულ მოსაზრებას, რომლის თანახმადაც, მონაცემთა ტრიანგულაციის წარმატებით განსახორციელებლად აუცილებელია რიგი კრიტერიუმების - *განზოგადება*, *სანდოობა* და *მიდგომების შერწყმის* - ვალიდობის გათვალისწინება. განზოგადება ამ შემთხვევაში დაკავშირებულია დაკვირვებადი

ფენომენის ექსტრაპოლაციასთან გენერალურ ერთობლიობაზე, ისე რომ შესაძლებელი იყოს პოპულაციისათვის შესაფერისი დასკვნების გამოყენება. ამ მიზნისთვის ნაშრომი ოფიციალური სტატისტიკისა და ალბათური შერჩევით ჩატარებული წარმომადგენლობითი მასობრივი გამოკითხვების მონაცემებს იყენებს. სანდოობის გარემოება დაკავშირებულია მიღებული დასკვნების გადამოწმებასთან სხვადასხვა მონაცემის გამოყენებით, რაც ანალოგიურად დაცულია ნაშრომში გამოყენებული მრავალმხრივი მონაცემების ანალიზით. რაც შეეხება მესამე ფაქტორს, მნიშვნელოვანია კონგრუენტულობის მიღწევა სხვადასხვა დიზაინით შეგროვებულ და გაანალიზებულ მონაცემებს შორის. ამ უკანასკნელი საკითხის გადასაწყვეტად, აუცილებელია ყურადღების გამახვილება მონაცემების შეგროვების კონტექსტზე და დროზე, აგრეთვე მონაცემთა წყაროების ერთმანეთთან შეთანხმებულობის ხარისხზე (Hussein, 2015). ამ ფაქტორის გათვალისწინებით, ნაშრომში გამოყენებული რაოდენობრივი მონაცემების მნიშვნელოვანი ნაწილი შეგროვებულია უშუალოდ დასაკვირვებელი პერიოდის (2004-2012) შესაბამის თარიღებში, ხოლო საჯარო პოლიტიკის განხორციელებასთან დაკავშირებული საკითხების შესახებ გამოიკითხნენ გადაწყვეტილების მიმღები პირები და პოლიტიკოსები.

გარდა ზოგად თეორიული მნიშვნელობისა, მეთოდების ტრიანგულაციის მიდგომა, აგრეთვე, მნიშვნელოვანია ამომრჩეველთა ქცევის შესწავლის კონტექსტში. მასობრივი გამოკითხვებისა და ექსპერტული ინტერვიუების ურთიერთშენაცვლებითი გამოყენება, ერთი კვლევის ფარგლებში, შესაძლებელს ხდის კვლევის ვალიდობის გაზრდას, თუნდაც იმ შემთხვევებში, როდესაც ცალკე აღებული მეთოდის შედეგად შეგროვებული ინფორმაცია შეიძლება იყოს მიკერძოებული ან სისტემატურად გადახრილი რომელიმე მოსაზრებისკენ (Marks, 2007). ეს განსაკუთრებით მნიშვნელოვანია ხდება ისეთი საკითხების კვლევის დროს, რომელიც მოიცავს გადაწყვეტილების მიმღები პირებისა და პოლიტიკოსების გამოკითხვას (Natow, 2020). კოულმენი (2004) აღნიშნავს, რომ საარჩევნო ქცევის შესწავლის ფარგლებში ჩატარებული პირისპირ გამოკითხვების დროს, დიდია „სოციალური სასურველობის“ ეფექტისა და კონფორმულობის გავლენა კითხვებზე პასუხების გაცემისას. ამიტომ, ვალიდური დასკვნების გამოსატანად მნიშვნელოვანია არა მხოლოდ რესპონდენტების მიერ მოწოდებული ინფორმაციის გამოყენება ანალიზის დროს, არამედ ოფიციალური

სტატისტიკის (მაგალითად, ამომრჩეველთა აქტივობა არჩევნებზე, მოსახლეობის სოციო-ეკონომიკური მახასიათებლების ოფიციალური სტატისტიკა და ა.შ.) დახმარება მონაცემების ინტერპრეტაციის დროს (Coleman, 2004).

შესაბამისად, სამი განსხვავებული მეთოდის გამოყენების უმთავრესი მიზანი არის თითოეული მათგანის მაქსიმალურად ეფექტურად გამოყენება. თვისებრივი მეთოდების გამოყენებით სადოქტორო ნაშრომს შეუძლია განიხილოს არა მხოლოდ დეკლარირებულ და ოფიციალურ დოკუმენტებში ასახული საჯარო პოლიტიკის ფორმირების საკითხები, არამედ ექსპერტული და გადაწყვეტილების მიმღები პირების მოსაზრებები. მეორადი მონაცემები, როგორც არის ოფიციალური საარჩევნო სტატისტიკა, აგრეთვე საჯარო დაწესებულებების მიერ შეგროვებული და გამოქვეყნებული საჯარო ინფორმაცია, მიზნად ისახავს აღწეროს წარმომადგენლობით დონეზე მთავრობის მიერ გატარებული პოლიტიკის შედეგები და ამ შედეგების კავშირი საარჩევნო ქცევებთან. რაც შეეხება მასობრივი გამოკითხვის მონაცემებს, ანალიზში მათი ინტეგრაცია საშუალებას იძლევა მიმდინარე პოლიტიკური მოვლენების მიმართ ამომრჩეველთა დამოკიდებულებები განხილული იყოს თვისებადისპოზიციის კავშირის გამოყენებით. ეს უკანასკნელი გარემოება განსაკუთრებით მნიშვნელოვანია, რადგანაც ამომრჩეველთა ინდივიდუალური მახასიათებლებისა და დამოკიდებულებების შესახებ ინფორმაცია, როგორც წესი, მიუწვდომელია სხვა სახის მეორადი მონაცემების გამოყენების დროს.

კვლევის შერეული მეთოდების გამოყენების მნიშვნელოვნების ჩვენების შემდეგ, მომდევნო ქვეთავები დაეთმობა სამი შერეული მეთოდის კონკრეტულ გამოყენებას სადოქტორო ნაშრომში, კვლევის ფარგლებში მონაცემთა შეგროვების მიდგომებსა და წყაროებს, აგრეთვე მონაცემთა ანალიზის მეთოდოლოგიას.

2.3.2. თვისებრივი მეთოდები, თვისებრივი მონაცემების წყაროები და ანალიზის მიდგომები

ნაშრომში თვისებრივი მიდგომის გამოყენების უმთავრესი ლოგიკა დაკავშირებულია ოფიციალური სტატისტიკისა, მეორადი მონაცემებისა და მასობრივი გამოკითხვის შედეგად შეგროვებული მონაცემების ე.წ. „თეთრი ლაქების“ პრობლემის გადასაწყვეტად. გამომდინარე იქიდან, რომ ნაშრომი მიზნად ისახავს არამხოლოდ

უმუშალოდ საარჩევნო ქცევის დაკვირვებას და ახსნას, არამედ მასზე ზეგავლენის მომხდენი ფაქტორების იდენტიფიცირებას, აუცილებელია აიხსნას ქვეყანაში მიმდინარე პოლიტიკური მოვლენების ლოგიკა. სამეცნიერო ლიტერატურაში ქვეყნის პოლიტიკური რეჟიმების, რეჟიმებში მიმდინარე პოლიტიკური და ეკონომიკური პროცესების შესწავლისას თვისებრივი მეთოდების გამოყენება ყველაზე გავრცელებული მეთოდია, რომელიც ავსებს და ამდიდრებს რაოდენობრივი მეთოდებით განხორციელებულ ანალიზს (Adcock და Collier, 2001). ზოგადად, თვისებრივი მეთოდების გამოყენების ლოგიკა დაკავშირებულია სოციალური რეალობის, მოვლენების, საგნებისა და სიტუაციების მუდმივად ცვალებად გარემოში აღქმასთან (Bogdan და Biklen, 1997). თვისებრივი მიდგომის საყოველთაოდ აღიარებული მიდგომის თანახმად, მკვლევარი ყურადღებას ამახვილებს ინდივიდუალურ ფენომენოლოგიურ პერსპექტივაზე (Newman et al, 1998). ამ გარემოებების გათვალისწინებით, სადოქტორო ნაშრომში თვისებრივი კვლევის მეთოდების დანიშნულებაა რიჩისა და კოლეგების მიერ (2013) აღწერილი ორი გარემოების - კონტექსტუალური და ახსნითი - მიზნების მიღწევა. კვლევის კონტექსტუალური განზომილების მიზანია დასაკვირვებელი ფენომენის, ანუ საარჩევნო ქცევის, ბუნების ახსნა, ხოლო ახსნითი მიდგომა მიზნად ისახავს მოიკვლიოს დასაკვირვებელი ფენომენზე, ანუ საარჩევნო ქცევაზე, მოქმედი გარემოებები (Ritchie et al, 2013). აღნიშნული კვლევის კონტექსტში მოქმედი გარემოები დაკავშირებულია საჯარო პოლიტიკისა და საარჩევნო გარემოს ფორმირებასთან.

თვისებრივი მეთოდების გამოყენებით კვლევის პროცესში გამოყენებულია ე.წ. სისტემატიზებული ექსპერტული ინტერვიუს მიდგომა¹⁸. თეორიის გენერირების მიდგომის გამოყენებით, ასეთი ტიპის ინტერვიუების მიზანია რესპონდენტებისადმი ხელმისაწვდომ ექსკლუზიურ ცოდნაზე წვდომა და მისი გამოყენება ახსნითი დასკვნების გამოსატანად (Bogner და Menz, 2009). ბოგნერისა და მენცის (2009) მიერ შემოთავაზებული „ექსპერტის“ განმარტების კონსტრუქტივისტული მიდგომა საფუძვლად დაედო პოტენციური ინფორმანტების შერჩევას. კონსტრუქტივისტული

¹⁸ ორიგინალურ ტექსტში გამოყენებულია შემდეგი ტერმინი: „systematizing expert interview“ (Bogner და Menz, 2009).

მიდგომის მიხედვით, ამ „წოდების“ მინიჭება, გარდა სპეციფიკური ცოდნის ფლობისა, დაკავშირებულია სოციალურ კონტექსტზე და ადგილზე სოციალურ იერარქიასთან¹⁹. ამის გათვალისწინებით, ექსპერტად ჩათვლის კრიტერიუმი დაკავშირებული იყო საკვლევ პერიოდის ფარგლებში ინფორმანტის ჩართულობის ხარისხზე პოლიტიკური პროცესებში, რელევანტური ინფორმაციის ფლობასა და ექსპერტულ ცოდნაზე 2004-2012 წლების საქართველოში საჯარო პოლიტიკის წარმართვაში. ამ კრიტერიუმების გათვალისწინებით, ნახევრად-სტრუქტურირებული, საექსპერტო ინტერვიუების ფარგლებში 21 პოლიტიკოსი, საჯარო პოლიტიკის ექსპერტი, ეკონომისტი, იურისტი და ჟურნალისტი გამოიკითხა. პროფესიული მრავალფეროვნების მიზანი მაქსიმალურად განსხვავებული მოსაზრებებისა და საჯარო პოლიტიკის სხვადასხვა განზომილების მეტ-ნაკლებად თანაბრად წარმოდგენა იყო. რესპონდენტების შერჩევის პროცესში გათვალისწინებული იყო 2004-2012 წლებში პოლიტიკოსებსა და ექსპერტებს შორის არსებული სამთავრობო და ოპოზიციური აფილაციები, რადგან ინტერვიუს პროცესში შესაძლებელი ყოფილიყო განსხვავებული მოსაზრებების მოსმენა. აღნიშნული მიდგომების თანახმად, შესაძლებელი გახდა როგორც პოლიტიკურ და გადაწყვეტილების მიღების პროცესში ჩართული, აგრეთვე ამ პროცესების გარედან დამკვირვებელი რესპონდენტების მოსაზრებების შეგროვება. ლიტერატურის მიმოხილვის თავში მოცემული თეორიული ჩარჩოების გათვალისწინებით, კვლევის თვისებრივი ნაწილი დაეთმო 2004-2012 წლებში საჯარო პოლიტიკის შესწავლასა და ამომრჩეველსა და პოლიტიკურ ელიტას შორის არსებული კავშირების შესწავლას, რამაც, საბოლოო ჯამში, 2012 წელს საპარლამენტო არჩევნებში მთავრობის შეცვლა გამოიწვია.

თვისებრივი მიდგომის გამოყენებას, გარდა უკვე განხილული მეთოდოლოგიური მნიშვნელობისა, აგრეთვე პრაქტიკული დანიშნულება ჰქონდა სადოქტორო კვლევისთვის. პირველი, გარდა ხელთ არსებული სტატისტიკური და საჯარო მონაცემებისა, თვისებრივი ინტერვიუების საშუალებით შესაძლებელია უფრო ნათლად წარმოჩნდეს სხვადასხვა ქმედების შედეგები და მოტივაციები. რამდენადაც თვისებრივი მიდგომა კვლევისა და მონაცემების შეგროვების საწყის ეტაპზე

¹⁹ ბოგნერი და მენცი ამ საკითხზე საუბრისას ახსნებენ მაქს ვებერისეული „Fachmenschentum“-სა და „ფუნქციონალური ელიტის“ წევრობის საკითხებს (Bogner და Menz, 2009, გვ. 50).

განხორციელდა, მისი დანიშნულება, აგრეთვე, იყო თეორიის, ჰიპოთეზებისა და კვლევის დიზაინის დახვეწა და ახალი იდეების გენერირება. ამასთანავე, რადგანაც სადოქტორო კვლევა ეხებოდა ისეთ საკითხებს, რომელთა შესახებაც არსებული სამეცნიერო ლიტერატურა შედარებით მწირია, ინტერვიუებმა ნაშრომი ამ კუთხითაც გაამდიდრა.

ინტერვიუს გზამკვლევი შემუშავდა ჰიბრიდულ რეჟიმებში პოლიტიკური პროცესებისა და ამომრჩევლებისა და მთავრობას შორის მიმართების თეორიული საკითხების გათვალისწინებით. ინტერვიუების დროს განხილული იყო მთავრობის ხელთ არსებული რესურსების აკუმულირებისა და განაწილების მიდგომები, მთავრობის წინაშე არსებული შინაგანი და გარეგანი შეზღუდვები, ე.წ. „რბილი“ და „ხისტი“ სტრატეგიები ამომრჩევლების დასარწმუნებლად და 2012 წლის არჩევნების შედეგებზე გავლენის მომხდენი ფაქტორები. გამომდინარე იქიდან, რომ თვისებრივი კვლევა ნახევრად სტრუქტურირებული იყო, რესპონდენტებს შეეძლოთ, გზამკვლევაში ჩართული საკითხების გარდა, სხვა, მათი აზრით, მნიშვნელოვანი თემების შესახებაც ესაუბრათ.

თვისებრივი მიდგომის ფარგლებში ჩატარებული ინტერვიუების მონაცემები გაიშიფრა და გაშიფრული ტექსტური მასალა გაანალიზდა თვისებრივი მონაცემების დამუშავებისთვის განკუთვნილი პროგრამა NVivo 9-ის საშუალებით. სპეციალური პროგრამის გამოყენების უპირატესობა მდგომარეობს თვისებრივ მონაცემთა დიდი მოცულობის დამუშავებაში, მონაცემებს შორის არსებული კავშირების აღმოჩენის გამარტივებასა და მონაცემებსა და საკვლევ კითხვებს შორის არსებული მიმართებების მარტივად დახარისხებაში (Bazeley და Jackson, 2013). შეგროვებული მონაცემების ანალიზისა და დახარისხების პირველ ეტაპზე, ტექსტური მასალის ღია ტიპის კოდირება განხორციელდა²⁰, რომლის დროსაც ტექსტის თითოეული რელევანტურ სიტყვას, ფრაზას ან აზრს მიენიჭა შესაბამისი კოდი. კოდირების შემდეგ ეტაპზე შემუშავებული კოდები შინაარსობრივად დაჯგუფდა კატეგორიებად ან ქვეკატეგორიებად, ხოლო, კონტექსტის გათვალისწინებით, მცირე ზომის კოდები

²⁰ მხედველობაშია შარმაზის მიერ აღწერილი “line-by-line coding მიდგომა (Charmaz, 1996)

ერთმანეთში გაერთიანდა მონაცემებს შორის არსებული კავშირების გამოვლენის გამარტივების მიზნით.

საწყისი კოდირებისა და კოდების ჩარჩოს შექმნის შემდეგ, დაკვირვებულ ფენომენებს შორის არსებული კავშირების გამოვლენის დრო დადგა. თვისებრივი მეთოდების გამოყენების გამოწვევა დაკავშირებულია მიზეზ-შედეგობრივი დასკვნების გამოტანის სირთულეებთან. სადოქტორო ნაშრომში თვისებრივი მეთოდებით მოპოვებული ინფორმაციის ახსნის ლოგიკა დაკავშირებულია რეტროსპექტული და ისტორიული ახსნებთან. მაჰონისა და კოლეგების მიერ (2009) შემუშავებული მიდგომის თანახმად, დაკვირვებათა ახსნის ლოგიკა დაკავშირებულია ე.წ. „რიგითობის გამოაშკარავების“²¹ მეთოდთან, რომლის თანახმადაც, ჯერ უნდა გამოვააშკარავოთ ის დამოუკიდებელი ცვლადი, რომელიც ყველაზე მეტად ახდენს გავლენას დამოკიდებულ ცვლადზე, შემდგომ რიგით მეორე მნიშვნელოვანი ცვლადი, შემდეგ მესამე ასეთი ცვლადი და ა.შ. „რიგითობის გამოაშკარავების“ მეთოდი ადგენს აღმოჩენილი ან დასახელებული მიზეზების შეფასებით მნიშვნელობას, აგრეთვე, გვაძლევს პასუხის კითხვაზე - დასახელებული ან აღმოჩენილი მიზეზი უბრალოდ დამთხვევაა თუ ნამდვილად წარმოადგენს კაუზალური ჯაჭვის შემადგენელ ნაწილს (Mahoney, Kimball, და Koivu, 2009). შესასწავლი საკითხის რეტროსპექტულობიდან გამომდინარე, თვისებრივი მონაცემების ახსნისას ნაშრომი მისდევს მაჰონის, კიბმელისა და კოივუს (2009) მიერ შემოთავაზებული შემდეგ ზოგად წესს:

„ერთმანეთთან დაკავშირებული აუცილებელი მიზეზების მიმდევრობაში, სადაც თითოეული მიზეზი აუცილებელი პირობაა ყოველი მომდევნო მიზეზის შესასრულებლად და დაკვირვების საბოლოო შედეგის მისაღწევად, მიზეზის მნიშვნელოვნების გავლენა იზრდება საბოლოო შედეგთან მისი სიახლოვის პირდაპირპროპორციულად“ (Mahoney, Kimball, და Koivu, 2009, გვ. 132).

შესაბამისად, როდესაც მიზეზ-შედეგობრივი ან ასოციაციური კავშირის დაკვირვება ხდებოდა საჭირო, თვისებრივი მონაცემების ახსნის ლოგიკა სწორედ ზემოთ აღწერილ მიდგომას იყენებდა. გარდა ამისა, ნაშრომში, აგრეთვე, გამოყენებულია თავად

²¹ ორიგინალურ ტექსტში გამოყენებულია ტერმნი „Sequence elaboration“ (Mahoney, Kimball, და Koivu, 2009)

რესპონდენტების მიერ შემოთავაზებული მოსაზრებები და ახსნები, რომლებსაც სამეცნიერო ლიტერატურაში «აღწერილობითი ანგარიშები»²² ეწოდება (Ritchie et al, 2013).

2.3.3. მასობრივი გამოკითხვის მონაცემების წყაროები და მონაცემთა ანალიზი / რეგრესიული მოდელის აღწერა

მასობრივი მონაცემების გამოყენების ძირითადი დანიშნულება 2012 წლების არჩევნების წინა პერიოდში არსებული საზოგადოებრივი განწყობების შესწავლაა. თვისებრივი და მეორადი მონაცემების საშუალებით შესაძლებელია 2012 წლამდე არსებული სიტუაციის შესწავლა და ამომრჩეველთა ქცევებზე გავლენის მომხდენი ფაქტორების გამოკვლევა. თუმცა, დეტალური ინფორმაცია მოპოვება არჩევნების წინა პერიოდში მოსახლეობის განწყობების, სოციო-ეკონომიკური სტატუსისა და პოლიტიკური პარტიებისა და პროცესების მიმართ დამოკიდებულებების შესახებ მხოლოდ მასობრივი გამოკითხვების საშუალებით არის შესაძლებელი. ამ მიზნების გამო, სადოქტორო ნაშრომი იყენებს ეროვნულ-დემოკრატიული ინსტიტუტის (NDI) მიერ 2012 წელს საპარლამენტო არჩევნებამდე ჩატარებული მოსახლეობის გამოკითხვის სამ ტალღას:

გამოკითხვის ჩატარების პერიოდი	გამოკითხული რესპონდენტები	შერჩევის მეთოდი	საშუალო ცდომილება	გამოკითხვის მეთოდი
თებერვლის ტალღა 2012 (22 თებერვალი - 5 მარტი)	3,161	სტრატეგიცირებული მრავალსაფეხურიანი კლასტერული შერჩევა	+/- 3%	პირისპირ ინტერვიუ
ივნისის ტალღა 2012 (4 ივნისი - 22 ივნისი)	6,299	სტრატეგიცირებული მრავალსაფეხურიანი კლასტერული შერჩევა	+/- 2%	პირისპირ ინტერვიუ
აგვისტოს ტალღა 2012 (31 ივლისი - 12 აგვისტო)	2,038	სტრატეგიცირებული მრავალსაფეხურიანი კლასტერული შერჩევა	+/- 3%	პირისპირ ინტერვიუ

ცხრილი 2.3.3.1 NDI-ს 2012 წლის კვლევების მეთოდოლოგია და ტექნიკური ინფორმაცია

²² რიჩის და კოლეგების მიერ გამოყენებული ტერმინის, Descriptive accounts-ის თარგმანი (Ritchie et al, 2013).

მონაცემების ანალიზის პროცესში სამივე ტალღა ცალ-ცალკე გაანალიზდა, რათა შესაძლებელი ყოფილიყო საარჩევნო, 2012 წლის მიმდინარეობისას მოსახლეობის პოზიციებისა და დამოკიდებულებების ცვლილებზე დაკვირვება. აგრეთვე, სამი განსხვავებული ტალღის ერთმანეთთან შედარება უფრო თვალსაჩინოს გახდის, თუ რამდენად სტაბილური და რელევანტურია სადოქტორო ნაშრომში წარმოდგენილი რეგრესიის მოდელები. სამივე ტალღაში დამოკიდებული ცვლადი არის სახელისუფლებო პარტიის მხარდაჭერა. გამოკითხვებში დასმული კითხვა - „რომელი პარტია დგას თქვენს შეხედულებებთან ყველაზე ახლოს?“ დიქტომიურ ცვლადად გადაკეთდა: მმართველი პარტიის, ენმ-ს მხარდამჭერები და სხვა ოპოზიციური პარტიების მხარდამჭერები, აგრეთვე ისინი, ვისაც ჯერ არ ჰქონდა ჩამოყალიბებული პოზიცია. ამ უკანასკნელი მიდგომის არგუმენტი საბოლოო ჯამში ჩამოყალიბებული პოლიტიკური და ელექტორალური პოლარიზაციაც გახდა, როდესაც 2012 წლის არჩევნები რეალურად ორპარტიული შეჯიბრების არენა გახდა - მმართველი პოლიტიკური ძალა და გაერთიანებული ოპოზიცია ქართული ოცნების ხელმძღვანელობით²³²⁴. ამგვარ დიქტომიურ გარემოში კი ეს პრაქტიკულად ნიშნავდა ან სახელისუფლებო ან გაერთიანებული ოპოზიციის მხარდაჭერას.

ნაშრომში გამოყენებული მიდგომა გარკვეულწილად იმეორებს ბაბუნაშვილის (2017) მიერ გამოყენებულ მეთოდს, თუმცა, განსხვავდება გამოყენებული დამოუკიდებელი და დამოკიდებული ცვლადების ოპერაციონალიზაციით. კერძოდ, დამოკიდებული ცვლადი სადოქტორო ნაშრომში არის პარტიულ აფილაცია, ხოლო დამოუკიდებელი ცვლადები არ არის დაყოფილი ეკონომიკური და უსაფრთხოების შეფასების პოლიტიკებად. დამატებით, განსხვავდება ინსტიტუციური საქმიანობის შეფასების მიდგომებიც. აგრეთვე, ბაბუნაშვილის მონაცემები 2012 წლის მხოლოდ ერთ ტალღას აანალიზებს, მაშინ როდესაც ნაშრომში 2012 წელს ჩატარებული სამი გამოკითხვის მონაცემებია გაანალიზებული.

²³ საბოლოო ჯამში საპარლამენტო მანდატი მხოლოდ ამ ორმა საარჩევნო სუბიექტმა მოიპოვა, ხოლო მათ მიერ აღებული ხმების ჯამმა 95,31% შეადგინა. ე.წ. არ გამოყენებული და დაკარგული ხმების ასეთი მცირე პროცენტული ოდენობა (4.69%) არც 2012-მდე და არც 2012 წლის შემდეგ არ დაფიქსირებულა საქართველოში (საქართველოს ცენტრალური საარჩევნო კომისია, 2012).

²⁴ მონაცემთა ანალიზის დროს ხდება მხოლოდ ენმ-ს მხარდაჭერის მარყინალური ეფექტების წინასწარმეტყველება, რაც აგრეთვე გარკვეულწილად ანეიტრალებს იმ გარემოებას რომ მოხდა ოპოზიციური და გადაუწყვეტელი ამომრჩევლის დაჯგუფება.

სახელისუფლებო პარტიის მხარდაჭერის მოდელებში გამოყენებული დამოუკიდებელი ცვლადების მიზანია შემოწმდეს რეტროსპექტული ხმის მიცემის თეორიული ჩარჩოს მართებულობა ქართულ კონტექსტში. კერძოდ, დამოუკიდებელი ცვლადების გამოყენებით ხდება მთავრობის მიერ განხორციელებული საჯარო პოლიტიკის შეფასება და მნიშვნელოვანი სოციო-ეკონომიკური საკითხების დადებითად ან უარყოფითად შეფასება გასულ წლებთან შედარებით (ამ შემთხვევაში, საბაზისო წლად არის აღებული 2008 წელი, როგორც ბოლო ეროვნული არჩევნების ჩატარების წელი).

#	დამოუკიდებელი ცვლადის სახელი	აღწერა / რეკოდირების მიდგომა	მოდელის სახელწოდება
1	ზოგად-ეროვნული საკითხების ცვლილება 2008 წლის შემდეგ	კუმულაციური ინდექსი შემდეგი საკითხების შეფასებისა (1 = გაუარესდა; 2 = იგივე დარჩა ; 3 = გაუმჯობესდა): <ul style="list-style-type: none"> • კორუფცია • NATO-ში გაწევრიანება • პენსიები • რუსეთთან ურთიერთობა • საკუთრების უფლებები • სამართლიანი არჩევნები • დასაქმება • სასამართლოს სისტემა • სიტყვის თავისუფლება • ადამიანის უფლებები • სიღარიბე • ტერიტორიული მთლიანობა • ფასების ზრდა/ინფლაცია • ჯანდაცვის ხელმისაწვდომობა • ხელფასები • მედიის დამოუკიდებლობა • განათლება • ევროკავშირში გაწევრიანება 	2008 წელთან შედარებით საკითხების გაუმჯობესების მოდელი
2	ლოკალური საკითხების	კუმულაციური ინდექსი შემდეგი საკითხების შეფასებისა (1 =	2008 წელთან შედარებით საკითხების

	ცვლილება 2008 წლის შემდეგ	გაუარესდა; 2 = იგივე დარჩა ; 3 = გაუმჯობესდა): <ul style="list-style-type: none"> • კომუნალური სერვისების ღირებულება • ტრანსპორტის ღირებულება • გზების მდგომარეობა • გაზმომარაგება • სასოფლო-სამეურნეო პროდუქცია • წყალმომარაგება • ადგილობრივი სამედიცინო მომსახურება • გამრიცხველიანება • გადაუდებელ სიტუაციათა სამსახურის გადასახადი • საბავშვო ბაღების გადასახადი • კანალიზაცია • ნარკოდამოკიდებულების პრობლემა • დასუფთავების მომსახურება • ბაღების ხელმისაწვდომობა 	გაუმჯობესების მოდელი
3	ხელისუფლების წარმომადგენლების საქმიანობის შეფასება ²⁵	კუმულაციური ინდექსი შემდეგი პოლიტიკური პირების საქმიანობის შეფასებისა (1 = ძალიან ცუდი 2 = ცუდი 3 = საშუალოდ 4 = კარგად 5 = ძალიან კარგად): <ul style="list-style-type: none"> • მიხეილ სააკაშვილი • გიგი უგულავა • ვანო მერაბიშვილი • დავით ბაქრაძე • დიმიტრი შაშკინი²⁶ • კობა სუბელიანი²⁷ • ვერა ქობალია • ხათუნა კალმახელიძე 	ხელისუფლების წარმომადგენლების საქმიანობის შეფასების მოდელი

²⁵ ამ შემთხვევაში პოლიტიკური პირების სია შეზღუდულია და მხოლოდ მათი გამოყენება გახდა შესაძლებელი, რომელთა შესახებაც მოსახლეობის გამოკითხვის სამივე ტალღაში დაისვა კითხვები.

^{26, 27} მხოლოდ თებერვლისა და ივნისის ტალღებში. აგვისტოს ტალღაში მათ შესახებ კითხვა აღარ დასმულა.

4	სახელმწიფო ინსტიტუტების საქმიანობის შეფასება	<p>კუმულაციური ინდექსი ინსტიტუტების საქმიანობის შეფასებისა (1 = ძალიან ცუდი 2 = ცუდი 3 = საშუალოდ 4 = კარგად 5 = ძალიან კარგად):</p> <ul style="list-style-type: none"> • იუსტიციის სამინისტრო • სასჯელაღსრულების სამინისტრო • შინაგან საქმეთა სამინისტრო • სოფლის მეურნეობის სამინისტრო • პარლამენტი • მთავრობა • სასამართლოები • საქართველოს ჯარი • საქართველოს პოლიცია • ადგილობრივი თვითმმართველობა • ადგილობრივი საკრებულო • კონტროლის პალატა 	სახელმწიფო ინსტიტუტების საქმიანობის შეფასების მოდელი
---	--	--	--

ცხრილი 2.3.3.2 რეგრესიის მოდელის დამოუკიდებელი ცვლადები NDI-ს 2012 წლის კვლევების მიხედვით

2.3.3.2 ცხრილში მოცემული დამოუკიდებელი ცვლადების გამოყენებით რეტროსპექტული ხმის მიცემის სამი მოდელი შემუშავდა. პირველი მათგანი ეხება ეროვნული და ადგილობრივი საკითხების შეფასების გავლენას ხელისუფლების მხარდაჭერაზე. მეორე მოდელში მთავარი დამოუკიდებელი ცვლადი არის პოლიტიკური ლიდერების საქმიანობის შეფასება, ხოლო მესამე მოდელში - სახელმწიფო ინსტიტუტების საქმიანობის შეფასება.

რაც შეეხება საკონტროლო ცვლადებს, მათი ჩამონათვალი შემდეგია: დასახლების ტიპი (დედაქალაქი, ურბანული დასახლებები, სოფლის ტიპის დასახლებები), ასაკი, სქესი, რესპონდენტის განათლების დონე (საშუალო განათლება, საშუალო ტექნიკური განათლება, უმაღლესი განათლება), დასაქმება, სამთავრობო დახმარებებზე

დამოკიდებულება²⁸ და რესპონდენტის შემოსავალი გასულ თვეს²⁹. ამ მონაცემების გამოყენებით, სამივე ტალღის შედეგები გაანალიზებულია ლოგისტიკური რეგრესიის გამოყენებით. თითოეული ტალღისთვის გამოყენებულია სამი მოდელი, სადაც ძირითადი დამოუკიდებელი ცვლადი არის: (1) 2008 წელთან შედარებით საკითხების გაუმჯობესება; (2) ხელისუფლების წარმომადგენლების საქმიანობის შეფასება; და (3) სახელმწიფო ინსტიტუტების საქმიანობის შეფასება. მონაცემების ინტერპრეტაციის დროს გამოყენებულია მარჟინალური ეფექტები და სტატისტიკურად მნიშვნელოვანი ცვლადების შემთხვევაში პროგნოზირებული მნიშვნელობები. მონაცემები გაანალიზდა სტატისტიკური მონაცემების დამუშავების პროგრამა STATA 16-ში.

2.3.4. მეორადი მონაცემებისა და არჩევნების შედეგების წყაროები / ცვლადების კონცეპტუალიზაცია და ოპერაციონალიზაცია

კვლევის ფარგლებში დასაკვირვებელი ფენომენების მაქსიმალურად სიღრმისეულად აღსაწერად და შესასწავლად, კვლევაში გამოყენებულია მეორადი მონაცემებიც. მათი ძირითადი წყაროა ცენტრალური საარჩევნო კომისია, სტატისტიკის ეროვნული სამსახური და სოციალური მომსახურების სააგენტო. დამატებით, კვლევის პროცესში გამოთხოვილ იყო საჯარო ინფორმაცია საქართველოს სახელმწიფო ბიუჯეტის შესახებ და ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოებში საბიუჯეტო ხარჯების შესახებ. სადოქტორო კვლევაში აგრეთვე გამოყენებულია ადგილობრივი და საერთაშორისო ორგანიზაციების მიერ გამოქვეყნებული ანგარიშები, კვლევები და საზოგადოებრივი აზრის გამოკითხვების შედეგები.

ნაშრომის დამოკიდებული ცვლადი, რეჟიმის სტაბილურობა, მეორადი მონაცემების კონტექსტში გაიზომა არჩევნებში მმართველი პოლიტიკური ძალის მიერ მიღებული ხმებით. ნაშრომის ფარგლებში ყურადღება გამახვილებულია 2008 წლისა და 2012 წლის საპარლამენტო არჩევნებზე. დამოუკიდებელ ცვლადად კი ნაშრომში განხილულია ამომრჩეველთა დარწმუნების სტრატეგიები, რომლებსაც მთავრობა არჩევნებს შორის პერიოდში ახორციელებდა: „რბილი“ და „ხისტი“ მიდგომები. ასეთი

²⁸ სახელმწიფოსგან მიღებული 6 სხვადასხვა ტიპის დახმარებისგან შედგენილი კუმულაციური ინდექსი, რომელზეც 0 ნიშნავს რომ რესპონდენტს საერთო არ მიუღია არანაირი დახმარება, ხოლო 6 ნიშნავს რომ კვლევაში დასახელებული ყველა დახმარება მიიღო.

²⁹ ცვლადი მოიცავს შემოსავლის 4 კატეგორიას: არანაირი პირადი შემოსავალი (0 ლარი); 1-140 ლარი; 141-400 ლარი; და 401 ლარი და მეტი.

სტრატეგიების მიზანი არის, ერთი მხრივ, მოწინააღმდეგეებისთვის ასპარეზის შემცირება, ხოლო, მეორე მხრივ, ამომრჩევლებისთვის ისეთი საჯარო პოლიტიკის შეთავაზება, რაც დადებითად განაწყობს ამომრჩევლებს.

სადოქტორო კვლევაში დამოკიდებული ცვლადის ოპერაციონალიზაცია პრინციპში სწორხაზოვანია - რამდენი ამომრჩევლის მიმხრობა შესძლო პოლიტიკურმა პარტიამ. სამაგიეროდ, დამოუკიდებელი ცვლადის შემთხვევაში საქმე უფრო რთულად არის. ნაშრომში გამოყენებული თეორიული მიდგომები, ხმის მიცემის ეკონომიკური და რეტროსპექტული მოდელები, კონცეპტუალურად დაკავშირებულნი არიან პოლიტიკურ აქტორებსა და საზოგადოებას შორის გაფორმებული „სოციალური კონტრაქტის“ აღსრულებაზე: *სოციალური და ეკონომიკური კეთილდღეობის მიღწევა და საზოგადოებრივი წესრიგის დამყარება* (Healy და Malhotra, 2013). ამ საკითხების ჯეროვნად გასაზომად სადოქტორო ნაშრომში გამოყენებულია ისეთი ტიპის მონაცემები, როგორც არის, მაგალითად, საჯარო დაწესებულებების მიერ სოციალური პროგრამების დასაფინანსებლად გამოყოფილი და დახარჯული თანხები.

მეორადი მონაცემების დამოუკიდებელი და საკონტროლო ცვლადები ორ ძირითად ნაწილად იყოფა და ნაშრომში გამოყენებული ორივე მოდელის შემთხვევაში, მონაცემები გაანალიზებულია უმცირეს კვადრატთა (OLS) რეგრესიული მოდელის გამოყენებით. პირველი მოდელის დამოუკიდებელი და საკონტროლო ცვლადები წარმოდგენილია გაეროს ევროპის ეკონომიკური კომისიის (UNECE) დაკვეთით ჩატარებული თაობათა და გენდერის (GGS) პანელური კვლევის ორი ტალდიდან. 2006 წელს ჩატარებული ტალდა წარმომადგენლობითი იყო საქართველოში მცხოვრები ყველა ზრდასრული ადამიანისა, გარდა ოკუპირებულ ტერიტორიებზე მცხოვრები მოქალაქეებისა და მასში 10 000-მა რესპონდენტმა მიიღო მონაწილეობა. 2009 წლის ტალდა 2006 წლის კვლევის პანელური გაგრძელება იყო და მის ფარგლებში 2006 წლის ტალდაში მონაწილე 8292 გამოიკითხა. 2006 წლის მონაცემები გამოყენებულია 2008 წლის საპარლამენტო არჩევნების შედეგების მოდელში, ხოლო 2009 წლის მონაცემები, შესაბამისად, 2012 წლის საპარლამენტო არჩევნებისთვის. მნიშვნელოვანია აღინიშნოს, რომ სადოქტორო ნაშრომის ეს მოდელი შეესაბამება გუგუშვილის მიერ 2012 წელს გამოყენებულ მოდელს, რომელიც აღწერილია ნაშრომში „მატერიალური დეპრივაცია და არჩევნების შედეგები“ და, ამდენად, სადოქტორო ნაშრომის ამ ნაწილის ლოგიკა

ეხმანება მის მიერ შემუშავებულ ჩარჩოს. თუმცა, სადოქტორო ნაშრომის მიდგომები რიგ განსხვავებებს ეფუძნება. გუგუშვილის ნაშრომში 2006 წლის მონაცემები დაკავშირებულია 2012 წლის საპარლამენტო არჩევნებთან, ხოლო რიგი საკონტროლო ცვლადები განსხვავებულია სადოქტორო ნაშრომში გამოყენებული ცვლადებისგან.

სადოქტორო ნაშრომში გამოყენებული ცვლადები GGS-ის კვლევიდან შემდეგია:

#	ცვლადის სახელი	აღწერა
1)	შინამეურნეობის მფლობელობაში მყოფი ნივთების ინდექსი	11 ძირითადი საოჯახო ნივთის / ქონების ფლობის კუმულაციური ინდექსი: <ul style="list-style-type: none"> • მაცივარი • ფერადი ტელევიზორი • ვიდეო / DVD ფლეერი • სარეცხის მანქანა • მიკროტალღური ღუმელი • კომპიუტერი • ჭურჭლის სარეცხი მანქანა • ტელეფონი (როგორც მობილური, აგრეთვე სტაციონარული) • ავტომობილი • მეორე ავტომობილი • მეორე სახლი
2)	რესპონდენტების ზოგადი განწყობა	რესპონდენტების ზოგადი კმაყოფილების კუმულაციური ინდექსი, რომელიც შედგება 5 დებულების შეფასებებისგან ³⁰ : <ul style="list-style-type: none"> • ძალიან ბევრი ადამიანი არსებობს, ვინც დამეხმარება გასაჭირში • მეუფლება ზოგადი სიცარიელის განცდა • ჩემს ირგვლივ ბევრი ადამიანი არ იმყოფება • ბევრი ადამიანი არსებობს, ვისაც შემძლია სრულად ვენდო • ხშირად გარიყულად ვგრძნობ თავს
3)	დასაქმება	დიქტომიური ცვლადი, თვლის თუ არა რესპონდენტი საკუთარ თავს დასაქმებულად
4)	ჯანმრთელობის მდგომარეობა	ჯანმრთელობის ზოგადი მდგომარეობა 5 ბალიან სკალაზე
5)	შინამეურნეობის შემოსავალი	შინამეურნეობის ყველა წევრის ჯამური შემოსავალი ბოლო 12 თვის განმავლობაში

³⁰ ანალიზის დროს დებულებების სკალების მიმდევრობა შეცვლილია, ისე რომ ყველა ერთი მიმართულებით იყოს: დადებითიდან უარყოფითამდე.

6)	რესპონდენტის განათლების დონე	განათლების უმაღლესი საფეხური, რომელიც რესპონდენტს აქვს განათლების კლასიფიკაციის საერთაშორისო სტანდარტის სკალაზე
7)	დასახლებული პუნქტიდან სხვაგან საცხოვრებლად წასვლის სურვილი	რესპონდენტის სურვილის შეფასება, სხვაგან წავიდეს საცხოვრებლად მომდევნო 3 წლის განმავლობაში, 4 ქულიან სკალაზე

ცხრილი 2.3.4.1 კვლევაში გამოყენებული GSS-ის კვლევის ცვლადები

აღნიშნული ცვლადების გამოყენების უკან რამდენიმე თეორიული დაშვება დგას. ლუის-ბეკი და ნადოს (2011) მიერ შემოთავაზებული სტრუქტურის მიხედვით, სწორედ ასე გამოიყურება ეკონომიკური და რეტროსპექტული ხმის მიცემის მოდელი:

$$\begin{aligned} \text{ხმის მიცემა} = & \text{ეკონომიკური ფაქტორები} + \text{სხვა საკითხები} \\ & (\text{არჩევნების და ქვეყნის კონტექსტუალური}) + \text{პარტიული} \\ & \text{თვითიდენტიფიკაცია} + \text{სოციო-ეკონომიკური სტატუსი} \end{aligned}$$

ამიტომაც, ცვლადების შერჩევის პროცესში პირველ რიგში გათვალისწინებულია ლუის-ბეკისა და ნადოს (2011) მიერ შემოთავაზებული თეორია, რომლის მიხედვითაც ეკონომიკური სტრუქტურა და დოვლათის გადანაწილება, მათ შორის შემოსავალი და ძირითადი საყოფაცხოვრებო ნივთების ფლობა, მნიშვნელოვანი ფაქტორია საარჩევნო პრეფერენციების ფორმირებისთვის. ამ შემთხვევაში, ეკონომიკური მდგომარეობის გასაზომად შერჩეული ცვლადებია დასაქმება, შინამეურნეობის შემოსავალი და შინამეურნეობის მფლობელობაში მყოფი ნივთების ფლობის ინდექსი. ნივთების ფლობის ინდექსის გამოყენება ამ მიზნებისთვის საკმაოდ გავრცელებულია, როდესაც მკვლევრები ცდილობენ დაადგინონ შედარებითი დეპრივაციისა და შინამეურნეობის შედარებითი კეთილდღეობის დონე (Pikhart et al, 2003; Groffen et al 2008). აღნიშნული მიდგომა გამოყენებულია როგორც მატერიალური დეპრივაციის შესახებ ჩატარებულ კვლევებში, აგრეთვე ამ კონცეპტის არჩევნების შედეგებზე გავლენის შესახებ ჩატარებულ კვლევებშიც, მათ შორის საქართველოს კონტექსტში (Gugushvili, 2012, McKnight, 2013, Hellwig და McAllister, 2019).

ეკონომიკური და რეტროსპექტული ხმის მიცემის თეორიების ერთი ნაწილი მიიჩნევს, რომ სოციალური კლასი, რომელიც სადოქტორო ნაშრომის კონტექსტში გაზომილია როგორც განათლების მიღებული უმაღლესი საფეხური, მნიშვნელოვანი ფაქტორია,

აგრეთვე, საარჩევნო პრეფერენციების ჩამოსაყალიბებლად (Lewis-Beck და Nadeau, 2000). მიზეზი, თუ რატომაც არის არჩეული სოციალური კლასის გასაზომად განათლების დონე³¹, ორგვარია: ხელთ არსებული შესაფერი მონაცემების შეზღუდული რაოდენობა და ქართული კონტექსტი. კვლევები ადასტურებს, რომ საქართველოში სოციალური კლასი მნიშვნელოვანწილად არის დაკავშირებული განათლების დონესთან (Roberts და Pollock, 2009). განსაკუთრებით, განათლებისა და სოციალური კლასის კავშირი მძაფრია ეთნიკური უმცირესობებისა და სოფლის ტიპის დასახლებებში მცხოვრები მოქალაქეებისთვის (Chankseliani, 2013; Tabatadze, 2017). დამატებით, არსებობს ემპირიული არგუმენტები იმასთან დაკავშირებით, რომ ქართულ კონტექსტში განათლებასა და სოციალურ კაპიტალსა და შემდგომ სოციალურ კლასს შორის არსებობს მჭიდრო კორელაციური კავშირი (Chakhaia et al, 2014). და ბოლოს, რობერტსმა და კოლეგებმა (2000) ყოფილ საბჭოთა რესპუბლიკებში, მათ შორის საქართველოში, ჩატარებული კვლევით აჩვენეს, რომ ტრადიციულად არსებობს მძლავრი კავშირი განათლებასა და შემდგომი დასაქმების ალბათობებს შორის, რაც ირიბად, აგრეთვე, მიუთითებს განათლების ფაქტორის მნიშვნელობაზე ეკონომიკური ხმის მიცემის თეორიის კონტექსტში. კერძოდ, განსხვავებული განათლების მქონე მოქალაქეებმა შესაძლოა განსხვავებული სიმძაფრით აღიქვან ან განიცადონ პოტენციური ეკონომიკური რყევების გავლენა.

მოდელის დანარჩენი ცვლადების, როგორებიცაა პერსონალური განწყობები, ჯანმრთელობის ზოგადი შეფასება და დასახლებული პუნქტიდან სხვაგან საცხოვრებლად წასვლის სურვილი, გამოყენების მიზეზები ასევე საარჩევნო ქცევების ლიტერატურასთან არის დაკავშირებული. სანდერსმა (1991) აჩვენა, რომ ზოგადი პერსონალური განწყობები და ოპტიმიზმი გავლენას ახდენს საარჩევნო ქცევებზე. პერსონალური არასტაბილურობისა და კეთილდღეობის თვითშეფასების გავლენა, ხშირ შემთხვევაში, უფრო მნიშვნელოვანზე შეიძლება გამოდგეს, ვიდრე პარტიული აფილაცია ან/და უშუალო ეკონომიკური მდგომარეობის შეფასება (Marsh და McElroy,

³¹ საქართველოს კონტექსტში სოციალურ კლასსა და განათლების დონეებს შორის არ არის ერთგვაროვანი ურთიერთდამოკიდებულება. ნაშრომში არ არის განვითარებული ის მოსაზრება, რომ განათლების დონე აყალიბებს სოციალურ კლასს. ნაშრომი იზიარებს იმ პოზიციას, რომ განათლების დონე შეიძლება იყო კორელაციაში სოციალურ კლასებად დაყოფასა და ეკონომიკური კეთილდღეობის მიღწევაში (Zubashvili, 2015; CRRC, 2016).

2016). კმაყოფილების თეორიის მიხედვით, ხშირად პირადმა, პერსონალურმა განწყობებმა შესაძლოა მნიშვნელოვანი გავლენა მოახდინონ არჩევნების შედეგებზე (Schofield და Reeves, 2015). ამიტომაც, აღნიშნული ცვლადების დანიშნულება საკონტროლო სახისაა, რომ გათვალისწინებული იყოს აღნიშნული გარემოებების შესაძლო გავლენა არჩევნების შედეგებზე.

GGG-ის მონაცემების გარდა, ხმის მიცემის ალბათობის მოდელები, აგრეთვე, შეიცავს საარჩევნო უბნების სოციო-გეოგრაფიულ მახასიათებლებს: ურბანიზაციის დონეს, საარჩევნო ოლქის საშუალო სიმაღლეს ზღვის დონიდან და ეთნიკური ქართველების ხვედრით წილს საარჩევნო ოლქებში. არჩევნების შესახებ ჩატარებული კვლევების მიხედვით, აღნიშნული ფაქტორები მნიშვნელოვანია, როდესაც მხედველობაშია მისაღები არჩევნების გეოგრაფიული მახასიათებლები და დაპირისპირებების ხასიათი როგორც ქართულ კონტექსტში, ისე სხვა ქვეყნების მაგალითზეც (McAllister და Studlar, 1992; Sichinava, 2017).

GGG-ის კვლევის ცვლადები შეგროვებულია ინდივიდუალურ, ანუ რესპონდენტების დონეზე, მაშინ როდესაც ნაშრომის ამ ნაწილის ანალიზის ერთეული არის საარჩევნო ოლქები და საარჩევნო ოლქებში მმართველი პარტიისა და ოპოზიციის მიერ მიღებული ხმები. ამიტომაც, ინდივიდუალური დონის მონაცემები GGG-ის მონაცემთა ბაზაში არსებული დასახლების ტიპის ცვლადის გამოყენებით დაჯგუფდა, რომელიც შეესაბამებოდა 2008 და 2012 წლებში არსებულ საქართველოს საარჩევნო ოლქებს. განხილული ცვლადების გამოყენებით, თითოეულ მუნიციპალიტეტში (იგივე საარჩევნო ოლქში) გამოთვლილ იქნა თითოეული ცვლადის გასაშუალოებული მაჩვენებლის ხვედრითი წილი. მაგალითად, როდესაც საქმე ეხება განათლების ცვლადს, გამოთვლილია უმაღლესი განათლების მქონე პირების ხვედრითი წილი მოცემულ მუნიციპალიტეტში, ხოლო დასაქმების შემთხვევაში - თვითაქმითი დასაქმების ხვედრითი წილი მუნიციპალიტეტის მოსახლეობაში. ანალიზის დაწყების წინ, ყველა ცვლადი, სხვა სივრცულ-გეოგრაფიულ ცვლადებთან ერთად, z ქულების გამოყენებით იქნა სტანდარტიზებული, რათა შესაძლებელი ყოფილიყო გაზომვის სხვადასხვა სკალასა და ინტერვალზე მოცემული ცვლადების ერთმანეთთან შედარება და შეპირისპირება.

აღნიშნული მიდგომის ყველაზე მნიშვნელოვანი პრობლემა მდგომარეობს გამოკითხვის მონაცემების, რომლებიც ინდივიდუალურ დონეზე არის შეგროვებული, დაკავშირებაში მეორად მონაცემებთან. სამეცნიერო ლიტერატურაში აღნიშნულია, რომ, ხშირ შემთხვევაში, ეს მიდგომა ერთადერთი შესაძლო საშუალებაა სრულყოფილად აღიწეროს არჩევნების შედეგებზე გავლენის მომხდენი ფაქტორები (Van der Eijk, 2002). როგორც ვან დერ აიკი (2002) აღნიშნავს, განსხვავებული გზებით შეგროვებული მონაცემების დაკავშირებას შეუძლია აღმოფხვრას ენდოგენურობისა და ეგზოგენურობის პრობლემები, რომლებსაც მკვლევარები ხშირად ეჩეხებიან მხოლოდ ერთი ტიპის მონაცემების გამოყენების დროს.

მეორე მოდელის დამოუკიდებელი ცვლადები ზომავენ მოქალაქეების დამოკიდებულების ხარისხს სამთავრობო რესურსებზე, აგრეთვე მათ მდებარეობას უთანასწორობის საზომ წარმოსახვით სკალებზე. ისინი მთლიანად მეორადი მონაცემების საფუძველზეა შეგროვებული. ეს გარემოება წარმოადგენს მცდელობას, გადაჭრას პირველი მოდელის ნაკლოვანებები, რაც გამოიხატება გამოკითხვისა და მეორადი მონაცემების ერთმანეთთან დაკავშირების პრობლემურობაში. აგრეთვე, მეორადი მონაცემების საშუალებით შესაძლებელია უკეთესად გაიზომოს წმინდად ეკონომიკური ფაქტორების გავლენა არჩევნების შედეგებზე.

მოდელში გამოყენებული მონაცემები გასაშუალოებულია 2008-2011 წლებისთვის თითოეული საარჩევნო ოლქების მიხედვით და მოიცავს ინფორმაციას, რომელიც შეგროვდა დაავადებათა კონტროლის და საზოგადოებრივი ჯანმრთელობის ეროვნული ცენტრიდან, სოციალური მომსახურების სააგენტოდან და სახელმწიფო ბიუჯეტიდან მიღებული საჯარო მონაცემების საფუძველზე. მონაცემთა გასაშუალოების არგუმენტი დაკავშირებულია იმ გარემოებასთან, რომ ამომრჩევლები აფასებენ პოლიტიკური სისტემის მიერ მიღწეულ ეკონომიკურ კეთილდღეობასა და წარმატებებს გრძელვადიან პერიოდში (Brender და Drazen, 2005).

უთანასწორობის ინდიკატორები:

- სამედიცინო დაწესებულებებში სიკვდილიანობის მაჩვენებელი
[საშუალო პროცენტული რაოდენობა 2008-2011 წლებში]

- საარსებო შემწეობის ბენეფიციართა რიცხვი [საშუალო ერთ სულ მოსახლეზე 2008-2011 წლებში]
- სახელმწიფო კომპენსაციებისა და სტიპენდიების ბენეფიციართა რაოდენობა [საშუალო ერთ სულ მოსახლეზე 2008-2011 წლებში]

პირველი ცვლადი ბუნებრივად არის დაკავშირებული იმ გარემოებასთან, თუ როგორია მოცემულ საარჩევნო ოლქში სამედიცინო მომსახურების ხარისხი, რაც ირიბად ზომავს მუნიციპალიტეტის კეთილდღეობას. რაც შეეხება დანარჩენ ორ ცვლადს - საარსებო შემწეობისა და კომპენსაციების რაოდენობას - ისინი, აგრეთვე, ირიბად ზომავს მოსახლეობის იმ ნაწილის ხვედრით წილს მუნიციპალიტეტებში, რომელიც იძულებულია დამოკიდებული იყოს სამთავრობო შემწეობაზე, საკუთარი არასახარბიელო სოციო-ეკონომიკური მდგომარეობიდან გამომდინარე.

სამთავრობო ხარჯებზე დამოკიდებულის ინდიკატორები:

- ადგილობრივი თვითმმართველობების მიერ გაწეული ხარჯები [საშუალოდ ერთ სულ მოსახლეზე 2008-2011 წლებში]
- გათანაბრებითი ტრანსფერები, გადარიცხული სახელმწიფო ბიუჯეტიდან მუნიციპალიტეტებში [ჯამი ერთ სულ მოსახლეზე 2008-2011 წლებში]
- მიზნობრივი ტრანსფერები, გადარიცხული სახელმწიფო ბიუჯეტიდან მუნიციპალიტეტებში [ჯამი ერთ სულ მოსახლეზე 2008-2011 წლებში]

სამთავრობო ხარჯებზე დამოკიდებულება წარმოადგენს საჯარო პოლიტიკის ზეგავლენის გასაზომ ფაქტორს. მისი საშუალებით შესაძლებელია გავზომოთ, რამდენად წარმატებული ან წარუმატებელი აღმოჩნდა მთავრობის მიერ განხორციელებული კლიენტელისტური საჯარო პოლიტიკა, რომლის უმთავრეს მიზანს საარჩევნო ლეგიტიმაცია და ხმების მოპოვება წარმოადგენდა. შესაბამისად, წინა აზვაცებში განხილული ცვლადების გამოყენებით სტატისტიკური მოდელები შეეცდებიან ახსნან თუ რამ მოახდინა გავლენა ენმ-ს მიერ 2012 წელს მიღებული ხმების რაოდენობაზე. მეორე მოდელის განხილვისას გასათვალისწინებელია ის გარემოებაც, რომ მონაცემთა პირველადი დამუშავებისას გამოვლენილი ფაქტორების გამო

ანალიზიდან გამოირიცხა საჩხერის მუნიციპალიტეტი³². დამატებით, თბილისის საარჩევნო უბნებზე დამოუკიდებელი ცვლადების არასათანადო დეტალიზაციისა და სიმწირის გამო არც თბილისის საარჩევნო უბნების მონაცემები ყოფილა გამოყენებული მეორე მოდელის ანალიზში³³. მონაცემების ინტერპრეტაციის დროს გამოყენებულია მარჯინალური ეფექტები და სტატისტიკურად მნიშვნელოვანი ცვლადების შემთხვევაში პროგნოზირებული მნიშვნელობები. მონაცემები გაანალიზდა სტატისტიკური მონაცემების დამუშავების პროგრამა STATA 16-ში.

2.4. კვლევის შედეგები

კვლევის შედეგების თავი დაყოფილია სამ ძირითად ქვეთავად, რომლებიც ნაშრომში გამოყენებული მეთოდების მიხედვით შეგროვებულ და გაანალიზებულ მონაცემებს მიმოიხილავს. პირველ ქვეთავში მოცემული საჯარო პოლიტიკის ფორმირებისა და ამომრჩევლებსა და ელიტას შორის არსებული კავშირების ამსახველი მონაცემები დაკავშირებულია კვლევის თვისებრივი მეთოდებთან, რომელიც გამდიდრებულია მეორადი და ოფიციალური სტატისტიკური მონაცემებით. აგრეთვე, ეს ქვეთავი საშუალებას იძლევა სიღრმისეულად იქნეს განხილული 2012 წლის საპარლამენტო არჩევნების შედეგებზე გავლენის მომხდენი ძირითადი ფაქტორები. კვლევის შედეგების ნაწილი გრძელდება ამომრჩევლებსა და პოლიტიკურ სუბიექტებს შორის არსებული კავშირების გამოაშკარავებით. თუმცა, ამჯერად, კვლევის შედეგები მასობრივი გამოკითხვების მონაცემების გამოყენებით არის შესწავლილი. 2012 წლის განმავლობაში ჩატარებული სამი გამოკითხვა საშუალებას იძლევა დინამიკაში შევისწავლოთ საარჩევნო პრეფერენციების ფორმირება საპარლამენტო არჩევნების წინ. მესამე, დასკვნით ქვეთავში კი განხილულია არჩევნების შედეგები და არჩევნების შედეგებზე გავლენის მომხდენი სოციო-ეკონომიკური ფაქტორები 2008 და 2012

³² მონაცემთა ანალიზიდან ამოღებულია საჩხერის მუნიციპალიტეტი, რადგანაც ის წარმოადგენს ე.წ. outlier-ს. თვისებრივი ინტერვიუების მიხედვით, საჩხერე ამოვარდნილი იყო საარჩევნო კონტექსტიდან, რადგანაც წარმოადგენს ბიძინა ივანიშვილის, კოალიცია „ქართული ოცნების“ ლიდერის, მშობლიურ მხარეს. ხმის მიცემისას ამომრჩევლები უპირატესად ამ ფაქტორით ხელმძღვანელობდნენ და არა ნაშრომში განხილული თეორიული პარადიგმების მიხედვით.

³³ ამ შემთხვევაში იგულისხმება სოციო-ეკონომიკური ინდიკატორების მონაცემები, რომელთა მნიშვნელოვანი ნაწილი მონაცემთა ანალიზის პროცესში არ იყო საჯაროდ ხელმისაწვდომი ან სახელმწიფო სტრუქტურები ასეთი ტიპის მონაცემებს არ აგროვებდნენ თბილისის საარჩევნო ოლქების რეპრეზენტატულ დონეზე.

წლების საპარლამენტო არჩევნების მაგალითზე. ამ შემთხვევაში, კვლევის ძირითადი ყურადღება გამახვილებულია სოციალური უთანასწორობის ფენომენის შესწავლაზე.

2.4.1 საჯარო პოლიტიკის ფორმირება, სახელმწიფოს მართვის ლოგიკა და 2012 წლის საპარლამენტო არჩევნების შედეგების გამომწვევი მიზეზები

კვლევის თვისებრივი კომპონენტის ნაწილში განხილულია საჯარო პოლიტიკის წარმოება და ამ პოლიტიკის გავლენა სოციალურ, ეკონომიკურ და საარჩევნო პროცესებზე 2004-2012 წლების საქართველოში. როგორც ეს ლიტერატურის მიმოხილვის თავში იყო ნაჩვენები, ჰიბრიდულ რეჟიმებში მთავრობა სარგებლობს უამრავი უპირატესობით, თუმცა ის მაინც შეზღუდულია რიგი შინაგანი და გარეგანი ფაქტორებით. იმისათვის, რათა ეს უპირატესობები გამოდგეს არჩევნების მოგებისა და რეჟიმის ლეგიტიმაციისთვის, მთავრობებმა უნდა მოახერხონ მათი გამოყენება ამომრჩეველთა მაქსიმალური რაოდენობის დასარწმუნებლად (Greene, 2007). ამ ქვეთავში წარმოდგენილი მიგნებები და შედეგები სწორედ ამ საკითხის ქართულ კონტექსტში დეტალურ განხილვას ეთმობა. ქვეთავის პირველ ნაწილში განხილული იქნება, თუ რა დოზით ჰქონდა მთავრობას შესაძლებლობა განეკარგა მის ხელთ არსებული ფინანსური რესურსები და აღმასრულებელი ძალაუფლება, სასურველი მიზნების მისაღწევად. შემდგომ ნაჩვენებია საჯარო პოლიტიკის რელევანტური სფეროების - სასჯელაღსრულებისა და სოციალური პოლიტიკის - გამოყენების ლოგიკა. დასასრულს, აღწერილია 2012 წლის საპარლამენტო არჩევნების შედეგებზე გავლენის მომხდენი ფაქტორები. ქვეთავში მოცემული აღწერითი ანალიზი და შემოთავაზებული მიზეზ-შედეგობრივი დასკვნები დაფუძნებულია თვისებრივი ინტერვიუების შედეგად მოპოვებულ ინფორმაციაზე.

2.4.1.1 მთავრობის ხელთ არსებული რესურსების გამოყენება და შეზღუდვები

თვისებრივი ინტერვიუების დროს მთავრობის მიერ განხორციელებული პოლიტიკა სახელმწიფოს ქმედუნარიანობის კონტექსტში იყო განხილული. ნაშრომის კონტექსტში განხილული ქმედუნარიანობა, რომელსაც ინგლისურენოვან სამეცნიერო ლიტერატურაში მოიხსენიებენ როგორც „state capacity“, გულისხმობს შემდეგი კონცეპტების ერთობლიობას - ბიუროკრატიული აპარატის გამართული მუშაობა,

ადმინისტრაციული რესურსების მობილიზება, ინსტიტუციური განვითარება, გადასახადების აკრეფა და მასობრივი საინფორმაციო საშუალებების კონტროლი.

გამოკითხული რესპონდენტების უმრავლესობის თანახმად, 2004 წლიდან მოყოლებული, მმართველი პარტიის სამოქმედო გეგმა მთლიანად დაკავშირებული იყო 1990-იანი წლების პრობლემური მემკვიდრეობის გადაჭრასთან. ენმ-ს პირველ წლებს ლაიტმოტივად გასდევდა საჯარო ინსტიტუტების აღდგენა, სამართალდამცავი სისტემის გაძლიერება და წესრიგის დამყარება. 2004-2006 წლების შემდეგ, მთავრობამ შეძლო საჯარო ინსტიტუტების გამტკიცება, რომლის ფარგლებშიც ყველაზე დიდი ყურადღება დაბალ და საშუალო რგოლში კორუფციის აღმოფხვრას ეთმობოდა.

სახელმწიფო ინსტიტუტების განმტკიცებას თან ახლდა ცენტრალიზაციისა და მკაცრი სახელისუფლებო ვერტიკალის ფორმირებაც, რომელთა მთავარი მიზანი პოლიტიკური რეჟიმის სტაბილურობის განმტკიცება და რესურსების მობილიზაცია იყო. სადოქტორო ნაშრომში გამოყენებული თეორიული საფუძვლების გათვალისწინებით, ენმ-ს მმართველობის საწყის ეტაპზე ასეთი ტიპის პოლიტიკის გატარება ეხმიანება ჰიბრიდული და დომინანტური პარტიის რეჟიმების საერთო მახასიათებელს: „*რესურსების უპირატესობის შექმნა საჯარო-საბიუჯეტო რესურსების საშუალებით, რაც ფუნდამენტურად ცვლის ელექტორალურ მხარდაჭერას მმართველის პარტიის მიმართ*“ (Greene, 2010, გვ. 5).

რესპონდენტების აზრით, სახელმწიფო ინსტიტუტების გაძლიერებამ და მთავრობის ცენტრალიზაციამ, საბოლოო ჯამში, მცირე წრის ხელში ძალაუფლების კონცენტრაცია და დემოკრატიული ღირებულებების დარღვევა გამოიწვია. ჰიბრიდული და დომინანტური პარტიების შემსწავლელი ლიტერატურა ცხადყოფს, რომ, დროთა განმავლობაში, ნებისმიერი პარტია, რომელიც ასეთი ტიპის პოლიტიკურ რეჟიმში მოქმედებს, კარგავს აუცილებელ ბალანსს ძალაუფლების საკმარის ცენტრალიზაციასა და საზოგადოების რაც შეიძლება ფართო სპექტრის დაკმაყოფილებას შორის (White, 2014). ინტერვიუების დროს აღინიშნა, რომ მთავრობამ რეორგანიზებული და მოდერნიზებული ინსტიტუტები, რომლებიც ხშირად ლეგიტიმაციის მოხვეჭის მნიშვნელოვანი არგუმენტი იყო, გამოიყენა საკუთარი მოქალაქეების წინააღმდეგ, მაგალითად, ქუჩის პროტესტების დროს. ამიტომაც, შემდგომ წლებში მოსახლეობის

უმეტესობის მიერ ენმ-ს შექმნილი სისტემა აღიქმებოდა როგორც ძალიან მკაცრი და რეპრესიული.

თვისებრივი ინტერვიუების დროს, აგრეთვე, აღინიშნა, რომ საქართველოს სახელმწიფო ინსტიტუტებმა ეფექტურობის ყველაზე მაღალ ხარისხს 2008 წელს მიაღწიეს, რაშიც გადამწყვეტი როლი ბიუროკრატიული აპარატის გამართულმა მუშაობამ შეიტანა. გრინი (2010) აღნიშნავს, რომ საჯარო ბიუროკრატის გამართული მუშაობა აუცილებელი ფაქტორია საჯარო რესურსების ეფექტიანი კონტროლისთვის. ინტერვიუების დროს აღნიშნავდნენ, რომ ენმ-ს მმართველობის საწყის ეტაპზე ბიუროკრატიული აპარატის გამართული მუშაობის პირდაპირი შედეგი სახელმწიფო უწყებების გამართული მუშაობა და სერვისების მიწოდების მაღალი ხარისხი იყო. დამკვირვებლების აზრით, მოსახლეობის უმრავლესობა აღნიშნული ცვლილებებით კმაყოფილი იყო. კმაყოფილების ხარისხის განსაკუთრებით მაღალი იყო მმართველობის საწყის წლებში (International Republican Institute, 2007).

ბიუროკრატიული აპარატის განვითარება ჰიბრიდულ რეჟიმებში კიდევ ერთი თავისებურებით ხასიათდება - როგორც წესი, ისინი თავიანთი წარმატების ტყვეები ხდებიან. მთავრობა, რომელსაც სურს ჰქონდეს გამართული ბიუროკრატიული აპარატი, რესურსების მნიშვნელოვან ნაწილს ხარჯავს მის შენახვაზე. ამავდროულად, ბიუროკრატია ხდება პოლიტიკურად კონტროლირებული და, ფინანსების მიღების სანაცვლოდ, ის არა ობიექტური დამკვირვებელი და აღმსრულებელი, არამედ მთავრობის პოლიტიკური მოკავშირე ხდება (Greene, 2010). ანალოგიურად აღწერდა სიტუაციას საქართველოში 2004-2012 წლებში მოღვაწე პოლიტიკური სპექტრის ოპოზიციური ნაწილიც:

“[ბიუროკრატიულ აპარატში დასაქმებულ] ხალხს ხელფასი და ოფიციალური პოზიციები ეკავა და ისინი ძალიან იყვნენ დაინტერესებულნი სააკაშვილის ხელისუფლების რაც შეიძლება ხანგრძლივად ვადით შენარჩუნებაში“- ოპოზიციური ავილაციის პოლიტიკოსი

საწყის ეტაპზე, ბიუროკრატიული აპარატის გამართულად მუშაობამ რეჟიმის არამხოლოდ ირიბ თუ პირდაპირ მხარდაჭერაში შეიტანა წვლილი, არამედ სახელმწიფოს მისცა მოქმედების მეტი თავისუფლება. მნიშვნელოვანი გამოდგა

საგადასახადო ადმინისტრირების რეფორმა, რომელიც ამარტივებდა გადასახადების როგორც გადახდას, ისე აკრეფას და ძალიან რთულს ხდიდა შემოსავლებისა და გადასახადების დამალვას. ამან კიდევ უფრო გაზარდა რესურსების აკუმულირებისა და ხელისუფლებისთვის საჭირო პოლიტიკის გატარების შესაძლებლობები:

“სახელმწიფოს გაუჩნდა ფული და შედეგად მას შეეძლო კიდევ უფრო გაეზარდა სახელმწიფო უწყებებისა და ბიუროკრატის დაფინანსება. მაგალითად, პოლიცია და სხვა საჯარო დაწესებულებები. ზოგადად, მთავრობას უფრო მეტი რესურსის მობილიზება შეეძლო, ვიდრე მის წინამორბედებს“ - ხელისუფლებასთან დაკავშირებული პოლიტიკოსი

რესურსების მობილიზაციის პროცესში, რესპონდენტები საუბრობდნენ არა მხოლოდ საჯარო ინსტიტუტების ეფექტურობაზე, არამედ მათი სიმკაცრის ზრდაზეც. განსაკუთრებით მნიშვნელოვანი ეს გარემოება ბიზნესსა და მთავრობას შორის ურთიერთობისთვის აღმოჩნდა. ჰიბრიდულ რეჟიმებში მოქმედი დომინანტური პარტიებისთვის დამახასიათებელია მათი დაქვემდებარება და მოწყვლადობა რესურსების უწყვეტ შემოდინებაზე. ამ ვითარებაში, ყველაზე აპრობირებული მეთოდი სახელმწიფო ბიუჯეტის პოლიტიზება და პარტიული მიზნებისთვის გამოყენება ხდება (Greene, 2010). თვისებრივი ინტერვიუების დროს აღინიშნა, რომ ხელისუფლებისთვის ფინანსური რესურსების უზრუნველყოფის ერთ-ერთი ყველაზე მნიშვნელოვანი წყარო ქართული ბიზნესი გახდა. ბიზნესზე წნეხი და რესურსების მაქსიმალური მობილიზება, გარდა აუცილებელი ფინანსური რესურსების აკუმულირებისა, აგრეთვე განპირობებული იყო წინასაარჩევნო პერიოდებში ბიზნესის მხარდაჭერის მონოპოლიზებით და მთავრობის პოლიტიკური ოპონენტებისთვის გამოყოფილი ფინანსური სარგებლის მაქსიმალური შეზღუდვით. მიუხედავად იმისა, რომ ეს დომინანტური პარტიებისთვის და ჰიბრიდული რეჟიმებისთვის აპრობირებული მეთოდია, ენმ-ს შემთხვევაში საჭირო გახდა ამ „ოქროს სტანდარტისგან“ გარკვეულწილად გადახვევა. ქართული ეკონომიკის მცირე მასშტაბების გამო, სათანადო ფინანსური რესურსების მობილიზებისთვის საჭირო გახდა მსხვილი სახელმწიფო ობიექტებისა და ქონების პრივატიზება. ისტორიული გამოცდილება და თეორიები ნათლად აჩვენებს, რომ პრივატიზაციის პროცესი, საბოლოო ჯამში, ნეგატიურად აისახება დომინანტური პარტიების სტაბილურობაზე და, აგრეთვე, მნიშვნელოვანწილად ზღუდავს მათ უნარს აკონტროლონ

სახელმწიფოში არსებული რესურსები (Greene, 2010). ამ ჩიხიდან გამოსვლის მექანიზმი პაპავას მიერ (2006) აღწერილი სახელმწიფო ქონების პერმანენტული „დეპრივატიზაციის“ პროცესი გახდა, რომელიც მთავრობას საშუალებას აძლევდა ბოლომდე არ გაეშვა ხელიდან კონტროლი რესურსებზე. აღწერილი ფაქტორების გამო, ბიზნესს გარემო და სტაბილურობა არასახარბიელო გახდა, რამაც ხელი შეუწყო მთავრობასა და ბიზნესის წრეებს შორის დამაბულობის აღმოცენებას.

“მაგალითად, დამოკიდებულება ბიზნესის მიმართ, ჩემი აზრით, არასწორი და მცდარი იყო. საბოლოოდ, ამან ნეგატიური გავლენა მოახდინა როგორც ეკონომიკაზე, აგრეთვე მთლიანად პოლიტიკურ სტაბილურობაზე“ - ხელისუფლებასთან დაკავშირებული პოლიტიკოსი

სახელმწიფოს შესაძლებლობების გაზრდა, ბიზნესისა და ეკონომიკის სხვა აქტორებთან ურთიერთობის გარდა, აისახა, აგრეთვე, ქვეყანაში არსებულ მედია გარემოზეც. 2004-2012 წლებში არსებული მონოპოლიზებული მედია გარემო საქართველოში ეხმიანება დომინანტური პარტიების შესახებ ლიტერატურაში აღწერილ სტრატეგიებს - ძირითადი მედია-საშუალების მონოპოლიზაცია და ხელსაყრელი მედია დისკურსის შექმნა (White, 2014). 2008 წლისთვის მთავრობამ ფაქტობრივად გავლენა დაამყარა ყველა ძირითად მედია საშუალებაზე:

“2008 წლიდან მოყოლებული, მთავრობა აკონტროლებდა ყველა მთავარ და გავლენიან მედია-საშუალებას, რომლებიც აყალიბებდნენ საჯარო განწყობებს და მოსაზრებებს” - საჯარო პოლიტიკის ანალიტიკოსი

სახელმწიფოს უნარი, განეხორციელებინა საკუთარი მმართველობა განსხვავდებოდა რეგიონულ ქრილში. რეგიონალიზმისა და რეგიონული განსხვავებების გავლენა ქართულ პოლიტიკაში ნათლად ასახა საკუთარ ნაშრომში სიჭინავამ (2014), სადაც ნაჩვენებია რეგიონული ფაქტორების გავლენა საარჩევნო შედეგებზე. ანალოგიური სიტუაცია შეიქმნა 2004 წლის დასაწყისიდან მმართველობის ცენტრალიზაციისა და სახელმწიფო ინსტიტუტების გამართულად მუშაობასთან დაკავშირებითაც. ქვეყნის სხვადასხვა რეგიონში მთავრობას განსხვავებული გამოწვევების გადაჭრა უწევდა. შეზღუდული რესურსების გამო კი, ინსტიტუციური აღმშენებლობა და რესურსების გადანაწილება არათანაბარი იყო:

“რა თქმა უნდა, სახეზე იყო განსხვავებები და ამის გამო სახელმწიფოს ეფექტურობა განსხვავებული იყო სხვადასხვა რეგიონში. ეს ბუნებრივია, რადგანაც ეკონომიკა ზოგ რეგიონში უფრო განვითარებული, აგრეთვე ინფრასტრუქტურაც - ზოგად უკეთესი და ზოგან უარესი“ – ხელისუფლებასთან დაკავშირებული პოლიტიკოსი

ამის გამო მთავრობა განსხვავებულ სტრატეგიებს მიმართავდა ადგილობრივი ელიტებისა და ინტერესთა ჯგუფების დასაკმაყოფილებლად. ამ შემთხვევაში, ყველაზე გავრცელებული პრაქტიკა დაკავშირებული იყო ლიტერატურაში აღწერილ პოტენციური ოპონენტების „მოთაფვლასა“ და კოოპტაციასთან, როდესაც სახელმწიფოს ხელთ არსებული რესურსების გადანაწილება და მართვის გაზიარება ლოკალური ელიტებისთვის რეჟიმის მდგრადობის შენარჩუნებას ემსახურება (Wintrobe 1998, Magaloni და Kirchelli, 2010). ამ შემთხვევებში, მთავრობა იყენებდა როგორც ფორმალურ, ისე არაფორმალურ გზებს პოტენციური ოპონენტების საკუთარ მხარეზე გადმოსაბირებლად:

„თუ ვინმე გამოჩნდა, ვთქვათ, ვიღაც, რეგიონში გავლენიანი ადამიანი, მაგალითად სოფელში ავტორიტეტი ან ვინმე და გარკვეული წინააღმდეგობის გაწევას ექნებოდა ადგილი, იყო მთელი რიგი ინსტრუმენტები, რომლებითაც ისინი ან მოითაფლებოდნენ ან დაშინდებოდნენ“ – საჯარო პოლიტიკის ანალიტიკოსი

მიუხედავად ჰიბრიდული რეჟიმებისთვის დამახასიათებელი ამ შესაძლებლობებისა, ისინი მაინც შეზღუდულნი არიან რიგი ფაქტორებით, რათა შეძლონ რესურსების სრული მონოპოლიზაცია და თავიანთ მხარდაჭერებზე საკუთარი შეხედულებისამებრ გადანაწილება (Blaydes, 2008; Magaloni, 2008). მსგავსი სიტუაცია შეიქმნა საქართველოშიც და თვისებრივი ინტერვიუების დროს რამდენიმე ასეთი ფაქტორი გამოიყო. ლევიცკისა და ვეის (2010) მიერ შემოთავაზებული მოდელის თანახმად, ეს შეზღუდვები შეიძლება ორ დიდ კატეგორიად დაიყოს: გარე და შინაგან ფაქტორებად. გარეგანი ფაქტორები, ძირითადად, დაკავშირებულია ქართულ პოლიტიკაზე დასავლეთის (აშშ-ს და ევროკავშირის) გავლენასთან, თუმცა მნიშვნელოვანია, აგრეთვე, რუსეთთან არსებული დამაბული ურთიერთობებიც. რაც შეეხება შინაგან ფაქტორებს, ის დაკავშირებულია ენმ-ს განზრახვასთან, ბოლომდე გამოეყენებინა სახელმწიფოს ქმედუნარიანობა, ქვეყნის ეკონომიკური სისუსტეები და ქართველი ამომრჩევლების თავისებურებები.

გარეგან შეზღუდვებზე საუბრისას, თვისებრივი ინტერვიუების დროს გამოკითხული ინფორმანტები აღნიშნავენ, რომ საქართველოს მსგავსი ქვეყნები მნიშვნელოვანწილად არიან დამოკიდებულნი დასავლურ პოლიტიკურ და ფინანსურ მხარდაჭერაზე. ლევიცკი და ვეი (2010) აღნიშნავენ, რომ აღნიშნული გარემოება მნიშვნელოვანწილად ზღუდავს მცირე ქვეყნებში მოქმედ ჰიბრიდულ რეჟიმებს, ბოლომდე გამოიყენონ თავიანთ სტატუსი და მდგომარეობა პირადი მიზნების მისაღწევად. ეკონომიკური სტაბილურობის მისაღწევად, საქართველოს მსგავსი მცირე ეკონომიკის ქვეყნები იძულებულნი არიან გაითვალისწინონ საერთაშორისო ფინანსური ინსტიტუტებისა და ორგანიზაციების მოსაზრებები. ქართულ კონტექსტში ეს განსაკუთრებით თვალსაჩინო გახდა 2008 წლის აგვისტოს ომის შემდეგ, როდესაც ეკონომიკური და პოლიტიკური სტაბილურობის მიღწევა მხოლოდ დასავლური ფინანსური მხარდაჭერის შედეგად მოხერხდა.

“2008 წლის ომის შემდეგ, სააკაშვილის მთავრობა ძალიან მოწყვლადი იყო და დასავლური, 4 მილიარდიანი მხარდაჭერა მნიშვნელოვანი იყო რეჟიმის სტაბილურობის შესანარჩუნებლად” – საჯარო პოლიტიკის ანალიტიკოსი

“თავისთავად ცხადია, რომ არსებობდა გარკვეული სახის შეზღუდვები და კონკრეტული ვალდებულებები, რომლებიც მოქმედებდა ხელისუფლებაზე. მაგალითად, თუ გინდათ NATO-ში გაწევრიანება, მაშინ უნდა მიჰყვეთ ჩვენს მიერ შემოთავაზებულ სამოქმედო გეგმას” – საჯარო პოლიტიკის ანალიტიკოსი

მმართველობის დასაწყისში, ევროპისა და, განსაკუთრებით, აშშ-ს მხარდაჭერა ენმ-ს მიმართ უპირობო იყო. თუმცა, რესპონდენტების თქმით, შეზღუდვები და კრიტიკა დასავლეთის მხრიდან დროთა განმავლობაში იზრდებოდა. დასავლეთელი დონორები და პარტნიორები განსაკუთრებით კრიტიკულები 2008 წლის შემდეგ გახდნენ, როდესაც ენმ-ს ქმედებებმა გააჩინა კითხვები ადამიანის უფლებების, მედიის თავისუფლების, საკუთრების უფლებებისა და პოლიტიკური გამოხატვის თავისუფლებასთან დაკავშირებით.

“დასავლური შეზღუდვები მნიშვნელოვანი იყო და ყოველთვის რელევანტურია საქართველოს ტიპის და ზომის ქვეყნებისთვის. მაგალითად, ასეთი შეზღუდვა იყოს ის, და პრინციპში ჩვენი აღქმაც

ასეთი იყო, რომ არ შეიძლებოდა უშუალო პოლიტიკური ოპონენტის დაჭერა“ –ხელისუფლებასთან დაკავშირებული პოლიტიკოსი

საგარეო შეზღუდვების მეორე განზომილება დაკავშირებული იყო რუსეთთან და რუსეთის გავლენასთან საქართველოს სეპარატისტულ რეგიონებზე. ლევიცკისა და ვეის (2010) მიერ შემოთავაზებულ თეორიაში, ასეთი ტიპის საგარეო აქტორები მოხსენიებულნი არიან როგორც „შავი რაინდები“³⁴, რომლებიც ნეგატიურ გავლენას ახდენენ რეჟიმის სტაბილურობაზე ეკონომიკური და სამხედრო ზეწოლით. თვისებრივი ინტერვიუების მიხედვით, რუსეთი სწორედ ასეთ ამბივალენტურ როლს თამაშობდა ქართულ პოლიტიკაში 2000-იან წლებში. ერთ-ერთი მონაწილის, პოლიტიკის ანალიტიკოსის, მტკიცებით „რუსეთზე ეკონომიკური დამოკიდებულება აღქმული იყო როგორც მთავრობის ქმედებების პოტენციური შეზღუდვა“. ამ დამოკიდებულების ნიველირებასა და გადალახვას ენმ დასავლეთზე დაყრდნობით ცდილობდა, რაც, თავის მხრივ, მთავრობას კიდევ უფრო დამოკიდებულს ხდიდა დასავლურ ინსტიტუტებსა და ორგანიზაციებზე.

რესპონდენტების უმრავლესობის მტკიცებით, მთავრობის შინაგანი შეზღუდვები დაკავშირებული იყო შემდეგ გარემოებებთან: ქვეყნის შეზღუდული ეკონომიკური რესურსები, ეკლესიის პოზიციები რიგ პოლიტიკურ და სოციალურ საკითხებზე და, აგრეთვე, ქართული საზოგადოების ღირებულებები. პარადოქსულად გამოიყურება ის გარემოება, რომ ძლიერი ოპოზიციური ფრონტის არარსებობაც დასახელდა როგორც ერთ-ერთი პოტენციური შეზღუდვა. არც სამოქალაქო საზოგადოება და არც ოპოზიციური პოლიტიკური პარტიები, ენმ-ს მმართველობის უმეტესი პერიოდის განმავლობაში, არ იყვნენ იმდენად ძლიერნი, რომ წინააღმდეგობა გაეწიათ მთავრობის ქმედებებისთვის. ენმ-მ და მთავრობამ, ფაქტობრივად, მონოპოლიზაცია გაუკეთეს პოლიტიკურ დისკურსს და გადაწყვეტილებების მიღების პროცესს. სისტემური და ლეგიტიმური კონტროლისა და მონიტორინგის მექანიზმები ფაქტობრივად არ ფუნქციონირებდა. ერთადერთი საშუალება, რომლითაც ოპოზიცია ცდილობდა გავლენა მოეხდინა პოლიტიკური დღის წესრიგის შემუშავებაზე, იყო მასობრივი

³⁴ ინგლისური ტერმინი - Black Knight. დეტალებისთვის იხილეთ თოლსტრუპი, 2015

დემონსტრაციები და მიტინგები, რაც მნიშვნელოვნად აფერხებდა მთავრობის ლეგიტიმაციას, თუმცა არც ოპოზიციისთვის იყო წარმატების მომტანი.

“პოლიტიკური ოპოზიციის ძალიან სუსტი იყო და სააკაშვილის მთავრობის ერთ-ერთი ნაკლოვანებაც სწორედ პოლიტიკური ოპოზიციის მარგინალიზაცია იყო” – საჯარო პოლიტიკის ანალიტიკოსი

გარდა ინსტიტუციური შეზღუდვებისა, მნიშვნელოვან ფაქტორს წარმოადგენდა საზოგადოების ღირებულებები და პოლიტიკური კლასის მიმართ ნეგატიური დამოკიდებულება. ინტერვიუების დროს აღნიშნეს, რომ ეს, ერთი მხრივ, ნაკლებად ანგარიშგასაწევი და სუსტი გავლენის მქონე ფაქტორი, საბოლოო ჯამში, გადამწყვეტი აღმოჩნდა 2012 წლების არჩევნებში. ენმ, მმართველობის დასაწყისში აღებული რადიკალური მოდერნიზაციის კურსის მიუხედავად, გარკვეულწილად მაინც ითვალისწინებდა ქართული საზოგადოების ბუნებას და მახასიათებლებს, როდესაც გეგმავდა და ახორციელებდა რიგ პოლიტიკურ, სოციალურ და ეკონომიკურ პოლიტიკებს. მიუხედავად ამისა, შესამჩნევი იყო მთავრობასა და მოსახლეობის უმრავლესობას შორის არსებული იდეოლოგიური ნაპრალი: *„ისინი [ენმ] მართავდნენ ლიბერტარიანული მეთოდებით ქვეყანაში, რომლის მოსახლეობის უმრავლესობა სოციალ-დემოკრატიული ღირებულებებით არის გამსჭვალული“* – საჯარო პოლიტიკის ანალიტიკოსი. ხშირად ენმ-ს უწევდა პოპულისტური ნაბიჯების გადადგმა,³⁵ თუმცა ზოგადად უგულებელყოფდა ადგილობრივ ტრადიციებს, ღირებულებებსა და შეხედულებებს რეფორმების განხორციელების დროს.

როგორც ეს ბრუს ბუენო დე მესკიტამ და კოლეგებმა (2005) აღწერეს საკუთარ ცნობილ ნაშრომში „პოლიტიკური გადარჩენის ლოგიკა“, პოლიტიკური რეჟიმის გადარჩენა დიდწილად არის დამოკიდებული მის უნარზე, აღასრულოს თავისი გადაწყვეტილებები და განახორციელოს თავისთვის საჭირო საჯარო პოლიტიკა. ეს უკანასკნელი დებულება ქართულ კონტექსტშიც მტკიცდება (Gilbreath და Turmanidze, 2017). მთავრობის ხელთ არსებული რესურსები ენმ-ს მმართველობის საწყის ეტაპზე განუხრელად იზრდებოდა ცენტრალიზაციისა და ძალაუფლების ერთ ხელში კონცენტრაციის შედეგად. ამ მოქმედებების თანმდევი გახდა ადამიანის უფლებების

³⁵ ეს საკითხები უფრო დეტალურად არის განხილული შემდგომ ქვეთავებში.

შელახვა, საკუთრების უფლებების დარღვევა და ბიზნესზე გაზრდილი წნეხი. ამან გავლენა მოახდინა როგორც შინაგანი, ისე გარეგანი შეზღუდვების წარმოქმნაზე, რომლებმაც, თავის მხრივ, გავლენა იქონია საჯარო პოლიტიკის გამოყენებაზე ქვეყანაში. ამ საკითხზე არსებული სამეცნიერო ლიტერატურის თანახმად, ქვეყანაში მთავრობის შესაძლებლობებისა და მოსახლეობის დამოკიდებულებების ცვლილება აისახება პოლიტიკურ პროცესებზეც. დომინანტურ და ჰიბრიდულ რეჟიმებში ელიტებს შეუძლიათ გამოიყენონ სახელმწიფო ინსტიტუტები და მათი შესაძლებლობები საზოგადოების ფართო ფენების დასაკმაყოფილებლად, ოპონენტების გავლენის შესამცირებლად და ისეთი პოლიტიკის გასატარებლად, რომელიც ამომრჩეველთა ძირითად მოთხოვნებს შეესაბამება (Gandhi და Przeworski 2007). შემდეგი ქვეთავები სწორედ საჯარო პოლიტიკასთან დაკავშირებულ საკითხებს დაეთმობა.

2.4.1.2 საჯარო პოლიტიკის გამოყენების ლოგიკა 2004-2012 წლებში

ხელისუფლებაში მოსვლისას ენმ-ს მთავარი მიზანი, ისევე როგორც ამომრჩეველთა დაკვეთაც, საზოგადოებრივი წესრიგის დამყარება, კორუფციის აღმოფხვრა და ეკონომიკური საქმიანობისთვის ხელშემწყობი პირობების შექმნა იყო (Anable, 2006). დასახული გეგმების განსახორციელებლად გაიზარდა საბიუჯეტო ხარჯები დანაშაულის პრევენციისათვის განკუთვნილ აქტივობებზე, ძალოვანი სტრუქტურები კი ინსტიტუციურად და ფინანსურად გაძლიერდნენ (Lynch 2006; Bruckner 2011; Mitchell, 2009). ამ აქტივობების შედეგად ბიუროკრატიულ აპარატში კორუფციის დონე მნიშვნელოვნად შემცირდა, შედარებით გაიზარდა საჯარო მოხელეების ანაზღაურება და საჯარო სტრუქტურებში ახალგაზრდა და უცხოეთში განათლება მიღებული მუშაკები დასაქმდნენ (Cheterian, 2008; Freedom House 2008). მმართველობის საწყის ეტაპზე მიღწეული წარმატება სამთავრობო პროპაგანდის მნიშვნელოვანი შემადგენელი გახდა. გაიზარდა ინსტიტუციური ნდობა საჯარო დაწესებულებებისა და მთავრობის მიმართ. ამ პერიოდში ჩატარებული გამოკითხვების მიხედვით დაახლოებით ერთ წელიწადში ნდობა პრეზიდენტის მიმართ 58%-ით, საქართველოს პარლამენტის მიმართ 54%-ით, ხოლო მთავრობის მიმართ 50%-ით გაზარდა (IRI 2003; 2004). ამის მიუხედავად, საწყისი ეტაპის ეიფორია დიდხანს არ გაგრძელებულა და

2005 წლიდან მოსახლეობის მნიშვნელოვანი ნაწილი უკვე ენმ-ს საქმიანობით უკმაყოფილო გახდა:

„სახელმწიფოს მშენებლობისა და მოდერნიზაციის პროექტები სულ უფრო და უფრო გრანდიოზული ხდებოდა, მაგრამ ისინი ვერ ახერხებდნენ ისეთი საკითხების გადაჭრას, როგორც იყო უმუშევრობა ან ეკონომიკის სტაბილურობა“ - საჯარო პოლიტიკის ანალიტიკოსი


მიუხედავად არათანაბარი პირობებისა, არჩევნები მაინც აუცილებელი საშუალებაა საქართველოს მსგავსი ტიპის ჰიბრიდულ რეჟიმებში ლეგიტიმაციის მისაღწევად. ხელთ არსებული რესურსებისა და უპირატესობების მიუხედავად, არჩევნების უხეში გაყალბება და შედეგების უარყოფა მაინც გამონაკლისია, ვიდრე წესი. მმართველი პარტიები ასეთ რადიკალურ ნაბიჯებს მხოლოდ მაშინ დგამენ, როდესაც ყველა სხვა ტიპის წინასაარჩევნო მანიპულაციების გამოყენებას მნიშვნელოვანი გავლენა აღარ აქვს საბოლოო შედეგებზე (Greene, 2007). აღნიშნული მტკიცება სამართლიანია საქართველო შემთხვევაშიც:

*“მათ [ენმ] შექმნეს ისეთი მექანიზმი, როდესაც ძირითადი დაწოლა არ მოდიოდა საარჩევნო კომისიაზე ან თავად არჩევნების დღეზე, არამედ სასურველი შედეგების მიღწევა ხდებოდა არჩევნების დღემდე პერიოდში. ზეწოლა ამომრჩევლებზე წინასაარჩევნო პერიოდში ხდებოდა, რომ მათ ხმა მიეცათ მმართველი პარტიისთვის“ -
ოპოზიციური ავილაციის პოლიტიკოსი*

თვისებრივი ინტერვიუების მიხედვით, საჯარო პოლიტიკისა და რესურსების გამოყენება ასეთი შედეგების მიღწევის ყველაზე გავრცელებული და აპრობირებული მეთოდი გახდა - განსაკუთრებით მმართველობის მეორე ნახევარში, როდესაც მოდერნიზაციული პროექტების შედეგები აღარ იყო ლეგიტიმაციის მიღწევისთვის ეფექტიანი ფაქტორი. აღნიშნული, აგრეთვე, მტკიცდება საბიუჯეტო ხარჯების ცვლილების მაგალითზეც 2004-2012 წლების პერიოდში (გრაფიკი 2.4.1.1).

საჯარო პოლიტიკა მრავალჯერ განხილულა, როგორც ჰიბრიდულ რეჟიმებში მოქმედი მმართველი პარტიების მნიშვნელოვანი ინსტრუმენტი. ჰიბრიდული რეჟიმების მიზანია საჯარო პოლიტიკის იმდაგვარად ფორმულირება, რომ გაიზარდოს ხელისუფლებაში დარჩენის ალბათობა და მობილიზდეს მაქსიმალურად მეტი ამომრჩევლის ხმები (Esping-Andersen, 1985, Przeworski და Sprague, 1986). ჰიბრიდულ

რეჟიმებში მოქმედი პარტიები იყენებენ სახელმწიფო ბიუჯეტს იმისთვის, რომ გადაანაწილონ მათ ხელთ არსებული რესურსები სამიზნე ჯგუფებზე და მხარდაჭერებზე (Greene, 2007). სწორედ ამასთან იყო დაკავშირებული საქართველოში საბიუჯეტო სახსრების ცვლილებები დროთა განმავლობაში. მმართველი პარტიის გამოწვევების მიხედვით, საბიუჯეტო ხარჯები ხან მიმართული იყო სახელმწიფოს ქმედუნარიანობის განმტკიცებაზე (როდესაც ის სარგებლობდა უპირობო მხარდაჭერით და საზოგადოების დაკვეთა ინსტიტუტების გაძლიერება იყო), ხან სოციალური პრობლემების იმგვარად გადასაჭრელად, რომ ეკონომიკურად შეჭირვებული მოსახლეობის ფართო მასების მხარდაჭერის მიღება ყოფილიყო შესაძლებელი (გრაფიკი 2.4.1.1).



გრაფიკი 2.4.1.1 საქართველოს ბიუჯეტის ხარჯვა სხვადასხვა სფეროების მიხედვით წყარო: საქართველოს ფინანსთა სამინისტრო (2020), საქართველოს ბიუჯეტი, 2005-2012 წლები.

დომინანტური პარტიების მკვლევრები აღნიშნავენ, რომ ძალაუფლების შენარჩუნების ყველაზე სწორი მიდგომა დეიდეოლოგიზებული, ცენტრისტული და პოპულისტური პოლიტიკის წარმოებაა (White, 2011). კონკრეტული იდეოლოგიის ან პროგრამატული შეზღუდვებისგან თავისუფალი პარტიები უფრო მარტივად ცვლიან და არგებენ დღის

წესრიგს თავიანთ პოლიტიკას. თუმცა, დამკვირვებლებისა და თვისებრივი ინტერვიუს რესპონდენტების აზრით, ენმ-ს მთავრობა ამ მიდგომას ზედმიწევნით არასდროს ასრულებდა. რა თქმა უნდა, ენმ-ს დროს იყო არაერთი შემთხვევა, როდესაც სახელმწიფო ბიუჯეტის ხარჯვა საკუთარი ელექტორალური პრიორიტეტების მიხედვით ხდებოდა, თუმცა ენმ-ს მმართველობისთვის, აგრეთვე, დამახასიათებელი იყო სპეციფიკური იდეოლოგიის არსებობაც - კულტურული ლიბერალიზმი და ფისკალური კონსერვატიზმი:

“ზოგადად, მთავრობის მმართველობის კურსი, ასე თუ ისე თანმიმდევრული იყო, რადგანაც სააკაშვილის გუნდს ჰქონდა საერთო ხედვა, ლიბერალური დღის წესრიგი“ – საჯარო პოლიტიკის ანალიტიკოსი

სწორედ ამის გამო, ინტერვიუების დროს აღინიშნა ის გარემოება, რომ ენმ-ს მმართველობის ლოგიკა ერთდროულად ორი ძირითადი მიზნის გადაჭრას ემსახურებოდა. ერთი მხრივ, მას უნდა დაეკმაყოფილებინა საკუთარი იდეოლოგიური მისწრაფებები. მეორეს მხრივ, ამ იდეოლოგიური მისწრაფებების აღსასრულებლად ენმ-ს ცდილობდა უზრუნველყო ელექტორალური ლეგიტიმაციის მიღება არჩევნების გზით.


თვისებრივი ინტერვიუების დროს აღნიშნეს, რომ მთავრობა ამ მიზნების მისაღწევად ფართოდ იყენებდა, ნორდჰაუსის (1975) მიერ აღწერილ, საბიუჯეტო ციკლების მსგავს მიდგომას, როდესაც ხდებოდა პოპულისტური და სოციალურ ხარჯვაზე ორიენტირებული ხარჯების გაღება წინასაარჩევნო პერიოდებში, ხოლო რაც შეეხება არჩევნებს შორის პერიოდს, ენმ უფრო თავისუფალი იყო დაეგეგმა საკუთარი პრიორიტეტები იდეოლოგიური შეხედულებისამებრ. შესაბამისად, საჯარო პოლიტიკის დაგეგმვის კანონზომიერებები 2004-2012 წლებში სწორედ ამ ორი ფაქტორით იყო განპირობებული. სადოქტორო ნაშრომის კონტექსტში უფრო მნიშვნელოვანი და საინტერესო საბიუჯეტო სახსრებისა და სოციალური პოლიტიკის წარმართვის განზომილებაა. ამიტომაც, შემდეგ ქვეთავში აღწერილი იქნება ის პროცესები, რომლებიც დაკავშირებულია ჰიბრიდული და დომინანტური პარტიების რეჟიმებში საზოგადოებრივი რესურსებისა და სიკეთეების კლიენტელისტურ კავშირებად გადაქცევასთან (Greene, 2007)

2.4.1.3 სოციალური პოლიტიკა და მისი გამოყენება საარჩევნო ლეგიტიმაციისთვის

თვისებრივი ინტერვიუების დროს არაერთგზის გამახვილდა ყურადღება ენმ-ს მიერ სოციალური დახმარებებისა და დასაქმების მოკლევადიანი პროგრამების გამოყენებაზე საარჩევნო პროცესის წარმართვის დროს. ეს გარემოება ეხმიანება ჰიბრიდულ რეჟიმებში გავრცელებულ და ლიტერატურის მიმოხილვის ქვეთავში განხილულ კლიენტელისტურ კავშირებსა და პოპულისტური პარტიებისადმი დამახასიათებელ ქმედებებს (Pappas, 2014).

“საქართველოში ყველა არჩევნები გარკვეულწილად შეჯიბრებითი იყო და მთავრობა ხშირად და გააზრებულად დგამდა პოპულისტურ ნაბიჯებს [ოპოზიციასთან შეჯიბრის პროცესში]“ – საჯარო პოლიტიკის ანალიტიკოსი

რა არის თქვენთვის და თქვენი ოჯახისთვის ყველაზე მნიშვნელოვანი ეროვნული პრობლემები? (% , NDI-ს მოსახლეობის გამოკითხვები)




გრაფიკი 2.4.1.2 მნიშვნელოვანი ეროვნული პრობლემები 2009-2012 წლებში (NDI, 2016).

პოპულისტური საჯარო პოლიტიკის მიზანი კი ყოველთვის დაკავშირებული იყო მძიმე სოციო-ეკონომიკური ფონის გამოსწორებასთან. ეს გასაოცარი სრულებითაც არ არის, რადგანაც საქართველოში ჩატარებული წარმომადგენლობით კვლევების

თანახმად, სწორედ უმუშევრობა და სიღარიბე სახელდებოდა ყოველთვის ყველაზე მნიშვნელოვან ეროვნული პრობლემებად (გრაფიკი 2.4.1.2).

იმის მიუხედავად, რომ, საქსტატის თანახმად, უმუშევრობის დონე საქართველოში 2005 წლიდან მცირედით, მაგრამ მაინც მცირდებოდა, უმუშევრობის დონე მაინც ძალიან მაღალი იყო (საქსტატი, 2020). ეს განსაკუთრებით მნიშვნელოვნად აისახებოდა თვითაღქმით უმუშევრობაში. კავკასიის ბარომეტრის ყოველწლიური გამოკითხვების თანახმად, ენმ-ს მმართველობის ბოლო წლებში გამოკითხულთა მინიმუმ 60% საკუთარ თავს უმუშევრად მიიჩნევდა (გრაფიკი 2.4.1.3). შესაბამისად, ლოგიკურია, რომ ენმ-სთვის ყველაზე ეფექტური კლიენტელისტური სტრატეგია სწორედ ამ საკითხების მოკლევადიანი გადაწყვეტა და მოსახლეობის სოციალურად გაჭირვებული ფენების წინასაარჩევნოდ დახმარება გახდა.

გაქვთ თუ არა სამსახური? (% , კავკასიის ბარომეტრი 2008-2013 წლები)



გრაფიკი 2.4.1.3 უმუშევრობის მაჩვენებლები წლების მიხედვით (კავკასიის ბარომეტრი, 2008-2012).

ასეთი მიდგომების პირველი ტალღა დაკავშირებული იყო 2006 წლის ადგილობრივ არჩევნებთან, როდესაც საქართველოს მთავრობამ სახელმწიფო სტიპენდიის პროგრამა გამოაცხადა. მის შესრულებაზე 24 მილიონი ლარი დაიხარჯა და მონაწილეობა 50 000-მა მოქალაქემ მიიღო (Natroshvili, 2012). კლიენტელისტური წინასაარჩევნო კამპანიის მეორე ტალღა, აგრეთვე, არჩევნების წინა პერიოდს დაემთხვა. დაგეგმილ არჩევნებამდე მნიშვნელოვნად ადრე, 2007 წლის ზაფხულიდან მცირე და საშუალო ზომის ბიზნესებს შეეძლოთ ესარგებლათ შეღავათიანი, 5 წლამდე გაწერილი სესხებით

(Transparency international Georgia, 2008). საგულისხმოა, რომ 2007 წლის შემოდგომის პოლიტიკურ კრიზისთან და ვადამდელი არჩევნების გამოცხადებასთან ერთად მთავრობამ დაიწყო სახელმწიფო დასაქმების პროგრამა, რომელზეც 60 მილიონამდე ლარი დაიხარჯა. პროგრამის მიზანი იყო 25-დან 65 წლამდე ასაკის მოქალაქეების გადამზადება სამი თვის განმავლობაში, რომლის დროსაც ბენეფიციარები ყოველთვიურად 200 ლარის მიიღებდნენ (Natroshvili, 2012). პროგრამას ხშირად მოიხსენიებდნენ როგორც დასაქმების საპრეზიდენტო პროგრამას, მისი ბრენდირება და რეკლამა ძალიან წააგავდა ენმ-ს პარტიულ ლოგოსა და დატვირთული იყო მმართველი ძალისადმი ასოცირებული სიმბოლოებით: პროგრამა გამოცხადდა 5 დეკემბერს, შეიცავდა 5 ნაბიჯს და პროგრამის ცხელი ხაზის ნომერი იყო 555 100³⁶ (Transparency international Georgia, 2008). დასაქმების აღნიშნული პროგრამები თვისებრივი ინტერვიუების დროს ხშირად იყო განხილული, როგორც ამომრჩეველთა გადმოზიდვის აპრობირებული ტაქტიკა:

“ასეთი ნაბიჯები არჩევნების წინა იდგმებოდა ხოლმე - „ჩვენ ამომრჩეველებს ვასაქმებთ“. მათ [ხელისუფლებას] მოჰყავდათ ავტობუსებით ხალხი რომელიმე საწარმოში, სადაც დირექტორს ეტყოდნენ რომ მინიმუმ 2 თვის განმავლობაში მოქალაქეები უნდა დაესაქმებინა. ხალხს ასაქმებდნენ არჩევნების წინ და შემდეგ ათავისუფლებდნენ. სოციალური დახმარებებიც ამ მიზნით ფართოდ გამოიყენებოდა“ – ოპოზიციური აფილაციის პოლიტიკოსი


სოციალური დახმარებებიც აღნიშნული ნარატივის ნაწილი გახდა, როდესაც ეკონომიკურად და სოციალურად ყველაზე მოწყვლადი ჯგუფები იღებდნენ გაზრდილ სოციალურ შემწეობას. ინტერვიუების დროს აღინიშნა, რომ ასეთი პოლიტიკის მიზანი არა სიღარიბის პრობლემის სტრუქტურული გადაჭრა, არამედ საარჩევნოდ ხმების მობილიზაცია იყო. ეს გარემოება ეხმიანება კიჩლეთის (2000) მიერ აღწერილ, პოლიტიკოსებსა და ამომრჩეველებს შორის არსებულ კლიენტელისტურ კავშირებს. ასეთი პოლიტიკის გასატარებლად, 2007 წლიდან მოყოლებული

³⁶ საარჩევნო სუბიექტ „ერთიანი ნაციონალური მოძრაობის“ და მათი საპრეზიდენტო კანდიდატის, მიხეილ საკაშვილის საარჩევნო ნომერი იყო 5.

ცვლილებები შევიდა სოციალურად დაუცველი მოქალაქეების დაფინანსებისა და განსაზღვრის წესებში³⁷.

“პენსიები, როგორც წესი, საარჩევნო წელს იზრდებოდა ... ჩვენ იძულებული ვიყავით გაგვეზარდა პენსია. თუმცა, ისმოდა კითხვა, როდის უნდა გვექნა ეს? არჩევანი საარჩევნო წლებზე კეთდებოდა.” - ხელისუფლებასთან დაკავშირებული პოლიტიკოსი

გარდა უშუალოდ მეთოდოლოგიური ცვლილებებისა, სოციალურად დაუცველი ოჯახებისთვის საბიუჯეტო თანხის გადანაწილება დამოკიდებული იყო საარჩევნო ციკლებზეც. გრაფიკზე 2.4.4 ასახულია, თუ როგორ იცვლებოდა არჩევნების წინა პერიოდებში სოციალური ხარჯები და ბენეფიციართა მოცულობა. თვისებრივი ინტერვიუების თანახმად, სოციალური ხარჯების მატება მთავრობის გახშირებული პოპულისტური სტრატეგიების ნაწილი იყო. საქართველოს მოსახლეობის მახასიათებლები (პენსიონერების და სოციალურად დაუცველი მოქალაქეების დიდი ხვედრითი წილი ამომრჩევლებში) მთავრობას საარჩევნო პროცესის დროს ამომრჩეველთა მობილიზების შესანიშნავ საშუალებას აძლევდა (გრაფიკი 2.4.1.5)




გრაფიკი 2.4.1.4 ოჯახები, რომლებიც იღებდნენ საარსებო შემწეობას საქართველოში (სოციალური მომსახურების სააგენტო, 2008-2012).

³⁷ დამატებითი დეტალებისთვის, იხილეთ „კანონი სოციალური დახმარების“ შესახებ, რომელიც 2006 წლის დეკემბერში იქნა მიღებული და 2007 და 2008 წლებში არჩევნების წინ რამდენჯერმე შეიცვალა.

სოციალურ ხარჯვებზე ორიენტირებული სახელმწიფო პროგრამა განსაკუთრებით გამოიკვეთა 2012 წლის წინასაარჩევნო კამპანიის დროს, როდესაც საარჩევნო კამპანია „მეტი სარგებელი ხალხს“ დაიწყო. პროგრამის დეკლარირებული ამოცანა მოქალაქეების დასაქმება, სახელმწიფო შემწეობის გაზრდა და სასოფლო-სამეურნეო საკითხების ხელშეწყობა გახლდათ. საგულისხმოა, რომ მთავრობის ამ პროგრამის სახელი ზუსტად ემთხვეოდა 2012 წელს ენმ-ს წინასაარჩევნო კამპანიის დევიზს. არასამთავრობო ორგანიზაციების მტკიცებით, პარტიისა და სახელმწიფოს ერთმანეთში ასეთი აღრევის დროს ამომრჩეველისთვის პრაქტიკულად შეუძლებელი იყო ერთმანეთისგან გაერჩიათ მთავრობა და მმართველი პარტია (Transparency international Georgia, 2012).


სოციალური ხარჯები (მილიონი ლარი, წყარო: ფინანსთა სამინისტრო)



გრაფიკი 2.4.1.5 სოციალური ხარჯვის სტატისტიკა 2006-2013 წლებში (ფინანსთა სამინისტრო, 2020).

ინტერვიუების დროს ყურადღება გამახვილდა წინასაარჩევნო პერიოდის მკვეთრად გამოხატულ პოლიტიზაციაზე. ამ თვალსაზრისით, საქართველოში მოქმედებდა ისეთი ტიპის პოლიტიკური სისტემა, რომელშიც პოლიტიკოსები სახელმწიფო რესურსებს იყენებდნენ ამომრჩეველთა გადმოსაბირებლად (Stokes et al, 2013; Gans-Morse et al, 2014). გრაფიკზე 2.4.6 მოცემულია კიდევ ერთი არგუმენტი, თუ როგორ

გამოიყენებოდა ე.წ. „მოთაფვლის“ სტრატეგია წინასაარჩევნო პერიოდში (შუბლაძე, 2018). 2010 და 2012 წლებში სწორედ წინასაარჩევნო პერიოდში ხდებოდა კონკრეტული სოციალური პაკეტის ბენეფიციართა ზრდა:



გრაფიკი 2.4.1.6 ჯანმრთელობის დაზღვევის სახელმწიფო პროგრამაში მონაწილე ბენეფიციარების რაოდენობა (სოციალური მომსახურების სააგენტო, 2016).

აღნიშნული გარემოების გამო, თვისებრივი ინტერვიუების დროს აღინიშნა, რომ მთავრობა სულ უფრო ნაკლებად მისდევდა საკუთარ პროგრამატულ დღის წესრიგს, ხოლო არჩევნებიდან არჩევნებამდე უფრო მეტად და მეტად იყენებდა პოპულისტურ საჯარო პოლიტიკას. შეგვიძლია გავავლოთ პარალელი ამ დაკვირვებასა და ეკონომიკური ხმის მიცემის მოდელს შორის, რომლის მიხედვითაც ამომრჩევლები სწორედ მიღებული სარგებლის ზეგავლენით აკეთებენ არჩევანს პოლიტიკურ პარტიებს შორის (Rogers და Tyszler, 2012). თუმცა, როგორც ჰილისა და მალჰორტას (2013) მიერ გამოყოფილი რეტროსპექტული ხმის მიცემის პრაქტიკებიდან ერთერთი, წახალისების მექანიზმი მხოლოდ ერთი მიმართულებით არ მუშაობს. მთავრობის მიერ არჩეულმა კლიენტელისტურმა პოლიტიკამ გარკვეული პერიოდის შემდეგ ძალა


დაკარგა და 2012 წელს მისი ფაქტორი საკმარისი აღარ აღმოჩნდა არჩევნების მოსაგებად (შუბლაძე, 2018). შემდეგ ქვეთავში სწორედ ეს პროცესები და მათ სრულყოფილად განუხორციელებლობა არის განხილული.

2.4.1.4 2012 წლის არჩევნების შედეგების გამომწვევი მიზეზები

სოციალური პოლიტიკის ქვეთავში აღწერილია მთავრობის მიერ გატარებული ღონისძიებები, აგრეთვე ამ ღონისძიებებზე მოსახლეობის რეფლექსია და დამოკიდებულებები. სამეცნიერო ლიტერატურა ელექტორალური ქცევების შესახებ ამტკიცებს, რომ ამომრჩევლებზე ცალკე აღებული რომელიმე მოვლენა როდი ახდენს ზეგავლენას. სინამდვილეში, სიტუაცია უფრო კომპლექსურია და ის წარმოადგენს მრავალი განსხვავებული ფაქტორის ურთიერთზეგავლენის შედეგს. ბრენდერი და დრეიზენი (2005) აღნიშნავენ, რომ ამომრჩეველთათვის მნიშვნელოვანია ძალაუფლებაში მყოფმა გუნდმა ხანგრძლივი პერიოდის განმავლობაში შეინარჩუნოს ეკონომიკური აღმავლობა და საზოგადოებრივი კეთილდღეობა. ამიტომაც, ამ ქვეთავში ყურადღება გამახვილებულია მთავრობის მიერ განხორციელებული საჯარო პოლიტიკების შედეგებზე, რომლებმაც საბოლოოდ 2012 წლის საპარლამენტო არჩევნების ბედი განსაზღვრეს. ენმ-ს მმართველობის მეორე ნაწილში პოლიტიკური ლეგიტიმაციის მიდგომების უმეტესობა სოციალური პროგრამების განხორციელებასთან, გაჭირვების აღმოფხვრასა და დასაქმების წახალისებასთან იყო დაკავშირებული. ამის მიზეზი კი ქვეყანაში არსებული მძიმე სოციო-ეკონომიკური ფონი გახლდათ. მცდელობების მიუხედავად, როგორც ამას ამ ქვეთავში ვნახავთ, საზოგადოებაში უთანასწორობისა და პოლარიზაციის მაღალმა მაჩვენებლებმა საბოლოოდ მთავრობის საქმიანობა ნეგატიურად წარმოაჩინეს.

თვისებრივი ინტერვიუებისას გამოთქმული მოსაზრებების თანახმად, უთანასწორობის მაღალმა მაჩვენებლებმა ხელი შეუწყვეს ენმ-ს მმართველობით იმედგაცრუებას. 2004-2012 წლებში უთანასწორობის გამომხატველი ინდიკატორი - ჯინის ინდექსი - მცირედით გაიზარდა კიდევაც, რაც სოციალურ ჯგუფებს შორის უთანასწორობის ზრდაზე მიუთითებდა (იხილეთ გრაფიკი 2.4.1.7). სამეცნიერო ლიტერატურისა და ემპირიული კვლევების მიხედვით კი უთანასწორობის ზრდის პირდაპირ შედეგად საზოგადოებაში პოლიტიკური პოლარიზაციისა და მთავრობის

მიერ გატარებული რეფორმების შედეგად აღმოცენებული „კმაყოფილი“ და „განაწყენებული“ ფენების დაპირისპირება მივიღოთ.



გრაფიკი 2.4.1.7 ჯინის ინდექსის მაჩვენებელი 2001-2012 წლებში. (World Bank, 2020b)

ერლმა და გელბახმა (2015) უკრაინის მაგალითზე ჩატარებული კვლევის მიხედვით დაასკვნეს, რომ სოციალური უთანასწორობა და პოლიტიკური კოლარიზაცია ერთმანეთთან მჭიდროდ არიან დაკავშირებულნი. თუ განვიხილავთ საქართველოს მაგალითსაც, ენმ-ს მმართველობამ დასაქმების რეალური მაჩვენებლების შემცირება და უთანასწორობის გაზრდილი მაჩვენებლები მოიტანა (Bauman, 2012). სიღარიბის შეფასების ანგარიშის მიხედვით, რომელიც 2009 წელს გამოაქვეყნა მსოფლიო ბანკმა, ქვეყანაში სოციო-ეკონომიკური პირობების გაუარესება მთავრობის მიერ განხორციელებულ რეფორმებთან იყო დაკავშირებული. მიუხედავად მოდერნიზაციული მცდელობებისა და რიგი ინსტიტუტების ეფექტიანობის გაზრდისა, რეფორმების დადებითი მხარეების ზეგავლენა მოსახლეობის მხოლოდ მცირე სეგმენტებს შეეხო (World Bank, 2009). თვისებრივი ინტერვიუების დროს მთავრობის მიერ არჩეული, მეტ-წილად მემარჯვენე, მსოფლმხედველობა 2012 წელს ენმ-ს დამარცხების ცენტრალურ მიზეზად დასახელდა.

„ნახევარდ ოფიციალურად ხელისუფლებამ დეკლარირება გაუკეთა ე.წ. ნეოლიბერალურ მიდგომებს, როდესაც მთავრობა არ უნდა ჩაერიოს ეკონომიკის ფუნქციონირებაში და ბიზნესში“ - პოლიტიკოსი

ასემოვანებულ და რობინსონმა (2006) წამოაყენეს მოსაზრება, რომლის თანახმადაც ჯგუფთაშორისი უთანასწორობის მატება პოლიტიკური ცვლილებების ალბათობას ზრდის. მეცნიერთა აზრით, სწორედ უთანასწორობით გამოწვეული უკმაყოფილება და საზოგადოებრივი რესურსების უფრო სამართლიანად გადანაწილების მოთხოვნა არის პოლიტიკური ცვლილებების მამოძრავებელი ლოკომოტივი (Acemoglu და Robinson, 2001). მსგავსი გამოწვევების დროს ამომრჩევლებს ხშირად ურჩევნიათ სტატუს კვოს ცვლილება. ვუნის (2012) მიერ ჩატარებული ლაბორატორიული ექსპერიმენტის მიხედვით ამომრჩევლები უპირატესობას ანიჭებენ რეტროსპექტული ხმის მიცემის სტრატეგიებს, როდესაც მსგავსი გამოწვევების წინაშე დგანან. შეიძლება ითქვას, რომ გამძაფრებულმა ეკონომიკურმა უთანასწორობამ ამიტომაც გაზარდა რეტროსპექტული ხმის მიცემის გამოყენების ალბათობა 2012 წელს.

2004-2012 წლებში საქართველოში პოლიტიკურ მოვლენებზე დაკვირვება ცხადყოფს, რომ არჩევნებში კლიენტელისტური ურთიერთობები, გამოხატული პრინციპში „ხმები ფულის ნაცვლად“, წარმატებულია მანამდე, სანამ ამომრჩევლებს აკმაყოფილებთ ამ გზით მიღებული სარგებელი და ეს სარგებელი გადაწონის მმართველი პარტიის მიერ გამოწვეულ სხვა, ნეგატიურ მოვლენებს. ზემოთ აღწერილი მიდგომა განსაკუთრებით კარგად მუშაობს შედარებით ღარიბი და მწირი პოლიტიკური კულტურის მქონე ქვეყნებში, სადაც დამოუკიდებელი ეკონომიკური კაპიტალი მინიმალურად არის წარმოდგენილი (Eisenstadt და Roniger, 1981). საქართველოს შემთხვევაში კი, ფრიად საგულისხმო სიტუაცია შეიქმნა. თვისებრივი ინტერვიუების დროს აღინიშნა, რომ ენმ-ს მმართველობის საწყის ეტაპზე მიღწეულმა გარკვეულმა წარმატებებმა მოსახლეობას ძირფესვიანი გარდაქმნების მოლოდინი შეუქმნა. მართალია, ამომრჩევლების უმრავლესობა მძიმე სოციო-ეკონომიკურ პირობებში იმყოფებოდა, მაგრამ წინა არჩევნებში გამოყენებული მარტივი მიდგომა - მოკლევადიანი დახმარებები არჩევნებში მხარის დაჭერის სანაცვლოდ - უკვე ბევრს აღარ აკმაყოფილებდა. მთავრობის ჩვეული რიტორიკა, რომელიც აქცენტს აკეთებდა ეფექტიან საჯარო ინსტიტუტებსა და ნაკლებ რეგულაციებზე მოსახლეობისთვის მიუღებელი აღმოჩნდა:

„მნიშვნელოვანი იყო როგორ იგეგმებოდა და ხორციელდებოდა სახელმწიფოს მოდერნიზაციის პროცესი ან პროექტები... ისინი არ გაჩერებულან, პირიქით უფრო დიდი მასშტაბის გახდნენ, თუმცა მათ ვერ შეძლეს ძირითადი ამოცანების გადაჭრა, რაც უმუშევრობასთან და ეკონომიკასთან იყო დაკავშირებული“ - საჯარო პოლიტიკის ანალიტიკოსი

ამას დაემატა გარემოებაც, რომ საზოგადოება გარკვეულწილად გაიხლიჩა 2012 წლის საპარლამენტო არჩევნების წინ, როდესაც საქმე ეხებოდა ენმ-ს საქმიანობის შეფასებას. ფიდმუკი (2000) ამტკიცებს, რომ ამომრჩევლები ხშირად სწორედ პირადი სარგებლის მიღების მიხედვით და გათვალისწინებით აკეთებენ არჩევანს, თუ ვის დაუჭირონ მხარი არჩევნებში. ამომრჩევლებმა, რომლებმაც იხიერეს განხორციელებული მოდერნიზაციული რეფორმების შედეგად უფრო მეტად პროსახელისუფლებო პოზიცია დაიკავეს, მაშინ როდესაც ენმ-ს მიერ გატარებული პოლიტიკებით დაზარალებულებმა მხარი ოპოზიციურ პარტიებს დაუჭირეს. ანალოგიურ დასკვნამდე მივიდნენ სელიგსონი და კარტერი (2005), რომლებმაც შეისწავლეს 1990-იანი წლების რეფორმების შედეგები რუსეთში. მათი კვლევის თანახმად რეფორმებით უკმაყოფილონი და დაზარალებულნი მემარცხენე ოპოზიციური პარტიების ამომრჩევლები გახდნენ (Seligson და Tucker, 2005). თვისებრივი ინტერვიუების დროს აღნიშნეს, რომ, 9 წლიანი მმართველობის დროს ენმ-ს მიერ განხორციელებული, მართალია, პოპულისტური, თუმცა მემარჯვენე სპექტრის პოლიტიკები, უკვე ნაკლებად ხიბლავდა ამომრჩეველთა უმრავლესობას.

*“მნიშვნელოვანია, რომ ნებისმიერი მმართველობის დროს ხდება მოსახლეობის ფართო ფენებში უკმაყოფილების დაგროვება და ენმ-ს შემთხვევაშიც ასე მოხდა. ამ შემთხვევაში, უკმაყოფილების დაგროვების მიზეზებს შორის იყო მოსახლეობის მნიშვნელოვანი ნაწილისადმი არასამართლიანი დამოკიდებულება, რაც გამოიხატა განხორციელებული რეფორმების შედეგების ცუდ სოციალურ უკუკავშირში და, შესაბამისად, მოსახლეობის მნიშვნელოვანი ნაწილი აღარ ეთანხმებოდა ენმ-ს მიერ შემოთავაზებულ პოლიტიკებს და ქვეყნის განვითარების კურსს“ -
საჯარო პოლიტიკის ანალიტიკოსი*

ამასთანავე, თვისებრივი ინტერვიუების დროს, 2012 წელს ენმ-ს წარუმატებლობაზე საუბრისას, ერთ-ერთმა რესპონდენტმა სხვა ფაქტორებზეც გაამახვილეს ყურადღება. გარდა სოციალური ფაქტორებით გამოწვეული უკმაყოფილებისა, მნიშვნელოვანი იყო

ენმ-ს მმართველობის შედეგად შექმნილი პოლიტიკური სისტემის გავლენაც. პოლიტიკური ოპონენტების მაქსიმალური მარგინალიზაციით შეიქმნა ეგრეთ წოდებული ნულოვან ჯამური თამაშის წესები, როდესაც გამარჯვებული იღებდა ყველაფერს, ხოლო დამარცხებული - ვერაფერს. ამ ფაქტორებმა ხელი შეუწყო ოპოზიციის მაქსიმალურ კონსოლიდაციას. სწორედ ასეთი პოლარიზაციის პირობებში ისეთი ძლიერი გამაერთიანებელი ფიგურის, როგორც ბიძინა ივანიშვილი იყო, გამოჩენა გადამწყვეტი გამოდგა საარჩევნო შედეგებისთვის. როგორც დომინანტური პარტიების მკვლევრები აღნიშნავენ, რესურსების ასიმეტრიული გადანაწილება პარტიებისთვის ძალაუფლების შენარჩუნების აუცილებელი ფაქტორია (Pempel, 1990; Magaloni, 2006). 2011 წლის მიწურულს ივანიშვილის გამოჩენით, ენმ-ს სასარგებლოდ არსებული აღნიშნული ასიმეტრიულობა დაირღვა:

“ბიძინა ივანიშვილის ფაქტორი მნიშვნელოვანი იყო ოპოზიციის კონსოლიდაციისთვის. ივანიშვილი განიხილებოდა და წარმოდგენილი იყო, როგორც უსიტყვო ავტორიტეტი, რომელმაც მთელი ქვეყნის მასშტაბით დიდი ქველმოქმედება გასწია. ...ამავდროულად, იგი აღმოჩნდა ძალიან კარგი ორგანიზატორი, რომელმაც მოახერხა იმ პარტიების გაერთიანება, რომლებსაც უჭირდათ წარსულში ერთად მოღვაწეობა“ –საჯარო პოლიტიკის ანალიტიკოსი

განსხვავებით სხვა ოპოზიციური ლიდერებისა და პოლიტიკოსებისგან, ივანიშვილი ფლობდა საკმარის კულტურულ, სოციალურ და ეკონომიკურ კაპიტალს, რათა ერთდროულად მოეპოვებინა ქართული საზოგადოების მნიშვნელოვანი ნაწილის მხარდაჭერა და, ამავდროულად, გაეწია წინააღმდეგობა სახელისუფლებო პარტიისთვის. მის ხელთ არსებული ფინანსური და ადამიანური რესურსების გამოყენებით, მან შეძლო დაქსაქსული ოპოზიციის კონსოლიდაცია და კოალიციის ორგანიზება. თვისებრივი ინტერვიუების დროს აღინიშნა, რომ სწორედ ასეთი მაკონსოლიდირებელი ფაქტორის არარსებობის გამო ვერ შეძლო ოპოზიციამ წინა არჩევნების დროს წარმატებული საარჩევნო კამპანიების წარმოება.

გრინის (2007) მიერ შემოთავაზებული დომინანტურ პარტიებსა და ოპოზიციას შორის არსებული კავშირების თეორიული ჩარჩოს მიხედვით, დომინანტური პარტიის ხელთ არსებული საბიუჯეტო რესურსები და მათი გამოყენება საარჩევნო წარმატების მისაღწევად, ოპოზიციურ პოლიტიკურ პარტიებს უბიძგებს თავად აწარმოონ

პოპულისტური და სოციალურ ხარჯვებზე ორიენტირებული საარჩევნო კამპანია. თვისებრივი ინტერვიუების დროს აღინიშნა, რომ ივანიშვილის გამოჩენამდე მოსახლეობას არ ჰქონდა ღრმა რწმენა და ნდობა ოპოზიციის მიერ გაცემული დაპირებებისადმი. ეს გარემოება კი კარდინალურად იცვლება ივანიშვილის გამოჩენის შემდეგ, რომლის ფინანსური და სოციალური კაპიტალი დამაჯერებლობას სძენდა ოპოზიციის დაპირებებს.

“მიზეზი, რატომაც მთავრობას ძალაუფლების შენარჩუნების შანსები შეუმცირდა, რა თქმა უნდა, დაკავშირებული ივანიშვილის ფაქტორთან, რაც თავისთავად ორი რამისგან შედგებოდა - ფულის დიდი მასის შემოსვლა პოლიტიკაში და დიდი ფულის მომხიბლველობა. - პოლიტიკაში შემოვიდა ახალი ფიგურა, რომელსაც შეეძლო გარდაეტეხა რესურსების უთანასწორობა და გაექარწყლებინა ოპოზიციის უსუსურობის განცდა” – საჯარო პოლიტიკის ანალიტიკოსი

თვისებრივი ინტერვიუების თანახმად, 2012 წლის მიწურულისთვის ქართული საზოგადოების კონსოლიდაციის დონემ, ეკონომიკური რეფორმებით უკმაყოფილებამ, მმართველი პარტიის შემოქმედებითი რესურსების ამოწურვამ, გაძლიერებული ოპოზიციური ფრონტის წარმოქმნამ და საგარეო შეზღუდვებმა ისეთ დონეს მიაღწია, რომ ენმ-ს უკვე აღარ შეეძლო ჩვეული მანიპულაციების საშუალებით გადმოებირებინა ამომრჩეველთა დიდი ნაწილი. დამატებით, შედარებით შესუსტდა მთავრობის ადმინისტრაციული რესურსების გამოყენების ეფექტი საარჩევნო შედეგებზე. ოპოზიციას საშუალება ჰქონდა შეემუშავებინა საზოგადოებასთან კომუნიკაციის ეფექტურად მოქმედი არხები, სწრაფად მოეხდინა მათი ინფორმირება და მობილიზაცია მნიშვნელოვანი მოვლენების დროს. ამ პირობებში მნიშვნელოვანი როლი ითამაშა ძლიერი ოპოზიციური მედია საშუალებების არსებობამაც, რომლებიც ფართოდ ავრცელებდნენ ინფორმაციას მთავრობის მიერ დაშვებული შეცდომების შესახებ. ამ კონტექსტში, განსაკუთრებული მნიშვნელობის გამოდგა საქართველოს პენიტენციური სისტემის ხარვეზების შესახებ ცნობების გავრცელება. სკანდალურად ცნობილმა „ციხის კადრებმა“ დიდი როლი ითამაშა ნეგატიური საზოგადოებრივი აზრის ჩამოყალიბებაში და განმტკიცებაში და ენმ-ს წინააღმდეგ ამომრჩეველთა კონსოლიდაცია გაცილებით ძლიერი გახადა. მნიშვნელოვანია კადრების გავრცელების პერიოდში - კადრები არჩევნებამდე რამდენიმე კვირით ადრე

გავრცელდა. მთავრობას არჩევნებამდე ძალიან მცირე დრო ჰქონდა დარჩენილი სიტუაციის სათავისოდ შემოსატრიალებლად და როგორც ეს თვისებრივი ინტერვიუების დროს აღინიშნა, მის მიერ გადადგმულ პრევენციულ და საზოგადოებასთან ურთიერთობის ნაბიჯებს არ მოჰყვა მნიშვნელოვანი შედეგები. თვისებრივი ინტერვიუების დროს აღინიშნა, რომ კადრებმა მნიშვნელოვნად განსაზღვრეს ე.წ. „გადაუწყვეტელი ამომრჩევლის“ არჩევანი:

“კიდევ ერთი მნიშვნელოვანი ფაქტორი, რომელიც უნდა აღინიშნოს და რომელმაც კატალიზატორის როლი ითამაშა, იყო ცნობილი „ციხის კადრები“, რომლებიც არჩევნებამდე ცოტა ხნით ადრე გავრცელდა. რა თქმა უნდა, ქართული ოცნება ისედაც აიღებდა ხმების მნიშვნელოვან ნაწილს, თუმცა კადრებმა ქართულ ოცნება გადაუწყვეტელი ამომრჩევლების ხმებიც მოუტანა“. – საჯარო პოლიტიკის ანალიტიკოსი

გარდა შიდა პოლიტიკური ძვრებისა, მრავალჯერ ნახსენები გარეგანი ფაქტორებიც ენმ-ს საწინააღმდეგოდ იყო მომართული. სწორედ საგარეო, კონკრეტულად კი, დასავლური ქვეყნების ზეწოლის შედეგად ენმ იძულებული იყო გარკვეულწილად დარჩენილიყო სამართლებრივ ჩარჩოებში, არ გამოეყენებინა არაპროპორციული ძალა და ბოლომდე არ აემუშავებინა მის ხელთ არსებული რეპრესიული მეთოდები ოპონენტების წინააღმდეგ.

“დასავლელი პარტნიორების მხრიდან იყო რჩევა, რომ მათ [ენმ-ს] განზრახ არ გამოეყენებინა ძალა არეულობის შესაქმნელად“. – იურისტი

“მთავრობას აღარ შეეძლო გაერისკა და კიდევ უფრო ძალადობრივი მექანიზმები გამოეყენებინა, რადგანაც ეს მათ იმიჯს შეარყევდა მსოფლიოს თვალში“ – საჯარო პოლიტიკის ანალიტიკოსი

შესაბამისად, 2012 წლის საპარლამენტო არჩევნების შედეგები არ იყო ერთი რომელიმე მიზეზით გამოწვეული, არამედ წარმოადგენდა საზოგადოებაში არსებული ნეგატიური დამოკიდებულებების აკუმულირების, ძლიერი ოპოზიციური ფლანგის არსებობისა და დასავლური ზეწოლის კომბინაციის შედეგს. მიუხედავად ამისა, შეგვიძლია ვთქვათ, რომ ცენტრალური როლი მაინც მთავრობის მიერ

განხორციელებულმა საჯარო პოლიტიკის შედეგებმა ითამაშეს. სწორედ მათ გამოიწვიეს, ერთი მხრივ, ამომრჩეველთა მნიშვნელოვანი ნაწილის იმედგაცრუება, ხოლო, მეორე მხრივ, უბიძგეს ოპოზიციას კონსოლიდაციისკენ.

2.4.1.5 კვლევის თვისებრივი ნაწილის შეჯამება

2003 წლის ვარდების რევოლუციის შემდეგ, ენმ წარმატებით ახერხებდა ძალაუფლების შენარჩუნებას 9 წლის განმავლობაში მეტ-ნაკლებად კონკურენტული, როგორც ადგილობრივი, ისე ეროვნული არჩევნების მოგებით. თუმცა, 2012 წელს მმართველი პარტია ოპოზიციურ კოალიციასთან დამარცხდა და პირველად საქართველოს ისტორიაში ყოფილი მმართველი პარტია ოპოზიციაში აღმოჩნდა. ამ მოვლენის ასახსნელად, სადოქტორო ნაშრომში გამოყენებულია ჰიბრიდულ რეჟიმებში მოქმედი პოლიტიკური პროცესების შემსწავლელი თეორიული პარადიგმები. ლევიცკისა და ვეის (2010) მიდგომის თანახმად, რეჟიმის სტაბილურობისა და შენარჩუნებისთვის აუცილებელია სახელმწიფოს ქმედუნარიანობასა და გარეგან და შინაგან შეზღუდვების შორის არსებული წონასწორობის შენარჩუნება. ამავდროულად, გრინი (2007) მიიჩნევს, რომ ჰიბრიდულ რეჟიმებში მოღვაწე დომინანტური პარტიები ძალაუფლების შესანარჩუნებლად იყენებენ საჯარო რესურსებს, ფინანსებსა და საჯარო პოლიტიკას ამომრჩეველთა კრიტიკული მასის გადმოსაბირებლად.

კვლევის თვისებრივ ნაწილში განხილული მიგნებები დაკავშირებულია, აგრეთვე, მაგალონის მიერ შემოთავაზებულ იდეასთან, რომლის მიხედვითაც, საქართველოს მსგავსი ტიპის ქვეყნებში არჩევნები წარმოადგენს ამომრჩეველებისთვის, უპირველესად მთავრობის მხარდამჭერებისთვის, სახელმწიფო რესურსების შეთავაზებისა და გადანაწილების ინსტრუმენტს.

2004 წლიდან მოყოლებული, საქართველოში სახელმწიფოს ქმედუნარიანობა იზრდებოდა, რამაც შესაძლებელი გახადა, ერთი მხრივ, სახელმწიფო ძალაუფლების ცენტრალიზაცია და განმტკიცება, ხოლო, მეორეს მხრივ, მმართველი ელიტის მიერ მისი კონცენტრაცია (შუბლაძე, 2018). ამ უკანასკნელ გარემოებასთან არის დაკავშირებული ადამიანისა და საკუთრების უფლებების ხელყოფის შემთხვევების ზრდაც. პარალელურად, საგარეო და საშინაო შეზღუდვების მოცულობა ენმ-ს

მმართველობის საწყის ეტაპზე არ იყო მნიშვნელოვანი, რაც ეხმიანება ლევიცკისა და ვეის მიერ გაჟღერებულ იდეას, რომ სახელმწიფოს ძლიერი ქმედუნარიანობა, შეწყვილებული საგარეო და საშინაო შეზღუდვებთან, არის მნიშვნელოვანი ფაქტორი რეჟიმის სტაბილურობის (ე.ი. ძალაუფლების შენარჩუნების) მისაღწევად.

თვისებრივი ინტერვიუების დროს აღინიშნა, რომ მმართველი პარტია იყენებდა როგორც ხისტ, ისე რბილ მეთოდებს ამომრჩეველთა გულის მოსაგებად და ოპონენტების დასასჯელად. გრინის მიერ აღწერილი დომინანტური პარტიებისადმი დამახასიათებელი ტიპური მეთოდების მსგავსად, ენმ იყენებდა სოციალური დახმარების პროგრამებს, დასაქმების წახალისების დროებით პროგრამებსა და სხვა პოპულისტურ მეთოდებს ამომრჩეველთა გულის მოსაგებად. აღნიშნული მიდგომები მუშაობდა გარკვეულ პერიოდამდე, ამიტომაც არჩევნებამდე დარჩენილ პერიოდში მთავრობა, როგორც ეს ბჰასინისა და განდის მიერ შემოთავაზებულ თეორიულ ჩარჩოშია აღნიშნული, ცდილობდა პოლიტიკური ოპონენტების წინააღმდეგ რეპრესიული მეთოდების გამოყენებით შეემცირებინა კონკურენტების გამარჯვების შანსები.

ენმ-ს 2012 წლების არჩევნებში დამარცხება, აგრეთვე, დაკავშირებული იყო სხვა ფაქტორებთანაც. ამათგან მნიშვნელოვანი იყო მმართველი პარტიისადმი ნეგატიური დამოკიდებულების დაგროვება, რაც გამოწვეული იყო საკუთრების და ადამიანის უფლებების ხელყოფით (განსაკუთრებით ე.წ. „ციხის კადრების“ გავრცელების შემდეგ) და ზოგადი სოციო-ეკონომიკური უთანასწორობით საზოგადოებაში. დამატებით, გავლენა მოახდინა ოპოზიციური პოლიტიკური ფლანგის ძლიერმა კონსოლიდაციამაც, რომლის სათავეშიც დიდი ფინანსური, პოლიტიკური და კულტურული კაპიტალის მქონე ბიძინა ივანიშვილი იდგა. ამ უკანასკნელმა გარემოებამ, ოპოზიციას საშუალება მისცა თანაბარი რესურსებით ეპაექრა მთავრობასთან პოლიტიკურ ველზე და დაერწმუნებინა ამომრჩეველები ენმ-ს დამარცხების რეალურობაში. ამ გარემოებების დამაგვირგვინებელი კი გამოდგა დასავლური ინსტიტუტებისა და სახელმწიფოების მზარდი ზეწოლა ხელისუფლებაზე. შედეგად, მთავრობა შეზღუდული იყო სრული სიძლიერით გამოყენებინა რეპრესიული რესურსები ოპოზიციის საწინააღმდეგოდ, ხოლო

ფინანსური რესურსები - ამომრჩევლების გულის მოსაგებად საჭირო საჯარო პოლიტიკის გასატარებლად.


2.4.2 გამოკითხვის მონაცემების ინტერპრეტაცია

საზოგადოებრივი აზრის გამოკითხვის მონაცემების დანიშნულება ნაშრომში წარმოდგენილი რეტროსპექტული ხმის მიცემის მოდელის მართებულობის დამტკიცებაა. მართალია, თვისებრივი მონაცემების გამოყენებით ამომრჩეველთა ქცევაზე გავლენის მომხდენი პოტენციური ფაქტორები გამოიკვეთა, თუმცა შემდგომი ანალიზისთვის აუცილებელია ამ მოსაზრებების სტატისტიკური ემპირიული მონაცემებით დადასტურება. ამ ქვეთავში წარმოდგენილია 2012 წელს ჩატარებული მოსახლეობის გამოკითხვის სამი ტალღის მონაცემების ანალიზი, რომლებშიც მმართველი პარტიის მიმართ მხარდაჭერა გაანალიზებულია მოქალაქეების მიერ მთავრობის მიერ განხორციელებული პოლიტიკის შედეგების შეფასებით, აგრეთვე თავად მთავრობის წევრებისა და სახელმწიფო ინსტიტუტების საქმიანობის შეფასების მიხედვით. აღნიშნული ფაქტორები შეესაბამება რაციონალური არჩევანის თეორიისა და რეტროსპექტული ხმის მიცემის მოდელის პოსტულატებს, რომელთა მიხედვითაც ადამიანები პოლიტიკურ ძალას მხარს უჭერენ უკვე განხორციელებული საქმიანობების შეფასების მიხედვით, აგრეთვე იმ პოტენციური სარგებლიდან გამომდინარე, რაც მათ მიიღეს პოლიტიკური ძალის ხელისუფლებაში ყოფნის დროს. რეგრესიის მოდელების შედეგების გაანალიზებამდე, მათ გაიარეს შემოწმება სხვადასხვა სტატისტიკური ტესტის გამოყენებით, რათა მიღებული შედეგების ვალიდობა არ დამდგარიყო ექვის ქვეშ (იხილეთ დანართი 2.4.2).

2.4.2.1 2012 წლის თებერვლის მონაცემები

მონაცემთა პირველი ტალღა, რომელიც სადოქტორო ნაშრომის ფარგლებში გაანალიზდა, 2012 წლის თებერვალში შეგროვდა. თებერვლის მონაცემების პირველი მოდელი შეეხება ზოგად-ეროვნული და ადგილობრივი საკითხების კავშირს ენმ-ს მხარდაჭერასთან. ლოგისტიკური რეგრესიის თანახმად, ეროვნული საკითხების 2008 წელთან შედარებით გაუმჯობესება სტატისტიკურად მნიშვნელოვანი ფაქტორია ენმ-ს მხარდაჭერისთვის (გრაფიკი 2.4.2.1). აღსანიშნავია, რომ ანალოგიური ეფექტი არ აქვს ლოკალური საკითხების დადებითად, ნეიტრალურად ან უარყოფითად შეფასებას. რაც


შეეხება საკონტროლო ცვლადების გავლენას, ლოგისტიკური რეგრესიის ფარგლებში გამოიკვეთა, რომ სოფლის ტიპის დასახლებებში მცხოვრები მოქალაქეები, აგრეთვე ისინი, ვინც განაცხადა, რომ სახელმწიფოსგან იღებს სპეციალურ ან მიზნობრივ დახმარებას, მიდრეკილნი იყვნენ განეცხადებინათ, რომ მხარს უჭერდნენ ენმ-ს. რაც შეეხება სქესს, მოდელის მიხედვით ჩანს, რომ ქალებთან შედარებით მამაკაცებს ნაკლები ალბათობა ჰქონდათ მხარი დაეჭირათ სახელისუფლებო პარტიისთვის. აღსანიშნავია, რომ საკონტროლო ცვლადებთან შედარებით, ეროვნული საკითხების გაუმჯობესების დადებითად შეფასების გავლენის ეფექტი გაცილებით მაღალი იყო, ვიდრე სხვა საკონტროლო ცვლადებისა (იხილეთ ცხრილი 1 დანართში გრაფიკი 2.4.2).



გრაფიკი 2.4.2.1 NDI-ს 2012 წლის თებერვლის გამოკითხვის 2008 წელთან შედარებით საკითხების გაუმჯობესების მოდელის საშუალო მარჟინალური ეფექტების (95% სანდოობის ინტერვალი).

როდესაც ანალოგიურ მოდელში, ეროვნული და ლოკალური საკითხების ნაცვლად, დამოუკიდებელ ცვლადად აღებულია ენმ-ს და მთავრობის წარმომადგენელი პოლიტიკური პირების საქმიანობის შეფასების ინდექსი, შედეგი ანალოგიურია


(გრაფიკი 2.4.2.2). სოფლის ტიპის მაცხოვრებლების, სახელმწიფო დახმარებების მიმღებთა და მამაკაცების მიმართება ენმ-ს მხარდაჭერასთან დაკავშირებით ანალოგიურია, როგორც 2012 წლის თებერვლის ტალღის მოდელში. განსხვავება მხოლოდ შემოსავლის კატეგორიებს შორის შეიძლება: აღნიშნულ მოდელში მაღალი შემოსავლის კატეგორიაში მოქცეული რესპონდენტებს ენმ-ს მხარდაჭერის უფრო მაღალი ალბათობა აქვთ (გრაფიკი 2.4.2.2). კიდევ ერთი განსხვავება ამ ორ განხილულ მოდელს შორის არის ის, რომ ეროვნული საკითხების გაუმჯობესების გავლენა უფრო ძლიერია ენმ-ს მხარდაჭერის ალბათობაზე, ვიდრე - პოლიტიკოსების პერსონალური შეფასების ცვლადის (იხილეთ ცხრილი 2 დანართში გრაფიკი 2.4.2).



გრაფიკი 2.4.2.2 NDI-ს 2012 წლის თებერვლის გამოკითხვის პერსონალური საქმიანობის შეფასების მოდელის საშუალო მარყინალური ეფექტების (95% სანდოობის ინტერვალი).

ინსტიტუციური შეფასების მოდელი იმეორებს პერსონალური საქმიანობის შეფასების მოდელის შედეგებს (გრაფიკი 2.4.2.2). ძირითადი დამოუკიდებელი ცვლადი - მოქალაქეების მიერ სახელმწიფო ინსტიტუტების საქმიანობის შეფასება - კვლავაც ძალიან მაღალი ალბათობით წინასწარმეტყველებს ენმ-ს მხარდაჭერას.

სახელმწიფოსგან მიღების დახმარებაც, მართალია ნაკლები ეფექტით, თუმცა მაინც ზრდის მმართველი პარტიის მხარდაჭერის შანსებს. რაც შეეხება განსხვავებებს - წინა მოდელისგან საპირისპიროა ის გარემოება, რომ შემოსავლის კატეგორიები უკვე აღარ არიან სტატისტიკურად მნიშვნელოვანი ფაქტორები ენმ-ს მხარდაჭერისთვის. რაც შეეხება ეფექტის ზომას, პერსონალური საქმიანობისა და ინსტიტუტების შეფასების ცვლადებს დაახლოებით მსგავსი ეფექტი აქვთ (იხილეთ ცხრილი 3 დანართში გრაფიკი 2.4.2).




გრაფიკი 2.4.2.3 NDI-ს 2012 წლის თებერვლის გამოკითხვის სახელმწიფო ინსტიტუტების საქმიანობის შეფასების მოდელის საშუალო მარჟინალური ეფექტების (95% სანდოობის ინტერვალი).

2.4.2.2 2012 წლის ივნისის მონაცემები

2012 წლის ივნისის ტალღის მონაცემები თებერვლის ანალოგიური მოდელების გამოყენებით გაანალიზდა. 2008 წელთან შედარებით, საკითხების გაუმჯობესების მოდელი თებერვლის შესაბამისი მოდელის მსგავს სურათს ხატავს (გრაფიკი 2.4.3.4). ეროვნული საკითხების დადებითად შეფასება კვლავ სტატისტიკურად


მნიშვნელოვანი ფაქტორია ენმ-ს მხარდაჭერისთვის. საკონტროლო ცვლადებიდან კი კვლავ სოფლის ტიპის დასახლებებში მცხოვრებნი და სახელმწიფოსგან დახმარების მიმღები პირები არიან სტატისტიკურად მნიშვნელოვან დადებით ასოციაციაში ენმ-ს მხარდაჭერის ცვლადთან.



გრაფიკი 2.4.2.4 NDI-ს 2012 წლის ივნისის გამოკითხვის 2008 წელთან შედარებით საკითხების გაუმჯობესების მოდელის საშუალო მარჟინალური ეფექტების (95% სანდოობის ინტერვალი).

რაც შეეხება პერსონალიების საქმიანობის შეფასების მოდელს, სიტუაცია აქაც ანალოგიურია. ის რესპონდენტები, რომლებიც დადებითად აფასებდნენ ენმ-ს წარმომადგენელი პოლიტიკოსების საქმიანობას, მაღალი ალბათობით, აგრეთვე, მხარს უჭერდნენ სახელისუფლებო პარტიას (გრაფიკი 2.4.2.5). გეოგრაფიული ფაქტორებიდან სტატისტიკურად მნიშვნელოვანია სოფლის მოსახლეობის მხრიდან სამთავრობო პარტიის მხარდაჭერის შედარებით მაღალი ალბათობა. კვლავ საინტერესოა სახელმწიფოს მხრიდან გაწეული, მათ შორის მიზნობრივი და ერთჯერადი, დახმარების მიღებაც. კლიენტელისტური საჯარო პოლიტიკის ეს ირიბი ინდიკატორი კვლავაც ზრდის სახელისუფლებო პარტიის მხარდაჭერის ალბათობებს.


თუმცა, აღსანიშნავია ის გარემოებაც, რომ ამ ცვლადის გავლენა, თუ წინა ტალღებს შევადარებთ, არჩევნების მოახლოვებასთან ერთად სუსტდება. თუ სადოქტორო ნაშრომის ძირითადი ჰიპოთეზა მართებულია, მაშინ არჩევნების უფრო მეტად მოახლოვებასთან ერთად ამ ფაქტორის გავლენა ენმ-ს მხარდაჭერის ალბათობებზე შემცირდეს ან სტატისტიკურად უმნიშვნელო უნდა გახდეს.



გრაფიკი 2.4.2.5 NDI-ს 2012 წლის ივნისის გამოკითხვის პერსონალური საქმიანობის შეფასების მოდელის საშუალო მარჟინალური ეფექტების (95% სანდოობის ინტერვალი).

ხოლო რაც შეეხება სახელმწიფო ინსტიტუტების შეფასების მოდელს 2012 წლის ივნისის ტალღისთვის, ამ შემთხვევაშიც წინა მოდელის სურათი იკვეთება (გრაფიკი 2.4.2.6). დამატებით, დასახლების ტიპი და სახელმწიფოსგან მატერიალური ან სხვა ტიპის დახმარებაც, აგრეთვე, ზრდის სახელისუფლებო პარტიის მხარდაჭერის ალბათობას (იხილეთ ცხრილი 6 დანართში 2.4.2). საბოლოო ჯამში, თებერვლისა და ივნისის მონაცემებს შორის განსხვავება მინიმალურია და ზოგადი ტენდენცია, რომლის თანახმადაც მთავრობის საქმიანობის შეფასება დადებით ასოციაციურ კავშირშია სახელისუფლებო პარტიის მხარდაჭერასთან, შენარჩუნებულია. ეს

უკანასკნელი გარემოება კი პირდაპირ შეესაბამება რეტროსპექტული ხმის მიცემის მოდელს.




გრაფიკი 2.4.2.6 NDI-ს 2012 წლის ივნისის გამოკითხვის სახელმწიფო ინსტიტუტების საქმიანობის შეფასების მოდელის საშუალო მარჟინალური ეფექტების (95% სანდოობის ინტერვალი).

2.4.2.3 2012 წლის აგვისტოს მონაცემები

2012 წლის აგვისტოს მონაცემების გამოყენება სადოქტორო ნაშრომში, გარდა შემუშავებული რეგრესიული მოდელების ვალიდურობის დადასტურებისა, სხვა მნიშვნელობასაც იძენს. ეს ტალღა წარმოადგენს მოსახლეობის ერთ-ერთი უკანასკნელ გამოკითხვას, რომელიც წინასაარჩევნო პერიოდში ჩატარდა. ამ პერიოდში საარჩევნო კამპანიის მიმდინარეობა პიკს უახლოვდებოდა და ამომრჩევლებზე მისი გავლენაც უფრო მნიშვნელოვანი ხდებოდა. თებერვლისა და ივნისის კვლევების მსგავსად, ამ შემთხვევაშიც სამი განსხვავებული მოდელი გამოიცადა.


როდესაც საქმე ეხება 2008 წელთან შედარებით საკითხების გაუმჯობესებას, ტრადიციულად ეროვნული მნიშვნელობის საკითხები სტატისტიკურად მნიშვნელოვანი ფაქტორია სახელისუფლებო პარტიის მხარდაჭერისთვის (გრაფიკი 2.4.2.7). თებერვლისა და ივნისის ტალღებისგან განსხვავებით კი, საკონტროლო ცვლადებიდან მხოლოდ სახელმწიფოსგან დახმარების მიღების ფაქტორი აღმოჩნდა მნიშვნელოვანი სახელისუფლებო პარტიის მხარდაჭერისთვის (იხილეთ ცხრილი 7 დანართში 2.4.2).



გრაფიკი 2.4.2.7 NDI-ს 2012 წლის აგვისტოს გამოკითხვის 2008 წელთან შედარებით საკითხების გაუმჯობესების მოდელის საშუალო მარჟინალური ეფექტების (95% სანდოობის ინტერვალი).

პერსონალური საქმიანობის შეფასების მოდელის შემთხვევაში საკონტროლო ცვლადებიდან არც ერთი არ ამჟღავნებს სტატისტიკურ მნიშვნელოვნებას (იხილეთ ცხრილი 8 დანართში გრაფიკი 2.4.2). რაც შეეხება თავად მმართველი ძალის წარმომადგენელი პოლიტიკოსების საქმიანობის შეფასების ინდექსს, ის წინა


ტალების შემთხვევაშიც განსაზღვრავს ენმ-ს მხარდაჭერის მაღალ ალბათობას (გრაფიკი 2.4.2.8).



გრაფიკი 2.4.2.8 NDI-ს 2012 წლის აგვისტოს გამოკითხვის პერსონალური საქმიანობის შეფასების მოდელის საშუალო მარყინალური ეფექტების (95% სანდოობის ინტერვალი).

ბოლო მოდელი, რომელიც მასობრივი გამოკითხვის მონაცემებზე გამოიყენა, სახელმწიფო ინსტიტუტების საქმიანობის შეფასებაა. ტრადიციულად, აღნიშნული ფაქტორი სტატისტიკურ მნიშვნელოვნებას ამჟღავნებს (გრაფიკი 2.4.2.9). ზოგადი ტენდენცია მსგავსია აგვისტოს ტალების სხვა მოდელებთან შედარებით, მცირედი გამონაკლისი კი დაკავშირებულია ურბანული ტიპის დასახლებების (დედაქალაქის გარდა, რომელიც ამ შემთხვევაში საბაზისო კატეგორიაა) ამომრჩევლებთან, რომლებსაც, სხვა ფაქტორების გათვალისწინებით, ენმ-ს მხარდაჭერის ნაკლები ალბათობა ჰქონდათ. ზოგადად, აგვისტოს თვის მოდელებში აგრეთვე გამართლდა ის მოლოდინი, რომ სახელმწიფოსგან მიღებული დახმარების ფაქტორის ზეგავლენა სამთავრობო პარტიის მხარდაჭერაზე შემცირდებოდა ან მთლიანად გაქრებოდა. პოლიტიკური პროცესების აქტიურ ფაზაში შესვლის, აგრეთვე მხარედი პოლიტიკური

პოლარიზაციის გამო წმინდად კლიენტელისტური ტიპის ფაქტორები მეორეხარისხოვანი გახდა. უპირატესობა, ამ შემთხვევაში, უფრო მეტად რეტროსპექტული ან ეკონომიკური ხმის მიცემის ლოგიკით განპირობებულ გარემოებებს ენიჭებოდა.



გრაფიკი 2.4.2.9 NDI-ს 2012 წლის აგვისტოს გამოკითხვის სახელმწიფო ინსტიტუტების საქმიანობის შეფასების მოდელის საშუალო მარჟინალური ეფექტების (95% სანდოობის ინტერვალი).

2.4.2.4 გამოკითხვის მონაცემთა ანალიზის შეჯამება

მასობრივი გამოკითხვების სამი ტალღის მონაცემთა ანალიზი ცხადყოფს, რომ რესპონდენტების მიერ მმართველი პარტიის მხარდაჭერის ალბათობა მნიშვნელოვანწილად იყო დაკავშირებული მთავრობის საქმიანობის შეფასებებთან. როგორც 2008 წელთან შედარებით სიტუაციის ცვლილების, აგრეთვე პერსონალური და ინსტიტუციური საქმიანობის შეფასების მხრივ. საარჩევნო წლის განმავლობაში ჩატარებული გამოკითხვები საშუალებას იძლევა დროის ინტერვალში დავაკვირდეთ, ხომ არ იცვლებოდა აღნიშნული ტენდენცია. ცხრილში 2.4.2.1 მოცემულია

ლოგისტიკური რეგრესიის მოდელების მიხედვით ენმ-ს მხარდაჭერის ნაწინასწარმეტყველები ალბათობები. მაგალითად, თუ რესპონდენტს ეროვნული საკითხების გაუმჯობესების ინდექსზე 3 ქულა აქვს, თებერვლის თვის ტალღაში მას 90%-იანი ალბათობა ჰქონდა დაესახელებინა ენმ, როგორც პარტია, რომელსაც მხარს უჭერდა. ანალოგიურად, თუ სახელმწიფო ინსტიტუტების საქმიანობის შეფასების ინდექსზე რესპონდენტს 5 ქულა (ანუ, საქმიანობის შეფასების ყველაზე მაღალი მაჩვენებელი) ჰქონდა აგვისტოს ტალღაში, მის მიერ ენმ-ს მხარდაჭერის ალბათობა 98% იყო.

ეროვნული საკითხების გაუმჯობესების ინდექსი 2008 წელთან შედარებით

ინდექსის მნიშვნელობა	0	0.5	1	1.5	2	2.5	3
თებერვალი	0%	1%	4%	13%	38%	70%	90%
ივნისი	0%	1%	2%	10%	31%	66%	89%
აგვისტო	0%	1%	3%	12%	36%	68%	89%

შენიშვნა: ინდექსზე 0 შეესაბამება ეროვნული საკითხების გაუმჯობესების ყველაზე დაბალ შეფასებას (გაუარესდა), ხოლო 3 ყველაზე მაღალ შეფასებას (გაუმჯობესდა)

სახელმწიფო ინსტიტუტების საქმიანობის შეფასება

ინდექსის მნიშვნელობა	1	2	3	4	5
თებერვალი	0%	3%	26%	79%	98%
ივნისი	0%	2%	23%	81%	98%
აგვისტო	0%	2%	26%	82%	98%

ინდექსზე 1 შეესაბამება სახელმწიფო ინსტიტუტების საქმიანობის შეფასების ყველაზე დაბალ მაჩვენებელს (ძალიან ცუდი), ხოლო 5 ყველაზე მაღალს (ძალიან კარგი)

ხელისუფლების წარმომადგენლების საქმიანობის შეფასება

ინდექსის მნიშვნელობა	1	2	3	4	5
თებერვალი	0%	3%	23%	75%	97%
ივნისი	0%	1%	19%	83%	99%
აგვისტო	0%	2%	23%	83%	99%

ინდექსზე 1 შეესაბამება სახელმწიფო ინსტიტუტების საქმიანობის შეფასების ყველაზე დაბალ მაჩვენებელს (ძალიან ცუდი), ხოლო 5 ყველაზე მაღალს (ძალიან კარგი)

ცხრილი 2.4.2.10 ენმ-ს მხარდაჭერის მნიშვნელობის ნაწინასწარმეტყველები ალბათობები ეროვნული საკითხების ინდექსის, სახელმწიფო ინსტიტუტების საქმიანობისა და ხელისუფლების წარმომადგენლების საქმიანობების შეფასებების მიხედვით.

ცხრილში 2.4.2.10 მოცემული ნაწინასწარმეტყველები ალბათობები ცხადყოფს, რომ 2012 წლის მონაცემებით, სამთავრობო პარტიის მიერ განხორციელებული საჯარო პოლიტიკის მხარდაჭერა ამ პოლიტიკის განმახორციელებელი პოლიტიკოსების საქმიანობის შეფასებასთან იყო დაკავშირებული, რასაც რაციონალური ხმის მიცემის

თეორიაც ამტკიცებს (Key 1966; Fiorina 1981). ეკონომიკური ხმის მიცემის ლოგიკის მიხედვით, ამომრჩევლები, ხშირად, ქვეყნის მაკროეკონომიკური მდგომარეობისა და გატარებული რეფორმების მიხედვით არჩევენ, მისცენ თუ არა ხმა მთავრობაში მყოფ პოლიტიკურ ძალას (Rogers და Tyszler, 2012). მონაცემთა ანალიზის შედეგები ამტკიცებს ჰილისა და მაჰორტას (2013) მიერ შემუშავებულ რეტროსპექტული ხმის მიცემის მიდგომას, რომლის თანახმადაც ამომრჩევლები მიღწეულ წარმატებებსა თუ წარუმატებლობებზე პასუხისმგებლობას არჩეულ პოლიტიკურ პირებს აკისრებენ და საკუთარ არჩევანსაც ამ ფაქტორების გათვალისწინებით აკეთებენ. საგულისხმოა, რომ რეტროსპექტული ხმის მიცემის ლოგიკა, რომლის მიხედვითაც ამომრჩევლები წარსული გამოცდილების მიხედვით აკეთებენ საკუთარ არჩევანს, საქართველოს კონტექსტშიც შესწავლილია. ბაბუნაშვილის (2017) სტატიაში საქართველოში რეტროსპექტული ხმის მიცემის ეფექტი ნაჩვენებია არა მხოლოდ 2012 წლების არჩევნების, არამედ 2016 წლის საპარლამენტო არჩევნების მაგალითზეც.

სადოქტორო ნაშრომში გამოთქმული მოსაზრების მართებულობა მტკიცდება დროის განმავლობაში სხვა რელევანტური საკონტროლო ცვლადების ეფექტის შემცირებითაც. თუ თებერვლისა და ივნისის ტალღებში რიგი გეოგრაფიული და სოციო-ეკონომიკური ცვლადები სტატისტიკურად მნიშვნელოვანი იყო სახელისუფლებო პარტიის მხარდასაჭერად, ბოლო, აგვისტოს ტალღაში მხოლოდ რეტროსპექტული ხმის მიცემისთვის შესაფერი ცვლადებიღა რჩება სტატისტიკურად მნიშვნელოვანი.

მიუხედავად მასობრივი გამოკითხვების მონაცემების შედეგებისა, ეს მიდგომა გარკვეულ ნაკლოვანებებსაც შეიცავს. კერძოდ, გამოკითხვების დროს დაფიქსირებული პასუხები, შესაძლოა, არ ასახავდეს რეალობას და საკუთრივ საარჩევნო დღეს ამომრჩეველმა შეიძლება კარდინალურად განსხვავებული არჩევანი გააკეთოს. აქ გასათვალისწინებელია ქართული პოლიტიკური ცხოვრების მნიშვნელოვანი თავისებურებები, რომლებმაც, თვისებრივი ინტერვიუების თანახმად, მნიშვნელოვანი ზეგავლენა მოახდინა 2012 წლის საპარლამენტო არჩევნების საბოლოო შედეგზე. ამ ქვეთავში განხილული საკითხებისადმი დამოკიდებულება გამოკითხვების ჩატარების შემდეგ შესაძლოა შეცვლილიყო საარჩევნო კამპანიის შედეგად. აუცილებლად გასათვალისწინებელია არჩევნებამდე მომხდარი

პოლიტიკური პროცესები, კერძოდ კი ე.წ. „ციხის კადრების“ გავრცელება, რომლებსაც შეეძლო გადაეწონა რეტროსპექტული ხმის მიცემის ეფექტი. ამიტომაც, შემდეგ თავში მთავარი დამოკიდებული ცვლადი არა რესპონდენტების მიერ გამოხატული პარტიული მხარდაჭერა იქნება, არამედ არჩევნების შედეგები. მეორადი მონაცემების ინტერპრეტაციის ქვეთავი ამგვარად შეეცდება გადაამოწმოს გამოკითხვის შედეგების შედეგად გამოტანილი დასკვნები.

2.4.3 მეორადი მონაცემების ინტერპრეტაცია

ამომრჩეველთა ქცევის შესახებ კვლევები ცხადყოფს, რომ ამომრჩევლები, როგორც წესი, გადაწყვეტილების მიღებისას ყურადღებას ამახვილებენ არა მხოლოდ ერთი კონკრეტულ ფაქტზე, არამედ მხედველობაში იღებენ ხელისუფლებაში მყოფი ძალის კადენციის დროს მომხდარ ყველა მოვლენას. ბრენდერი და დრაზენი (2005) აღნიშნავენ, რომ გადაწყვეტილებების მიღებისას, რაციონალური არჩევანის თეორიის მიერ აღწერილი მიდგომის თანახმად, ამომრჩევლები ყურადღებას ამახვილებენ ეკონომიკური საკითხების მიმოხილვასა და ზოგადი კეთილდღეობის შეფასებაზე, რომელიც მთავრობის ხელისუფლებაში ყოფნის დროს ჩამოყალიბდა. საქართველოს კონტექსტის გათვალისწინებით, აღნიშნული საკითხებიდან ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი საკითხი **სოციალური და ეკონომიკური უთანასწორობა** გახლავთ. ერლისა და გელბახის (2015) მიერ განხილული ეს საკითხი ლიტერატურის მიმოხილვისა და თვისებრივი შედეგების ქვეთავებში არის დეტალური განხილული. საჯარო პოლიტიკის შედეგების თავში, აგრეთვე, ნაჩვენებია, თუ როგორ გამოიწვია მმართველობის საწყის ეტაპზე ენმ-ს პოლიტიკამ რეალური დასაქმების კლება და მოსახლეობის ზოგადი კეთილდღეობის შემცირება (Baumann, 2012). აღსანიშნავია, რომ ენმ-ს მიერ განხორციელებულ პოლიტიკას მხარდამჭერებიც ჰყავდნენ, რომლებმაც გარკვეული სარგებელი მიიღეს ენმ-ს მიერ განხორციელებული რეფორმების შედეგად. ამდენად, 2012 წლის არჩევნების წინა პერიოდისთვის დამახასიათებელი იყო საზოგადოების პოლიტიკური პოლარიზაცია. თვისებრივი მონაცემების ქვეთავში განხილული იყო საკითხები, რომელთა თანახმადაც ამომრჩევლები ხშირად გადაწყვეტილებებს იღებენ იმ პოტენციური სარგებლიდან, რომელიც მათ პოლიტიკურმა პარტიამ შეიძლება შესთავაზოს და ეკონომიკური რეფორმებით დაზარალებული მოსახლეობა მაღალი ალბათობით მემარცხენე და

ანტირეფორმულ პლატფორმაზე ორიენტირებულ პარტიებს უჭერდა მხარს. მეორადი მონაცემების გამოყენებით, სადოქტორო ნაშრომი სწორედ ამ მოსაზრებების გადამოწმებას ცდილობს 2008 და 2012 წლების არჩევნების მაგალითზე.


ამ ქვეთავში განხილულია ორი მოდელი, რომელიც წარმოადგენას გვიქმნის საქართველოს მოქალაქეთა მიერ გაკეთებულ არჩევანზე 2008 და 2012 წლებში. პირველი მოდელი წარმოადგენს GSS-ისა გამოკითხვის მონაცემების, არჩევნების შედეგებისა და საარჩევნო ოლქების სოციო-გეოგრაფიული მონაცემების საფუძველზე შედგენილ თეორიულ ჩარჩოს. რაც შეეხება მეორე მოდელს, ის მთლიანად სახელმწიფო სტრუქტურებიდან შეგროვებულ მონაცემებს ეყრდნობა.

2.4.3.1 მეორადი მონაცემების პირველი მოდელი

უმცირეს კვადრატა რეგრესიის მეთოდის საშუალებით კონსტრუირებული მოდელები გამოყენებულია 2008 და 2012 წლების საპარლამენტო არჩევნების შედეგების გასაანალიზებლად. ორივე შემთხვევაში, მოდელის დამოკიდებული ცვლადი არის ენმ-ს მიერ აღებული ხმების პროცენტული რაოდენობა საარჩევნო ოლქებში. მონაცემთა ანალიზის დროს, ორი განსხვავებული ქვე-მოდელი იქნა გამოყენებული: გეოგრაფიული ცვლადების გარეშე და სოციო-გეოგრაფიული ცვლადების ჩართვით, რათა გაკონტროლებულიყო სივრცითი ცვლადების გავლენა არჩევნების შედეგებზე. მოდელების გამოყენებამდე, ისინი შემოწმდა მულტიკოლინეარობაზე, ჰეტეროსკედასტრობაზე და სხვა სტატისტიკურ ტესტების სახეობაზე (იხილეთ დანართში 2.4.3.1).


2008 წლის საპარლამენტო არჩევნების მოდელირების დროს, როდესაც დამოუკიდებელი ცვლადებიდან მხოლოდ GSS-ს კვლევიდან მიღებული სოციო-ეკონომიკური ცვლადებია გამოყენებული, მხოლოდ რამდენიმე ცვლადი არის სტატისტიკურად მნიშვნელოვანი, როგორც ენმ-ს, აგრეთვე ოპოზიციური პარტიებისთვის ხმის მიცემის დროს (დეტალებისთვის, იხილეთ ცხრილი 1, 2, 3 და 4 დანართში 2.4.3.1). გრაფიკზე 2.4.3.1 გრაფიკულად არის ასახული, რომ საარჩევნო ოლქებში ამომრჩევლების განათლების მაღალი დონის ხვედრითი წილის ზრდასთან არის ასოცირებული ოპოზიციური პარტიების მიერ მოპოვებული ხმების რაოდენობის ზრდა, ხოლო, მმართველი პარტიის შემთხვევაში, აღნიშნული კავშირი საპირისპირო

მიმართულებისაა. ანალოგიური შედეგების ხილვა არის შესაძლებელი გასაშუალოებული შემოსავლების ცვლადის შემთხვევაშიც - შემოსავლების მაღალი დონე დაკავშირებულია ენმ-ს მიერ მოპოვებული ხმების მაღალ მნიშვნელობასთან, ხოლო საარჩევნო ოლქებში, საშუალო შემოსავლის დაბალი დონე დაკავშირებულია ოპოზიციის მხარდაჭერის უფრო მაღალ მაჩვენებლებთან. მონაცემები ამრიგად ნათლად გვაჩვენებდნენ, რომ 2008 წელს მთავრობასა და ოპოზიციას შორის არსებული ელექტორალური განსხვავებები შედარებით ნაკლებად იყო სოციო-ეკონომიკური ხასიათის, თუ ამას 2012 წლების მოდელებს შევადარებთ.



გრაფიკი 2.4.3.1 მრავლობითი წრფივი რეგრესიის სტანდარტიზებული მაჩვენებლები (95% სანდოობის ინტერვალი) გეოგრაფიული კონტროლის ცვლადების გარეშე 2008 წლის საპარლამენტო არჩევნებში ენმ-ს და ოპოზიციური პარტიების მიერ მოპოვებული ხმების მიხედვით

თუმცა, როდესაც შედეგები გაკონტროლებულია გეოგრაფიული ცვლადების გამოყენებით, მაშინ ამ სოციო-ეკონომიკური ცვლადების სტატისტიკურად მნიშვნელოვნება ქრება³⁸.




გრაფიკი 2.4.3.2 მრავლობითი წრფივი რეგრესიის სტანდარტიზებული მაჩვენებლები (95% სანდოობის ინტერვალი) გეოგრაფიული კონტროლის ცვლადების გამოყენებით 2008 წლის საპარლამენტო არჩევნებში ენმ-ს და ოპოზიციური პარტიების მიერ მოპოვებული ხმების მიხედვით

გრაფიკზე 2.4.3.2 ნაჩვენებია, რომ მხოლოდ ურბანიზაცია, საარჩევნო ოლქებში ეთნიკური ქართველების წილი და საარჩევნო ოლქების ზღვის დონიდან სიმაღლე ხდება სტატისტიკურად მნიშვნელოვანი ფაქტორები არჩევნების შედეგების პროგნოზირებისთვის. კერძოდ, ურბანიზაციისა და ეთნიკურად ქართული მოსახლეობის მაღალი წილი დაკავშირებულია ოპოზიციის მიერ უფრო მეტი ხმის

³⁸ ამ, ერთი მხრივ პარადოქსული, მოვლენის ახსნა შეიძლება იმ გარემოებით, რომ 2008 წლის არჩევნების შემთხვევაში უფრო მნიშვნელოვანი გეოგრაფიული ფაქტორები იყო. ამ ფაქტორებმა გადაწონეს ცალკე აღებული სხვა ცვლადების გავლენა, მათ შორის - განათლების ფაქტორი (სიჭინავა, 2008).

მიღების ალბათობასთან, ხოლო ზღვის დონიდან უფრო მაღლა მდებარე საარჩევნო ოლქები მიდრეკილნი არიან უფრო მეტად დაუჭირონ მხარი მთავრობას, ამ შემთხვევაში ენმ-ს. გეოგრაფიული ფაქტორებით მონაცემების გაანალიზებით, შეგვიძლია დავასკვნათ, რომ, როგორც ეს აღწერილია სიჭინავას (2014) სადისერტაციო ნაშრომში, 2008 წლისთვის სოციო-ეკონომიკურზე უფრო მეტად გავლენის მომხდენი გეოგრაფიული და სოციო-კულტურული განსხვავებებით გამოწვეული ფაქტორები და დაპირისპირებები იყო³⁹.



გრაფიკი 2.4.3.3 შინამეურნეობის ნივთების ინდექსის და ენმ-ს მიერ მოპოვებული ხმების მაჩვენებლის წრფივი რეგრესიის ვიზუალიზაცია 2008 წლის საპარლამენტო არჩევნებისთვის დამატებით, როდესაც მეორე მოდელის გეოგრაფიული კონტროლის ცვლადების გათვალისწინებით გვსურს დავინახოთ როგორია მიმართება ანალიზის ცენტრალურ ცვლადთან - შინამეურნეობის მფლობელობაში არსებული ნივთების ინდექსი, რომელიც ირიბად ზომავს შინამეურნეობების შედარებით უთანასწორობას,


³⁹ სეიმურ ლიპსეტისა და სტენ როკანის მიერ 1967 წელს განხილული "სოციალური დაპირისპირების" - social cleavage -ის ანალოგიას თუ დავესესხებით.

აღმოჩნდება, რომ მიმართება პოლიტიკური პარტიის მხარდაჭერასთან არ არის წრფივი (გრაფიკი 2.4.3.3). შესაბამისად, შეიძლება დავასკვნათ, რომ, განხილული შედეგების მიხედვით, 2008 წლის არჩევნებზე სოციო-ეკონომიკური ცვლადების აბსოლუტურ უმრავლესობას არ ჰქონდა სტატისტიკურად მნიშვნელოვანი კავშირი ამომრჩევლებისთვის ხმის მიცემის დროს. მთავრობისა და ოპოზიციის მიერ მიღებული ხმების განსხვავებული მაჩვენებლების ახსნას კი ყველაზე მეტად ურბანიზაცია და ეთნიკური მიკუთვნებულობა განსაზღვრავდა, რაც თავის მხრივ უკვე ნაჩვენებია იქნა აქამდე ჩატარებულ კვლევებში, მაგალითად სიჭინავას მიერ (2017).

2012 წლების საპარლამენტო არჩევნების შედეგების მოდელი კი, განსხვავებულ სურათს გვიჩვენებს. გეოგრაფიული კონტროლის ცვლადების გარეშე განხორციელებული რეგრესიული მოდელი ცხადყოფს, რომ შინამეურნეობის მფლობელობაში მყოფი ნივთების ინდექსის დაბალი მაჩვენებლები, განათლების დონესთან ერთად, სტატისტიკურად მნიშვნელოვანი ხდება ამომრჩეველთა მიერ ხმის მიცემის დროს. კერძოდ, მატერიალური დეპრივაციის ამ ირიბი მაჩვენებლის - შინამეურნეობის მიერ ნივთების ფლობის ინდექსის - დაბალი ნიშნულები დაკავშირებულია ოპოზიციის მიერ აღებული ხმების მაღალ მაჩვენებელთან. აღნიშნული მიგნება საქართველოს გარდა სხვა კონტექსტში არის ემპირიულად დამტკიცებული. სახელდობრ, ჰელვიგისა და მაკალისტერის (2019) კვლევაში ნაჩვენებია, რომ აღნიშნული მეთოდით გაზომილი მატერიალური დეპრივაციის გავლენა პირდაპირპროპორციულია პოლიტიკური პარტიის მხარდაჭერასთან. 2008 წლის ანალოგიური მოდელიდან მხოლოდ განათლების ცვლადმა შეინარჩუნა სტატისტიკურად მნიშვნელოვანი ეფექტი. საარჩევნო ოლქებში უმაღლესი განათლების მაღალი წილი ასოცირებულია ოპოზიციის მიერ მიღებული ხმების მაღალ დონესთან. ენმ-ს მიერ მიღებული ხმების შემთხვევაში ორივე ცვლადის გავლენა საპირისპიროა (გრაფიკი 2.4.3.4).

2012 წლის მოდელის შედეგების კიდევ ერთი საინტერესო გარემოება დაკავშირებულია განათლების ცვლადის „ასიმეტრიულ“ პოზიციაში. მსგავსად დასაქმების ფაქტორისა, განათლების მაღალი დონე ასოცირებულია ოპოზიციის მხარდაჭერის უფრო მაღალ ალბათობასთან. მაშინ როდესაც ენმ-ს მხარდაჭერის


შემთხვევაში საქმე პირიქით არის. ამ გარემოების ახნა უნდა ვეძებოთ განათლების ცვლადის მიმართებაში სოციო-გეოგრაფიული ტიპის ცვლადებთან. რადგანაც განათლების დონეების გავრცელებულობა კლასტერიზებულია ურბანული და არაურბანული დასახლებული პუნქტების მიხედვით, მაღალი ალბათობით, განათლების დონის ზეგავლენა უნდა გაქარწყლდეს მოდელში გეოგრაფიული საკონტროლო ცვლადების შემოტანის შემდეგ. ანალოგიური მსჯელობა ჭეშმარიტი უნდა იყოს დასაქმების ცვლადის შემთხვევაშიც.



გრაფიკი 2.4.3.4 მრავლობითი წრფივი რეგრესიის სტანდარტიზებული მაჩვენებლები (95% სანდოობის ინტერვალი) გეოგრაფიული კონტროლის ცვლადების გარეშე 2012 წლის საპარლამენტო არჩევნებში ენმ-ს და ოპოზიციური პარტიების მიერ მოპოვებული ხმების მიხედვით

გეოგრაფიული ცვლადების კონტროლის შედეგად ნივთების ფლობის ინდექსი კვლავ სტატისტიკურად მნიშვნელოვანია, ხოლო განათლების გავლენა აღარ ხდება სტატისტიკურად მნიშვნელოვანი. აღსანიშნავია, რომ 2008 წლის არჩევნების მოდელთან შედარებით, ამ შემთხვევაში გეოგრაფიული ცვლადებიდან მხოლოდ


ეთნიკური ქართველების ხვედრითი წილის ცვლადი არის სტატისტიკურად მნიშვნელოვანი ენმ-სა და ოპოზიციის მიერ აღებული ხმების კონტექსტში (გრაფიკი 2.4.3.5). როგორც ეს წინა აბზაცში იყო ნაწინასწარმეტყველები, გაქრა დასაქმებისა და განათლების დონის ცვლადების ეფექტი, მას შემდეგ რაც მოდელში ჩაერთო სოციო-გეოგრაფიული დონის საკონტროლო ცვლადები.



გრაფიკი 2.4.3.5 მრავლობითი წრფივი რეგრესიის სტანდარტიზებული მაჩვენებლები (95% სანდოობის ინტერვალი) გეოგრაფიული კონტროლის ცვლადების გამოყენებით 2012 წლის საპარლამენტო არჩევნებში ენმ-ს და ოპოზიციური პარტიების მიერ მოპოვებული ხმების მიხედვით

როდესაც 2012 წლის საპარლამენტო მოდელს სხვა რელევანტური ფაქტორების გამოყენებით გაკონტროლებით და დავაკვირდებით შინამეურნეობის შეფარდებითი დეპრივაციის ინდექსსა და ენმ-ს მიერ აღებული ხმების ერთმანეთთან ინტერაქციას, 2008 წლის მოდელთან შედარებით ამ შემთხვევაში სახეზეა წრფივი კავშირი (გრაფიკი 2.4.3.6). სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ, შედარებით ღარიბი და სოციალურად შეჭირვებული საარჩევნო ოლქები უფრო ნაკლებად იყვნენ მიდრეკილნი 2012 წელს ხმა

მიეცათ მმართველი პარტიისადმი, მაშინ როდესაც შედარებით მაღალი სოციო-ეკონომიკური სტატუსის მუნიციპალიტეტებში უფრო მეტი იყო ალბათობა მხარი დაეჭირათ მმართველი ენმ-ს პარტიისთვის.



გრაფიკი 2.4.3.6 შინამეურნეობის ნივთების ინდექსის და ენმ-ს მიერ მოპოვებული ხმების მაჩვენებლის წრფივი რეგრესიის ვიზუალიზაცია 2012 წლის საპარლამენტო არჩევნებისთვის

GSS-ს გამოკითხვისა და გეოგრაფიული ცვლადების გამოყენებით შედგენილმა რეგრესიულმა მოდელებმა, რომლებიც მიზნად ისახავდა ოპოზიციისა და მმართველი პარტიის მიერ საარჩევნო ოლქებში მიღებულ ხმებთან დაკავშირებული ფაქტორების ამოხსნას, საგულისხმო შედეგები მოგვცა. უპირველესად, მკაფიოდ გამოჩნდა, რომ 2008 და 2012 წლებში განსხვავებული ფაქტორები მოქმედებენ როგორც მმართველი პარტიის, აგრეთვე ოპოზიციის მიერ მიღებული ხმების რაოდენობაზე. ეს გარემოება შეესაბამება ნაშრომში გამოთქმულ მოსაზრებას, რომლის თანახმადაც 2008 და 2012 წლებში საარჩევნო ქცევაზე გავლენის მომხდენი ფაქტორები განსხვავებული იყო. ამასთანავე, ნაშრომის თვისებრივ ნაწილში გამოთქმული მოსაზრებები და ვარაუდები, რომ 2012 წლისთვის ეკონომიკური ფაქტორები უფრო მნიშვნელოვანი გახდა,

ასახულია შედარებითი დეპრივაციის ფაქტორის მაგალითზეც, რომელიც 2008 წელს არ იყო სტატისტიკურად მნიშვნელოვანი, ხოლო 2012 წელს მნიშვნელოვნად იყო ასოცირებული ოპოზიციის მიერ ხმების მიღებასთან. მიუხედავად ამ გარემოებებისა, ამ ქვეთავში განხილული მოდელი საფუძვლიანად არ სცემს პასუხს კითხვაზე, თუ რამდენად მნიშვნელოვანი როლი ჰქონდა ეკონომიკური ხმის მიცემის მიდგომას 2012 წლების არჩევნებში. მართალია გამოკითხვის მონაცემების საშუალებით შესაძლებელია ინდივიდუალური დონის მაჩვენებლების გათვალისწინება ანალიზში, თუმცა შემდეგომ ქვეთავში მოცემული ანალიზი უფრო ძლიერად იძლევა ამ დასკვნების გამოტანის საშუალებას. მეორადი მონაცემების მეორე მოდელი მთლიანად ეთმობა არჩევნების შედეგების ახსნას მხოლოდ სოციო-ეკონომიკური ცვლადების გამოყენებით, რომლებიც საარჩევნო ოლქებს დონეზე არის შეგროვებული.

2.4.3.2 მეორადი მონაცემების მეორე მოდელი

მეორადი მონაცემების მეორე მოდელში გამოყენებულია სახელმწიფოს მიერ გაწეული სხვადასხვა ტიპის ხარჯების 2008-2011 წლების გასაშუალოებული მონაცემები თითოეული საარჩევნო ოლქისთვის. როგორც ეს უკვე აღინიშნა, ამ მიდგომის გამოყენების მოტივაცია დაკავშირებულია რეტროსპექტული და ეკონომიკური ხმის მიცემის მოდელთან, რომლის მიხედვითაც ამომრჩევლები საკუთარ არჩევანს არსებული ეკონომიკური სიტუაციის გათვალისწინებით აკეთებენ, სახელდობრ, ეკონომიკური წარმატებისა და კეთილდღეობის დონეზე გრძელვადიან პერიოდში (Brender და Drazen, 2005). გასაშუალოებული მონაცემების გამოყენებით, შესაძლებელია ირიბად მაინც აღიწეროს ის სოციო-ეკონომიკური მდგომარეობა, რომელიც 2008-2011 წლების პერიოდში შეიქმნა. ამასთანავე, 2012 წლის მონაცემების არგამოყენება დაკავშირებულია საჯარო პოლიტიკის ნაწილში აღწერილ გარემოებებთან, როდესაც საარჩევნო წლებში მთავრობა მთლიანად გადაერთვება ხოლმე კლიენტელისტური საჯარო პოლიტიკის წარმოებაზე და ამიტომ მონაცემებმა, შესაძლოა, დამახინჯებულად ასახოს რეალური სოციო-ეკონომიკური მდგომარეობა. ეს გარემოება მხედველობაში უნდა მივიღოთ მონაცემების ინტერპრეტაციის დროს.

მეორე მოდელის ანალიზის აღწერამდე აუცილებელია გადამოწმდეს, აკმაყოფილებენ თუ არა წრფივ რეგრესიაში მონაწილე ცვლადები აუცილებელ კრიტერიუმებს. ამ მიზნით განხორციელდა რეგრესიული მოდელის დიაგნოსტიკა. ნაშრომის

დანართში წარმოდგენილია ჰეტეროსკედესტიკურობისა (იხილეთ ცხრილი 1 დანართში 2.4.3.2) და კოლინეალობის ტესტების (იხილეთ გრაფიკი 1 დანართში 2.4.3.) შედეგები: ცვლადების განაწილება შეესაბამება სტანდარტულ მოთხოვნებს, ხოლო მოდელში გამოყენებული ცვლადები არ ზომავენ იდენტურ სოციალურ ფენომენებს. რაც შეეხება ნორმალური განაწილების დადგენის ტესტს, შაპირო-ვილკისა (იხილეთ ცხრილი 3 დანართში 2.4.3.2) და Ramsey RESET-ის ტესტების (იხილეთ ცხრილი 5 დანართში 2.4.3.2) თანახმად შესაძლებელია წრფივი რეგრესიის გამოყენება. ამის გარდა, დანართში აგრეთვე მოცემულია სიმჭიდროვის შეფასების (kernel) ტესტის ვიზუალიზაცია (იხილეთ გრაფიკი 2 დანართში 2.4.3.2).


რაც შეეხება თავად მონაცემების ანალიზს, ცხრილში 2.4.3.1 მოცემულია მრავლობითი წრფივი რეგრესიის შედეგები. ნაშრომში გამოყენებული თეორიული მოსაზრებების მსგავსად, სოციო-ეკონომიკურ უთანასწორობასთან დაკავშირებული ცვლადები ამცირებენ ენმ-ს მხარდაჭერის ალბათობას. ამასთანავე, მთავრობის მიერ განხორციელებული კლიენტელისტური სოციალური პოლიტიკის გამომხატველი ცვლადები ასოცირებულნი არიან ენმ-ს მიერ აღებული ხმების მაღალ მაჩვენებელთან.

ცვლადები	(1) მრავლობითი წრფივი რეგრესია
სიკვდილიანობა	-0.0374** (0.0173)
მუნიცი. ხარჯვა	-0.000113** (4.36e-05)
შემწეობა	-0.805*** (0.214)
გათანაბრ. ტრანსფერი	0.497*** (0.164)
მიზნობრ. ტრანსფერი	3.166 (1.896)
კომპენსაცია	-28.67** (11.59)
მუდმივი	0.649*** (0.0499)
დაკვირვება	61
R-კვადრატი	0.451

ფრჩხილებში სტანდარტული შეცდომა

*** p<0.01, ** p<0.05, * p<0.1

ცხრილი 2.4.3.1. მრავლობითი წრფივი რეგრესია




გრაფიკი 2.4.3.7 მრავლობითი წრფივი რეგრესიის სტანდარტიზებული მაჩვენებლები (95% სანდოობის ინტერვალი) მოდელისთვის, სადაც დამოკიდებული ცვლადია 2012 წლების საპარლამენტო არჩევნებში ენმ-ს მიერ აღებული ხმების პროცენტული რაოდენობა

რეგრესიული მოდელის შედეგების მარტივად აღსაქმელად და ინტერპრეტაციისთვის დამოკიდებული და დამოუკიდებელი ცვლადების სტანდარტიზაცია განხორციელდა. გრაფიკზე 2.4.3.7 მოცემულია მრავლობითი წრფივი რეგრესიის სტანდარტიზებული მნიშვნელობები, რომლებიც უფრო გასაგებად აღწერენ თუ როგორი ტიპის მიმართება არსებობს მოდელში გამოყენებულ ცვლადებს შორის. მსგავსად ჯგუფთაშორისი უთანასწორობის თეორიისა, რომელიც ასემოლლუმ და რობინსონმა (2006) განავითარეს, მატერიალური შეჭირვებისა და უთანასწორობის გამომწვევი ცვლადები ამცირებენ ენმ-ს მხარდაჭერის ალბათობას. ანალოგიურად, თუ დავესესხებით ხმის მიცემის ეკონომიკური თეორიას, ეს შედეგები ართვე შეგვიძლია განვმარტოთ როგორც კლიენტელისტური პოლიტიკების დადებითი ასოციაცია მმართველი გუნდის მიერ არჩევნებში მიღწეულ მხარდაჭერაზე. გათანაბრებითი ტრანსფერისადმი დამოკიდებულება, მიღება და ბენეფიციარად ყოფნა დადებითად არის ასოცირებული

სამთავრობო პარტიის მხარდაჭერაზე. თითქმის ანალოგიური ეფექტი აქვს მიზნობრივი ტრასფერის მიღებას მუნიციპალიტეტების მიერ. ეს უკანასკნელი გარემოება, გარკვეულწილად, შეგვიძლია მივიჩნიოთ კლიენტელისტური საჯარო პოლიტიკის ერთ-ერთი გამოვლინებად. ამ საკითხის სადისერტაციო ნაშრომი უფრო სიღმისეულად თვისებრივი მონაცემების შესახებ მიძღვნილ თავში შეეხო.


მონაცემების ინტერპრეტაციის უფრო სიღრმისეულად განსახორციელებლად საინტერესოა, თუ როგორი იქნება ბივარიაციული მიმართება დამოუკიდებელ ცვლადსა და მოდელის სხვა დამოკიდებულ ცვლადებს შორის. დანართ 2.4.3.2-ის ცხრილში 7 აღწერილია, თუ როგორი მიმართება არსებობს ენმ-ს მიერ არჩევნებში აღებულ ხმებსა და მატერიალურ დეპრივაციას შორის. თუმცა, თუ მონაცემთა ანალიზს ანალოგიურად გავაგრძელებთ, შედეგები განსხვავებული იქნება სხვადასხვა ცვლადის შემთხვევაში.



გრაფიკი 2.4.3.8 სამედიცინო დაწესებულებებში სიკვდილიანობის მაჩვენებლისა და ენმ-ს მიერ აღებული ხმების წრფივი რეგრესიის გრაფიკი

გრაფიკებზე 2.4.3.9 და 2.4.3.10 მოცემულია ასეთი ანალიზის შედეგები. აღმოჩნდა, რომ ცალკე აღებული არც ადგილობრივი თვითმმართველობის მიერ დახარჯული ფინანსური რესურსები და არც მუნიციპალიტეტებში საარსებო შემწეობის

ბენეფიციართა მაღალი პროცენტული რაოდენობა არ განაპირობებენ ენმ-ს მიერ ამ მუნიციპალიტეტებში ხმების მოპოვების მაღალ მაჩვენებლებს.



გრაფიკი 2.4.3.9 ადგილობრივი თვითმმართველობის მიერ გაწეული ხარჯებისა და ენმ-ს მიერ აღებული ხმების წრფივი რეგრესიის გრაფიკი

გრაფიკი 2.4.3.10. საარსებო შემწეობის ბენეფიციართა რიცხვისა და ენმ-ს მიერ აღებული ხმების წრფივი რეგრესიის გრაფიკი

ამ შედეგების ინტერპრეტაცია იმგვარად შეგვიძლია, რომ მთავრობის მხარდაჭერა არ არის დამოკიდებული მხოლოდ ერთი ფაქტორზე. პირიქით, ის წარმოადგენს მრავალი ფაქტორის ერთდროულად ზემოქმედების შედეგს. სახელდობრ, 2004-2012 წლებში საზოგადოებაში დაგროვებული უკმაყოფილება, რაც გამოწვეული იყო მატერიალური დეპრივაციისა და უთანასწორობის მზარდი მაჩვენებლებით, მნიშვნელოვანწილად

დაეხმარა ოპოზიციას საპროტესტო ელექტორატის მობილიზებაში. პარალელურად, ეკონომიკური ხმის მიცემის მიდგომის გათვალისწინებით, ენმ-ს მიე შენარჩუნებული ელექტორალური მხარდაჭერა მნიშვნელოვანწილად იყო განპირობებული კლიენტელისტური სოციალური პოლიტიკების გატარებასთან.

მეორადი მონაცემების მეორე მოდელის თანახმად, 2012 წლის არჩევნების შედეგები დაკავშირებულია რიგი სოციო-ეკონომიკურ ფაქტორების გავლენასთან. უთანასწორობის ფენომენის გასაზომად გამოყენებულ შერჩეული ცვლადებიდან სამივე მათგანი *(სამედიცინო დაწესებულებებში სიკვდილიანობის მაჩვენებელი; საარსებო შემწეობის მიმღები ადამიანების რაოდენობა; სახელმწიფო სტიპენდიისა და კომპენსაციების მიმღები ადამიანების რაოდენობა)* ნეგატიურ ასოციაციურ კავშირშია ენმ-ს მიერ ხმების მოპოვებასთან. საარჩევნო ოლქები, სადაც სამედიცინო დაწესებულებებში გარდაცვალების ხარისხი მაღალია, აგრეთვე ოლქები სადაც საარსებო შემწეობასა და სახელმწიფო კომპენსაციებზე ხარჯები მაღალია (შესაბამისად დაბალია სოციო-ეკონომიკური მდგომარეობა), უფრო ნაკლებად არიან მიდრეკილნი ენმ-ს მხარდაჭერისკენ 2012 წლის არჩევნებში. ამასთანავე, სამთავრობო ხარჯებზე დამოკიდებული გასაზომი ცვლადებიდან მხოლოდ გათანაბრებითი ტრანსფერი, რომელიც გულისხმობს ცენტრალური ხელისუფლების მიერ მუნიციპალიტეტების ფინანსურ დახმარებას, არის დაკავშირებული დადებითად ენმ-ს მიერ აღებულ საარჩევნო ხმებთან.

2.4.3.3 მეორადი მონაცემების მოდელების შეჯამება

2008-2012 წლებში საარჩევნო ქცევებზე გავლენას არა ერთი, არამედ რამდენიმე, ხშირად ერთმანეთის საპირისპირო, ფაქტორი ახდენდა. უთანასწორობისა და მატერიალური დეპრივაციის ფაქტორებმა ხელი შეუწყო საზოგადოებაში მთავრობის საწინააღმდეგო განწყობების აკუმულირებას. ამავდროულად, როგორც ეს ეკონომიკური და რეტროსპექტული ხმის მიცემის მოდელებიდან გამომდინარეობს, 2012 წელს, 2008 წელთან შედარებით, ამომრჩევლები ნაკლებად აღმოჩნდნენ კმაყოფილნი ფინანსური რესურსების გადანაწილებით.

მეორადი მონაცემების ანალიზის მიხედვით, ამომრჩევლების სოციო-ეკონომიკური მახასიათებლები მნიშვნელოვანი ფაქტორია საარჩევნო შედეგების ფორმირებაში,

თუმცა განსხვავებები შეინიშნება 2008 და 2012 წლების არჩევნების დროს. ნაშრომში განხილული მოლოდინების თანახმად, 2008 წლისთვის მოსახლეობის უმრავლესობისთვის სოციო-ეკონომიკური ფაქტორები არ იყო იმდენად მნიშვნელოვანი, რომ მას გადაეწონა მთავრობის მიერ განხორციელებული კლიენტელისტური საჯარო პოლიტიკის შედეგები. აგრეთვე, ოპოზიციური ფლანგის შედარებითმა სისუსტემ და მთავრობის უნარმა, მაქსიმალურად შეეზღუდა წარმატების წინაპირობები ოპოზიციისთვის, ხელი შეუწყო რეჟიმის სტაბილურობას. რაც შეეხება 2012 წელს, მზარდმა უთანასწორობამ, რომელზედაც კვლევის თვისებრივ ნაწილში იყო საუბარი და მტკიცდება საერთაშორისო ორგანიზაციების მიერ შემუშავებული ინდიკატორების მიხედვით, ნაშრომში განხილულ სხვა ფაქტორებთან ერთად, გავლენა იქონია ოპოზიციის წარმატებაზე და ენმ-ს დამარცხებაზე. იმ საარჩევნო ოლქებში, სადაც ყველაზე უფრო ცუდი სოციო-ეკონომიკური მდგომარეობა იყო, ოპოზიციამ ყველაზე კარგი საარჩევნო შედეგები აჩვენა. 2008-2011 წლებში განხორციელებული საჯარო პოლიტიკის სოციო-ეკონომიკური შედეგების ნეგატიური შედეგები და აღქმა საარჩევნო ოლქებში კი ძლიერ ასოციაციურ კავშირში აღმოჩნდა ენმ-ს დაბალ ელექტორალურ შედეგებთან.

2.4.4. კვლევის შედეგების შეჯამება

სადოქტორო ნაშრომის მთავარი მიგნება დაკავშირებულია იმ გარემოებასთან, რომ საქართველოში ამომრჩეველთა ქცევის კვლევა აუცილებლად უნდა ითვალისწინებდეს სხვადასხვა ფაქტორის კომპლექსურ გავლენას. ყველაზე მნიშვნელოვანი გარემოება მდგომარეობს იმაში, რომ საქართველოს მსგავს ქვეყნებშიც კი საზოგადოებრივი აზრი მნიშვნელოვანწილად განაპირობებს არჩევნების შედეგებს. 2004-2012 წლების საქართველოში ენმ-ს მმართველობის პირველი ნახევარი ხასიათდებოდა შედარებით მაღალი ლეგიტიმაციით, რაც არჩევნებში მაღალ საზოგადოებრივ მხარდაჭერაში გამოიხატებოდა. ლეგიტიმაციის შემცირებამ კი საბოლოო ჯამში ძალაუფლების დათმობა გამოიწვია.

სამეცნიერო ლიტერატურა, რომელიც რეტროსპექტული ხმის მიცემის საკითხებს ეხება, აღნიშნავს, რომ ამომრჩეველთა მიერ მთავრობის საქმიანობის მიხედვით ხმის მიცემას შეუძლია მთავრობები უფრო მეტად გახადონ პასუხისმგებელნი მოქალაქეების მიმართ (Healy და Malhotra, 2013). თუმცა, საქართველოს ტიპის

ქვეყნებში ამან შესაძლოა გამოიწვიოს პოპულისტური რეჟიმების ჩამოყალიბება, რომლებიც საჯარო პოლიტიკას მხოლოდ საარჩევნო მიზნების მისაღწევად გამოიყენებენ (Babunashvili, 2017). საქართველოს შემთხვევაში ეს უკანასკნელი გარემოების პრაქტიკული განხორციელება მმართველი ძალისთვის უშედეგო გამოდგა. გარდა უშუალოდ ეკონომიკური სარგებელისა, აუცილებელია რეჟიმმა უზრუნველყოს წონასწორობა მის მიერ გამოყენებულ კლიენტელისტურ საჯარო პოლიტიკისა და სახალხო ლეგიტიმურობას შორის (Shubladze და Khundadze, 2017). საქართველოს შემთხვევაში, სწორედ ამ ბალანსის დარღვევის გამო შესაძლო სარგებელმა ვერ გადაწონა მოსახლეობის მზარდი უკმაყოფილება. მიუხედავად იმისა, რომ გამოკითხვის მონაცემების შედეგად ნაჩვენებია იყო ენმ-ს მხარდაჭერაზე მათი საქმიანობის დადებითი შეფასების გავლენა, ენმ-ს მიერ განხორციელებული პოლიტიკით კმაყოფილი ადამიანების რიცხვი 2012 წელს არ აღმოჩნდა საკმარისი ელექტორალური გამარჯვების მისაღწევად. NDI-ის მონაცემების მიხედვით განხორციელებული რეგრესიული ანალიზის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი მიგნება სწორედ ამასთან იყო დაკავშირებული. არჩევნების მოახლოვებასთან ერთად მცირდებოდა წმინდად კლიენტელისტური ტიპის დამოკიდებულებებისა და კავშირების გავლენა მმართველი პარტიის მხარდაჭერაზე. მაშინ, როდესაც მთავრობის, მმართველი გუნდის წევრებისა და აქამდე მიღწეული სოციო-ეკონომიკური წარმატებების შეფასების წვლილი ენმ-ს მხარდაჭერაში ან მმართველი პარტიისადმი ნეგატიური პოზიციების ჩამოყალიბებაში სტატისტიკურად მნიშვნელოვანი რჩებოდა.

თუ საქართველოს უახლეს ისტორიას რეტროსპექტულად გადავავლებთ თვალს, აღმოჩნდება, რომ ენმ-ს მმართველობის პირველი ნაწილისთვის დამახასიათებელი იყო ინსტიტუციური მშენებლობის სწრაფი ტემპები და კორუფციასთან უკომპრომისო ბრძოლა. უნდა აღინიშნოს, რომ ეს დღის წესრიგი საზოგადოების მხრიდან უპირობო მხარდაჭერით სარგებლობდა. ამავდროულად, ენმ-სთვის, დეკლარირებულ დონეზე მაინც, დამახასიათებელი იყო ნეო-ლიბერალური ეკონომიკური ხედვები და სწრაფი, საზოგადოებასთან შეუთანხმებელი, მოდერნიზაციული პოლიტიკები. საბოლოოდ, მათ გამოიწვიეს საზოგადოებაში სოციო-ეკონომიკური კეთილდღეობის გაუარესება და უთანასწორობის რეალური და თვითშეფასებითი მაჩვენებლების ზრდა.

საბოლოოდ, ყველაფერი ეს მთავრობის მიმართ უნდობლობაში გადაითარგმნა. მოსახლეობასთან დაშორებისა და გაუცხოების აღმოსაფხვრელად ენმ-მ კლიენტელისტურ სოციალურ პოლიტიკას მიმართა. ეს მიდგომა გარკვეული წარმატებებით სარგებლობდა 2008-2010 წლებში. თუმცა, სოციო-ეკონომიკური ფონის შემდგომი გამწვავების გამო კლიენტელისტურმა მიდგომამ სასურველი შედეგები ვეღარ გამოიღო. ამომრჩევლებმა შეაფასეს რა ენმ-ს მმართველობის დადებითი და უარყოფითი შედეგები, გამოიყენეს ეკონომიკური ხმის მიცემის კლასიკური მოდელი გადაწყვეტილების მისაღებად და 2012 წლის არჩევნებში მხარი დაუჭირეს ოპოზიციას. ამ შემთხვევაში ქართული საზოგადოება ორად გაიყო: ისინი, ვინც კმაყოფილნი იყვნენ ენმ-ს მიერ დამყარებული სტატუს კვოთი, და ისინი, ვინც იზარალა ან ნეგატიურად შეაფასა მთავრობის მიერ განხორციელებული ღონისძიებები 2004 წლიდან 2012 წლამდე.

კვლევის შედეგებზე დაყრდნობით შეიძლება ვამტკიცოთ, რომ მოქალაქეთა შეფასებას და რეფლექსიას მიმდინარე მოვლენებზე მნიშვნელოვნად შეუძლია გავლენის მოხდენა არჩევნების შედეგებზე, თუნდაც ჰიბრიდულ რეჟიმებში. მიუხედავად ამისა, კვლევის შედეგები რამდენიმე პასუხგაუცემელ შეკითხვას ბადებს, რაც შემდგომი კვლევისა და ანალიზის წინაპირობას იძლევა. პირველ რიგში, აღსანიშნავია გარემოება რომელიც გუგუშვილმა (2012) აღწერა, რომლის თანახმადაც ამომრჩეველთა გადაწყვეტილებების მიღების უკეთ შესასწავლად აუცილებელი უფრო მეტი მიკრო მონაცემები, კონკრეტულად კი ინდივიდუალური პოლიტიკური პრეფერენციების და ამომრჩევლების სოციო-ეკონომიკური სტატუსის დასადგენად. განსაკუთრებული მნიშვნელობა ამ შემთხვევაში ენიჭება დროში განგრძობითი და პანელური კვლევების არსებობას, რომლებიც დაადგენს, თუ როგორ იცვლება ინდივიდუალური მახასიათებლები დროსა და სივრცეში. საარჩევნო ოლქების შესახებ არსებული მწირი სტატისტიკისა და სოციო-ეკონომიკური მახასიათებლების საბაზისო მონაცემების არარსებობის გამო, ნაშრომმა ვერ შეძლო 2004-2008 წლებში ამომრჩეველთა ქცევის სიღრმისეული ანალიზის განხორციელება.

კიდევ ერთი მნიშვნელოვანი ფაქტორი, რომელიც მონაცემთა ანალიზის დროს ყურადღების მიღმა დარჩა, ობიექტური გარემოებების გამო, არის სპეციფიკური პოლიტიკური მოვლენების, მაგალითად ადამიანის უფლებების დარღვევების

სერიოზული ფაქტორებისა და 2012 წლის არჩევნებამდე რამდენიმე კვირით ადრე გასაჯაროვებული ე.წ. ციხის კადრების, გავლენა ელექტორალურ შედეგებზე. მართალია, თვისებრივი ინტერვიუების დროს ეს გარემოება არაერთხელ აღინიშნა, თუმცა ემპირიული სტატისტიკური მონაცემების გამოყენებით ამ მოვლენის ეფექტის გაზომვა უკვე შეუძლებელია. ბოლო, თუმცა არანაკლებ მნიშვნელოვანი საკითხი ეხება საგარეო ფაქტორების დეტალურ ანალიზს და ოპოზიციური პარტიების კონსოლიდაციის გავლენას. აღსანიშნავია, რომ ამ უკანასკნელი ფაქტორის შეფასება 2008 და 2012 წლების არჩევნების მაგალითებზე გახდა შესაძლებელი, თუმცა ეს მიდგომა კაუზალური კავშირების გამოტანისთვის არ არის საკმარისი.

2.5. დასკვნა

2012 წლის საპარლამენტო არჩევნები გარდამტეხი აღმოჩნდა საქართველოსთვის და ქართული პოლიტიკური ცხოვრებისთვის. თანამედროვე საქართველოს ისტორიაში პირველად მომხდარმა ძალაუფლების მშვიდობიანმა და კონსტიტუციურმა ცვლილებამ საზოგადოებრივი, პოლიტიკური და აკადემიური წრეების ყურადღება მიიქცია. ნაშრომი შეეცადა ჰოლისტური სამეცნიერო მიდგომის საშუალებით აეხსნა აღნიშნული გარემოება. კერძოდ, მოხდა სოციო-ეკონომიკური ფაქტორების გავლენის შეფასება და რეტროსპექტული ხმის მიცემის ლოგიკის გამოყენებით 2012 წლის საპარლამენტო არჩევნების შედეგების ახსნა. ამ მიდგომის დამტკიცებისთვის მნიშვნელოვანი გარემოება იყო მთავრობის მიერ განხორციელებული სოციო-ეკონომიკური პოლიტიკების შეფასება, მათი გავლენა მოსახლეობაზე და მოსახლეობის საპასუხო რეაქციების შესწავლა. ამ მიზნის მისაღწევად ნაშრომში გამოყენებული იყო მონაცემთა მრავალფეროვანი და მრავალმხრივი წყაროები, მონაცემთა ანალიზის განსხვავებული მიდგომები და ტრადიციები.

ნაშრომში დეტალურად არის აღწერილი, თუ როგორ ცდილობდა, 2004-2012 წლებში, მმართველი პოლიტიკური ძალა გაეტარებინა საკუთარი პოლიტიკური და იდეოლოგიური ხედვების მიხედვით კონსტრუირებული საჯარო პოლიტიკა. ამ შემთხვევაში, საჯარო პოლიტიკის გატარება არ იყო პასიური, ერთი მიმართულებით მიმდინარე პროცესი, არამედ მასზე გავლენას ახდენდნენ გარე და შიდა აქტორები. ნაშრომში მოკლედ არის განხილული საგარეო ფაქტორების გავლენა საჯარო

პოლიტიკის განხორციელებაზე, თუმცა ძირითადი აქცენტი გაკეთებულია შიდა ფაქტორებზე, განსაკუთრებით კი, ამომრჩევლების ურთიერთობაზე მთავრობასთან. ქართული პოლიტიკური კონტექსტის გათვალისწინებით აღმოჩნდა, რომ ამომრჩევლები მთავრობისადმი დამოკიდებულებების ჩამოყალიბების დროს მიმართავენ ე.წ. რეტროსპექტულ ლოგიკას, რომლის დროსაც მთავრობის საქმიანობით კმაყოფილი და სარგებელმიღებული მოსახლეობის ნაწილს სურს სტატუს-კვოს შენარჩუნება, მაშინ როდესაც უკმაყოფილო ნაწილისთვის მნიშვნელოვანია მმართველი ძალის შეცვლა.

ნაშრომში ნაჩვენებია ამომრჩეველთა მიერ არჩევნების დროს გადაწყვეტილების მიღებაზე გავლენის მომხდენი სამი ძირითადი ფაქტორი: მთავრობის საქმიანობის შეფასება, ამჟამინდელი მატერიალური მდგომარეობის გავლენა, და იდეოლოგიური და პოლიტიკური შეუთავსებლობა მმართველ ძალასთან. საქმიანობის შეფასების განზომილება პირდაპირ უკავშირდება რეტროსპექტული ხმის მიცემის მოდელს, რომლის მიხედვითაც ამომრჩევლები, დასჯისა და წახალისების მექანიზმის გამოყენებით, აიძულებენ მთავრობებს განახორციელონ მათთვის სასურველი სოციო-ეკონომიკური პოლიტიკა. პრაქტიკაში, ეს გამოიხატება განვლილ საარჩევნო ციკლზე რეფლექსიაში. ამომრჩევლი საკუთარ პრეფერენციებს განვლილი საარჩევნო ციკლის შეფასებისამებრ აყალიბებს. მატერიალური მდგომარეობის გავლენაც გარკვეულწილად აღნიშნული მექანიზმის ნაწილია. თუმცა, ამ შემთხვევაში, შეინიშნება რეტროსპექტული ხმის მიცემის მონათესავე მიდგომის, წმინდად ეკონომიკური ხმის მიცემის მოდელის, გავლენაც. თუ ამ საკითხს უფრო ჩავუღრმავდებით, აღმოჩნდება, რომ მზარდი სოციალური უთანასწორობისა და სოციო-ეკონომიკური მდგომარეობით უკმაყოფილება იყო ძირითადი მიზეზი მთავრობის საქმიანობის ნეგატიურად შეფასებისა. ზოგადად, სოციო-ეკონომიკური კეთილდღეობის გავლენა საარჩევნო პრეფერენციების ჩამოყალიბებაზე ნაშრომის ერთ-ერთი ცენტრალური თემა გამოდგა.

ბოლო, მესამე გარემოება კი წმინდად თვისებრივი სახისაა და დაკავშირებულია ქართული საზოგადოებისთვის დამახასიათებელ რიგ გარემოებებთან. სახელდობრ, მოსახლეობის მნიშვნელოვანი ნაწილის შეუთავსებლობა და უკმაყოფილება 2004-2012 წლებში მმართველი ძალის პოლიტიკურ და სოციალურ ხედვებთან და

იდეოლოგიასთან. მმართველი პარტიის მიერ გატარებული რადიკალური საზოგადოებრივი ტრანსფორმაცია არამხოლოდ რეტროსპექტულად შეფასდა ამომრჩეველთა მნიშვნელოვანი ნაწილის მიერ ნეგატიურად, არამედ ამ მიდგომებით განხორციელებული პოლიტიკის აღსრულების დროსაც მნიშვნელოვან წინააღმდეგობას აწყდებოდა. რადიკალური რეფორმების პირველი, საყოველთაო აღქმით წარმატებული, ტალღის შემდეგ, მთავრობა უკვე აღარ სარგებლობდა უპირობო ნდობის კრედიტით. პირიქით, საზოგადოებაში იზრდებოდა განცდა, რომ მმართველი ელიტა შორდებოდა საზოგადოების უმეტესობის ღირებულებებსა და ფასეულობებს. შესაძლოა ეს გარემოება ცალკე აღებული მნიშვნელოვანი ფაქტორი არ ყოფილა, თუმცა საბოლოო ჯამში ხელს უწყობდა ანტი-სახელისუფლებო სენტიმენტების კულტივაციას.

საგულისხმოა 2008 და 2012 წლებში ჩატარებული საპარლამენტო არჩევნების შედეგებზე გავლენის მომხდენი ფაქტორების შეფასებაც. კერძოდ, რატომ შეძლო 2008 წელს მმართველმა გუნდმა ძალაუფლების შენარჩუნება. ამ კითხვაზე ნაშრომი სამ პოტენციურ პასუხს გვთავაზობს. 2008 წლისთვის რეტროსპექტული ხმის მიცემის მექანიზმის გამოყენებით არ დაგროვებულა უკმაყოფილოთა კრიტიკული მასა საზოგადოებაში, ხმის მიცემის დროს ძირითადი განმასხვავებელი ფაქტორები გეოგრაფიული (უფრო ზუსტად, პოლიტიკურ-გეოგრაფიული) გახლდათ, ხოლო პოლიტიკური ოპოზიციის ერთიანობა არ აღმოჩნდა საკმარისად მძლავრი სახელისუფლებო პარტიის დასამარცხებლად. 2012 წელს კი, პოლიტიკური ოპოზიციის გაერთიანებამ ფაქტობრივად გამოიწვია პოლიტიკური პოლარიზაცია, როდესაც არჩევნებზე ერთმანეთს მხოლოდ ორი ძირითადი ძალა ებრძოდა, რამაც ამომრჩეველთა მაქსიმალურ მობილიზაციას შეუწყო ხელი. დამატებით, 2012 წლისთვის ამომრჩეველთა კრიტიკულ მასას ჰქონდა ნეგატიური დამოკიდებულება მთავრობის მიერ გატარებული ღონისძიებების მიმართ, რაც გამოიხატებოდა გაუარესებულ სოციო-ეკონომიკურ მდგომარეობაში, გაზრდილ უთანასწორობასა და ადამიანის უფლებების უხეშ დარღვევებში.

სადოქტორო ნაშრომის კიდევ ერთი მნიშვნელოვანი მიგნება დაკავშირებულია ანგარიშვალდებულების საკითხთან. ნაშრომში მოყვანილი ემპირიული ფაქტები ნათლად წარმოაჩენენ, რომ საბოლოო ჯამში მთავრობა პოლიტიკურ

პასუხისმგებლობას იღებს საკუთარ საქმიანობაზე. ამომრჩეველთა ლეგიტიმური მოთხოვნების უგულვებელყოფასა და საზოგადოებასთან გაუცხოებას არჩევნებში მარცხი მოჰყვება. თუ პოლიტიკური აქტორები გაითვალისწინებენ იმ გარემოებას, რომ მათი ბედი დიდწილად არის დამოკიდებული საზოგადოების ლეგიტიმაციაზე და არა სხვა, გარე თუ შიდა პოლიტიკურ ფაქტორებზე, ეს ხელს შეუწყობს საქართველოში უფრო ჯანსაღი პოლიტიკური კლიმატის ჩამოყალიბებას. პოლიტიკური ცხოვრება უფრო ნაკლებად გახდება კლიენტელისტური და აქცენტი პროგრამატულ პოლიტიკური მოქმედებებზე გაკეთდება.

მიუხედავად იმისა, რომ სადოქტორო ნაშრომში მოცემულია საზოგადოების განწყობებისა და პოზიციების შესწავლის მაქსიმალურად მრავალფეროვანი მიდგომები (თვისებრივი კვლევის შედეგები, მასობრივი გამოკითხვის შედეგები და მეორადი და ოფიციალური სტატისტიკური მონაცემები), ნაშრომს რიგი შეზღუდვები გააჩნია, რომლებიც სამომავლო კვლევების დროს უნდა აღმოიფხვრას. პირველი შეზღუდვა ეხება უშუალოდ არჩევნების წინ და საარჩევნო დღეს მომხდარი ფაქტორების გავლენის შეფასებას. აღნიშნული გარემოება, უპირველეს ყოვლისა, დაკავშირებულია წინასაარჩევნო და საარჩევნო პერიოდის დროს მომხდარ რიგ სოციალურ და პოლიტიკურ მოვლენებთან, რომლებმაც მნიშვნელოვანი გავლენა იქონია არჩევნების შედეგებზე.

აგრეთვე, ძნელია საგარეო აქტორების მიერ განხორციელებული ზეგავლენის დეტალურად შესწავლა, ოპერაციონალიზაცია და გაზომვა. შეზღუდვების კიდევ ერთი გარემოება წმინდად აკადემიური და კონცეპტუალურია. კერძოდ, რამდენად არის შესაძლებელი მონაცემთა შეგროვების სოციოლოგიური მიდგომების გამოყენებით მიზეზ-შედეგობრივი დასკვნების გამოტანა. ერჟი ნეიმანისა (1923) და დონალდ რუბინის (1974) მიერ დასმული, შეიძლება ითქვას, რიტორიკული პრობლემა ამ შემთხვევაშიც აქტუალურია. სოციალური მეცნიერების შეზღუდვებიდან გამომდინარე, ჩვენ ხშირ შემთხვევაში მხოლოდ ასოციაციური კავშირების შესახებ შეგვიძლია ვიმსჯელოთ, ხოლო კაუზალური დასკვნების გამოტანის დროს დაშვებები ფრთხილი და მოზომილი უნდა იყოს. სადოქტორო ნაშრომში გამოთქმული მოსაზრებების ინტერპრეტაცია ამიტომაც ამ გარემოების გათვალისწინებით უნდა

მოხდეს, ხოლო კვლევის შედეგების შემდგომი ექსტრაპოლაციისთვის სხვა შემთხვევებსა და დაკვირვებებზე აუცილებელია შემდგომი კვლევების ჩატარება.

სწორედ ამ უკანასკნელ გარემოებასთან არის დაკავშირებული საკითხის შემდგომი შესწავლისთვის აუცილებელი ნაბიჯები. პირველ რიგში, აუცილებელია ნაშრომში მოყვანილი საკითხების ექსპერიმენტული მიდგომებით გადამოწმება და ნაშრომში გამოყენებული მეთოდოლოგიის რეპლიკაცია შემდგომი კვლევებში. რადგანაც მოცემულ დისერტაციაში მხოლოდ ორი საპარლამენტო არჩევნების შედეგები არის განხილული, აუცილებელია მსგავსი მეთოდოლოგიის გამოყენებით გაანალიზდეს სხვა საპარლამენტო არჩევნების შედეგებიც. ნაშრომში გამოყენებული მოდელის უნივერსალურობის დასამტკიცებლად, აუცილებელია მისი ტესტირება არა მხოლოდ ქართულ კონტექსტში, არამედ საქართველოს მსგავსი პოლიტიკური, ეკონომიკური და სოციალური სისტემების მქონე ქვეყნების მაგალითზეც.

გარდა სამომავლო კვლევების აუცილებლობისა, ნაშრომში მოცემული მიგნებები არსებული პოლიტიკური სისტემის რიგ მახასიათებლებზეც აკეთებს აქცენტს. კერძოდ, ნაშრომში ნაჩვენებია მთავრობასა და ამომრჩევლებს შორის არსებული კავშირების მნიშვნელოვნება, აგრეთვე, ამომრჩევლებსა და მთავრობის შორის ანგარიშვალდებულების მნიშვნელოვნება. აღნიშნულ საკითხებზე დემოკრატიული მმართველობისთვის აუცილებელი ამ კომპონენტის გათვალისწინება საგულისხმოა არა მხოლოდ ვიწრო პოლიტიკური ინტერესების გამო, არამედ, ზოგადად, საზოგადოებრივი სტაბილურობისა და განვითარებისთვის. საქართველოში მოღვაწე ყველა პოლიტიკურმა პარტიამ მნიშვნელობა უნდა მიანიჭოს საზოგადოების საჭიროებებსა და საჯარო პოლიტიკის დაგეგმვის დროს ყურადღება გაამახვილოს მოსახლეობასთან კომუნიკაციაზე, საკუთარი ხედვების ახსნასა და, აგრეთვე, გაცემული დაპირებების შესრულებაზე.

2.6 გამოყენებული ლიტერატურა

- Abashidze, A., & Selimashvili, G. (2015). Challenges in recruitment procedures in the Georgian civil service. *Romanian Journal of Political Science*, 15(2), 63.
- Acemoglu, D., & Robinson, J. A. (2001). A theory of political transitions. *American Economic Review*, 91(4), 938-963.
- Acemoglu, D & Robinson, J. (2006). *Economic Origins of Dictatorship and Democracy*. New York: Cambridge University Press.
- Acemoglu, D., Naidu, S., Restrepo, P., & Robinson, J. A. (2013). Democracy, redistribution and inequality (No. w19746). National Bureau of Economic Research.
- Adcock, R., & Collier, D. (2001). Measurement validity: A shared standard for qualitative and quantitative research. *American political science review*, 95(3), 529-546.
- Aliyev, H. (2014). The effects of the Saakashvili era reforms on informal practices in the Republic of Georgia. *Studies of Transition States and Societies*, 6(1), 19-33.
- Anable, D. (2006). The Role of Georgia's media—and Western aid—in the Rose Revolution. *Harvard International Journal of Press/Politics*, 11(3), 7-43.
- Andersen, R., & Heath, A. (2000). Social cleavages, attitudes and voting patterns: A comparison of Canada and Great Britain.
- Anjaparidze, Z. (2012). Politics: Georgia's Two Faces. *Transitions Online*, (10/02).
- Antunes, R. (2010). Theoretical models of voting behaviour. *Exedra*, 4, 145-170.
- Babunashvili, G. (2017). Retrospective voting in Georgia: does the government's past performance matter?. *Caucasus Survey*, 5(3), 259-278.
- Bader, M. (2008). Fluid party politics and the challenge for democracy assistance in Georgia. *Caucasian review of international affairs*, 2(2), 1-10.
- Bartels, L. M. (2010). The study of electoral behavior. *The Oxford handbook of American elections and political behavior*, 239-261.
- Bates, R. H. (2001). *Prosperity and violence: The political economy of development*. New York: W.W. Norton.
- Baumann, E. (2012). Post-Soviet Georgia: It's a long, long way to 'modern' social protection. *Economies et Sociétés*, 46(2), 259-285.
- Bazeley, P., & Jackson, K. (Eds.). (2013). *Qualitative data analysis with NVivo*. SAGE publications limited.

- Benashvili, G. (2015). Peaceful transfer of political power and its characteristics in Georgia. The Georgian parliamentary elections of 2012. *Revista Moldovenească de Drept Internațional și Relații Internaționale*, 38(4), 48-55.
- Berelson, B. R., Lazarsfeld, P. F., & McPhee, W. N. (1954). *Voting: A study of opinion formation in a presidential campaign*. University of Chicago Press.
- Bhasin, T., & Gandhi, J. (2013). Timing and targeting of state repression in authoritarian elections. *Electoral Studies*, 32(4), 620-631.
- Birch, S. (1997). Nomenklatura democratization: Electoral clientelism in post-soviet Ukraine. *Democratization*, 4(4), 40-62.
- Bjørnskov, C., & Rode, M. (2019). Regime types and regime change: A new dataset on democracy, coups, and political institutions. *The Review of International Organizations*, 1-21.
- Blaydes, L. (2008). Authoritarian elections and elite management: Theory and evidence from Egypt. In *Princeton University Conference on Dictatorships*.
- Bogdan, R., & Biklen, S. K. (1997). *Qualitative research for education*. Boston, MA: Allyn & Bacon.
- Bogner, A., & Menz, W. (2009). The theory-generating expert interview: epistemological interest, forms of knowledge, interaction. In *Interviewing experts* (pp. 43-80). Palgrave Macmillan, London.
- Boix, C. (2003). *Democracy and redistribution*. Cambridge University Press.
- Bolkvadze, K. (2016). Cherry picking EU conditionality: Selective compliance in Georgia's hybrid regime. *Europe-Asia Studies*, 68(3), 409-440.
- Bolkvadze, K. (2017). Hitting the saturation point: unpacking the politics of bureaucratic reforms in hybrid regimes. *Democratization*, 24(4), 751-769.
- Bolotnyy, V., & Magaloni, B. (2009). *Authoritarian Regimes Classification*. Database.
- Brender, A., & Drazen, A. (2005). Political budget cycles in new versus established democracies. *Journal of Monetary Economics*, 52(7)
- Brie, E., & Dufresne, Y. (2018). Tones from a Narrowing Race: Polling and Online Political Communication during the 2014 Scottish Referendum Campaign. *British Journal of Political Science*, 1-13.
- Brinks, D. (2006). Diffusion Is No Illusion: Neighbor Emulation in the Third Wave of Democracy. *Comparative Political Studies*, 39(4)
- Brinks, D., & Coppedge, M. (2006). Diffusion is no illusion: Neighbor emulation in the third wave of democracy. *Comparative Political Studies*, 39(4), 463-489.

- Bruckner, T. (2011). *Accountability in international aid: The case of Georgia* (Doctoral dissertation, University of Bristol).
- Campbell, A., Converse, P. E., Miller, W. E., & Stokes, D. E. (1960). *The American voter*. Wiley and Sons, New York
- Caucasus Barometer. 2008–2015. [ონლაინ მონაცემთა ბაზა]. ნანახია 31 მაისს, 2020 წელს: <https://caucasusbarometer.org/en/cb-ge/FUTRUNG/>
- Caucasus Barometer. 2011. [ონლაინ მონაცემთა ბაზა]. ნანახია 31 მაისს, 2020 წელს: <https://caucasusbarometer.org/en/cb2011ge/ENEMCNTR/>
- Caucasus Barometer. 2012. [ონლაინ მონაცემთა ბაზა]. ნანახია 31 მაისს, 2020 წელს: <https://caucasusbarometer.org/en/cb2012ge/ENEMCNTR/>
- Cecire, M. (2013). Georgia's 2012 Elections and Lessons for Democracy Promotion. *Orbis*, 57(2), 232-250.
- Chakhaia, L., Andguladze, N., Janelidze, A., & Pruidze, N. (2014). Identities, cultural capital, educational choices and post-communist transition: an ethnographic study of Georgian youth. *Southeast European and Black Sea Studies*, 14(2), 301-318.
- Chankseliani, M. (2013). Rural disadvantage in Georgian higher education admissions: A mixed-methods study. *Comparative Education Review*, 57(3), 424-456.
- Chankseliani, M. (2014). Georgia: Marketization and education post-1991. *Education in eastern Europe and Eurasia*, 362-391.
- Charmaz, K. (2008). Reconstructing grounded theory. *The SAGE handbook of social research methods*, 461-478.
